

600 /  
1972 / 2



საქართველო  
საზღვაო



მეცნიერება  
და ტექნიკა

9  
1972



თბილისი. ვაგლის მოედანი  
და...

იგივე მოედანი გასული სა-  
უკუნის 90-იან წლებში.

# მეცნიერება და ტექნიკა

საქ. სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ყოველთვიური  
მეცნიერულ-პოპულარული  
ჟურნალი

1972

ბამონის 1949 წლიდან

ფასი 50 კაპ.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>2. ძალბაძიძე</b>	
ამიერკავკასიის რკინიგზა — მეგობრობის მაგისტრალი	2
<b>3. ვარდოსანიძე</b>	
საინჟინრო ნაგებობები ამიერკავკასიის რკინიგზაზე	5
<b>3. ცაჭიშვილი</b>	
ვაგონების პარკის განვითარების ეტაპები	9
<b>ლ. აბულაძე</b>	
გამოთვლითი ტექნიკა და ავტომატიზაცია ტრანსპორტზე	12
<b>5. მაღალაშვილი</b>	
სიგნალიზაცია და კავშირგაბმულობის საშუალებანი რკინიგზის საშასტრაში	15
<b>2. ტოგონიძე</b>	
ქართველი ინჟინრები და ამიერკავკასიის რკინიგზა	17
<b>6. სხიპაშვილი</b>	
ზღვის სანაპირო ზონის დაცვა გაუქუყიანებისაგან კონსონანტის სკაფანდრი	21
<b>ლ. უზაგორავი</b>	
მსუბუქი ავტომობილების ძარათა ტიპები	25
<b>ზ. წილოსანი, თ. ტატიშვილი</b>	
ბეტონ-პოლიმერი	26
<b>3. მირაზიშვილი</b>	
ინდიკატორთა კონსტრუირების ფსიქოლოგიური საფუძვლები	29
<b>3. ხეთაგური, ა. პაპავა, მ. ვალუაჯიძე</b>	
ეპოქსიდური ფისები ელექტროტექნიკაში	32
<b>ოთარ ლოლაძე</b>	
გამომენილი ქართველი მეცნიერი (პროფესორ გივი მიქელაძის დაბადების 60 წლისთავის გამო)	35
<b>3. გოკარია</b>	
ახალი ტენდენციები მელორაციაში	38
<b>ა. ბენდუქიძე</b>	
ოქროს კვეთა	39
მეცნიერებისა და ტექნიკის კალენდარი	42
ტრანზისტორი?.. ეს ხომ ძალზე მარტივია	44
ჭადრაკის მოყვარულთა კლუბი	48

მთავარი რედაქტორი პროფ. ზ. წილოსანი

სარედაქციო კოლეგია: ტეფ. მეცნ. კანდ. ა. აბაღანიანი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ბალაშაძე, პროფ. ძ. ბარბაქაძე, პროფ. შ. ბაგიშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ბაბაშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. ბომბლაშვილი, კიშინის მეცნ. კანდ. მ. ზაალიშვილი, საქ. სსრ დამს. ინჟ. მ. ლილაშვილი, თ. ლორთქიფანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი მ. მახალაძე, დოც. მ. ნიჭარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), პროფ. ვ. პარპაძე.

ქურნალი გააფორმა ა. პანფილაძე

მისამართი: თბილისი-380060, კუტუხოვის 19,  
ტელ. 37-14-93

Ежемесячный научно-популярный журнал Академии наук Грузинской ССР «Мецниერება და ტექნიკა» (на груз. яз.).

ფიზიკური ფურცელი 3, საადრისცხო-საგამომცემლო ფურცელი 5,5, ნაბეჭდი ფურცელი 6  
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.8.72 წ., უე 01998, უეკ. № 1999, ტირაჟი 15080  
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი-380060, კუტუხოვის ქ. № 19



# ამიერკავკასიის რკინიგზა — მეგობრობის მაგისტრალი



## 3. ძალაში

ამიერკავკასიის რკინიგზა სსრ კავშირის სხვა რკინიგზებისაგან მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. მიუხედავად ვაიკალის მდინარეზე უზანზე მკვეთრი მოსახვევები და დიდი ქანობებია. გზაზე მრავალ ნაკვეთობათა შორის ზოგი უნიკალურია საინჟინრო ხელოვნების თვალსაზრისით. გზის განმასრვლებელი ნიშანია ისიც, რომ იგი ისეთ ადგილებში გადის, რომლებიც მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი სასარგებლო წყაროებითა და შესანიშნავი კლიმატური პირობებით. აქ თავმოყრილია პირველხარისის კურორტები და ჯანმრთელობის აერები, სადაც ყოველწლიურად ასეულ ათასობით საბჭოთა მოქალაქე და მრავალი უცხოელი ისვენებს. ამის გამო ჩვენს გზას საყოველთაო და სამგზავრო მაგისტრალს უწოდებენ.

მიმდინარე წელს ამიერკავკასიის რკინიგზას 100 წელი უსრულდება. გასული საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიიდან სასარგებლო წიაღისეულის გასაზიად და მისი ხალხების დასამონებლად მეფის ხელისუფლების მიერ აგებული რკინიგზა საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაეცა მეგობრობის მაგისტრალად და ჩაღვა ორი მომქრესპუბლიკის — საქართველოსა და სომხეთის — სწრაფად განვითარებადი ეკონომიკისა და კულტურის სამსახურში.

რკინიგზის პირველი უბნის ტრასირება დაიწყო 1865 წელს, ცოტა ხნის შემდეგ კი — მისი მშენებლობა.

1867 წლის ივნისში ინგლისელ კაპიტალისტებთან დაიდო საონცესიო ხელშეკრულება თბილისამდე რკინიგზის ხაზის გაყვანის თაობაზე; პირველი მატარებელი თბილისში 1872 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. 1879 წელს დადგა თბილისიდან ბაქომდე რკინიგზის მშენებლობის საიონხრ და ითხი წლის შემდეგ ამ უზანზე დაიწყო მატარებლების მოძრაობა. იმავე წელს დამთავრდა სამტრედიის — ბათუმის უბნის მშენებლობა. ამის შემდეგ აუცილებელი გახდა გვირაბის მშენებლობა, რომელიც 1890 წლისათვის განხორციელდა კიდეც. იმავე წლის 16 სექტემბერს დაიწყო მატარებელთა მოძრაობა ახალ ტრასაზე — იმ დროს მსოფლიოში ყველაზე გრძელი გვირაბის — სურამის გვირაბის გავლით.

მსხვილი ნაკვებობა იყო ავრთვე თბილისი — ალექსანდროპოლი — ყარსის რკინიგზა, რომლის მშენებლობა მიმდინარეობდა 1895—1899 წლებში. ამ ხაზის მშენებლობისას გაყვანილ იქნა ჭაჭურის გვირაბი, რომელიც სსრ კავშირის გვირაბებს შორის ყველაზე მაღალი წერტილია. გვირაბის გაყვანისას პირველად იქნა გამოყენებული ელექტროსახბურთო მანქანები და ვენტილატორი, რაც ბევრად აიოლებდა შრომას. 1902 წელს ხაზი გაყვანილ იქნა ერევანამდე, ხოლო 1908 წელს — ჯულფამდე. საბჭოთა

ხელისუფლების დამყარებამდე გზის უკანასკნელი მშენებლობა იყო კანეთის ხაზი.

1883 წელს, როცა დამთავრდა შავ და კასპიის ზღვებს შორის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანა, თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელისწილები, რომლებიც საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის კერად გადაიქცა.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მშრომელები შეუდგნენ ინდუსტრიალიზაციის დიდი გეგმის განხორციელებას. გეგანტურმა სამუშაოებმა გაზარდა მოთხოვნილება რკინიგზის ტრანსპორტისადმი, რომლის ჩამორჩენილობა და დეზორგანიზაცია მზარდი ტვირთნაკადის ათვისების საშუალებას არ იძლეოდა.

ამიერკავკასიის რკინიგზელთა ენერგიული მუშაობის ძირითადი მომენტები იყო: უფრო ძვირ ტიპის რელსების დაცემა, საშალო მეურნეობის გაჯანსაღება, საორთქლ-მავლო დეპოების აღჭურვა უფრო მაღალი მწარმოებლობის მოწყობილობით და მათი გამოყენება მძლავრი ლოკომოტივების მომსახურებისათვის, ვაკონების შეკეთების სატრანსპორტო მეურნეობის დამოუკიდებლად რაოდენ გამოყოფა და სხვ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატარებელთა თანაბარი და რეგულარული მოძრაობის უზრუნველყოფას, რასაც ხელი შეუწყო 1921 წლის 16 აპრილს ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის რკინიგზების გაერთიანებამ ამიერკავკასიის ერთიან რკინიგზად, რომლის ცენტრი თბილისში იყო. შემოღებულ იქნა მატარებელთა მოძრაობის გრაფიკი, გადაზიდვის მარშრუტიზაცია, უზენაესი და სამხვევრო მუშაობის სადგურებში დანიერვა მატარებელთა მოძრაობისადმი ხელმძღვანელობის დისექტჩერული სისტემა.

გზის მუშაობის აღმავლობას დიდად შეუწყო ხელი 1922 წელს ჩვენთან ფ. ძერჟინსკის ჩამოსვლამ, რომელმაც უშუალო მონაწილეობა მიიღო აქტუალური საიონხების განსახილველად მოწყობილ თათბირებში და მიადრია რთული სატრანსპორტო კონვეიერის ყველა რგოლის საქმიანობის გაუმჯობესებას.

1936 წელს დაიწყო სატვირთო სამუშაოთა მექანიზაციის ფართოდ დანერგვა: მოტორიანი ამწეების გამოყენება ხელი შეუწყო 1937 წელს თბილისის სადგურში პირველი საკონტენერო მოედნის გახსნას.

რესპუბლიკის ყველა რაიონის აქტიურ სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმასთან დაკავშირებით დაიწყო ახალი სარკინიგზო მშენებლობა, რომლის მთავარი რგოლი იყო შავი ზღვის სანაპირო ხაზის აშენება (პირველ რიგში ცხაკაიდან სოხუმის სადგურამდე).

გაიდოდა წლები. წარმოებდა რკინიგზების, მათ შორის ამიერკავკასიის რკინიგზის აღმშენებელი უფრო მძლავრი ტექნიკით. ხორციელდებოდა „გოგოლის“ ლენინური გეგმა. დღის წესრიგში დადგა ელექტრიფიკაციის — ორთქლის წვეის ელექტროწიგით შეცვლის საკითხი. ასეთი სამუშაოები ჩვენს გზაზე პრაქტიკულად 1927 წელს დაიწყო. შეიქმნა სურამის საუელტეხილო უზნის ელექტროფიკაციის ბიურო. ხუთ წელზე ცოტა მეტ ხანში აშენდა 192 კმ სიგრძის 110 კვტ-იანი ელექტროგადამცემის ხაზი. 3 კვტ ძაბვის საკონტაქტო ქსელი. 14 ათასი კვტ სიმძლავრის წვეის ქვესადგურები, საელმაგო დებო, სისამსახრო მენობები და საცხოვრებელი სახლები. სურამის საუელტეხილო უზნის გადაყვანა ელექტროწყებაზე განხორციელდა 1932 წლის 16 აგვისტოს, ეს თარიღი მთელი რკინიგზის ელექტრიფიკაციის დაწყების პერიოდად თვლება.

სურამის უელტეხილისა და მიელი რივი სხვა უზნების ელექტრიფიკაციამ ხელი შეუწყო ახალი ტექნიკის წარმატებით ათვისებას. არსებობდა გზა გადაიქცა ახალი მოძრავე შემადგენლობის გამოცდის ლაბორატორიად.

ომამდელი ხუთწლებების პერიოდში მიღწეულმა რკინიგზის ტრანსპორტის ყოველმხრივმა აღმავლობამ, რკინიგზელთა მალაობამ შეგნებულობამ, დისციპლინამ და კვალიფიკაციამ უზრუნველყო ამიერკავკასიის რკინიგზის ზუსტი და შეუფერხებელი მუშაობა დიდი სამამულო ომის მკაცრ პირობებში.

ომის დროს შავი ზღვის სანაპირო ხაზი დაგებულ იქნა ღრობებით ტრასაზე აღდგარდებ.

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზები დიდი სამამულო ომის წლებში 19-ჯერ გამოვიდნენ გამარჯვებულნი სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეიბრებაში, 12-ჯერ მოიპოვეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ გზის კოლექტივს მიეკუთვნა სამუდამოდ.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიიღწია ომის შემდგომ ხუთწლებში, ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა გზის როგორც მთავარი ხაზის, ისე მისი განშტოებების მთლიანი ელექტრიფიკაციისათვის, ახალი ხაზების მშენებლობისათვის.

შვირღვისპირეთის რკინიგზის ხაზის მშენებლობასთან ერთად აგებულ იქნა ბორჯომი — ვალეს ხაზი, კაჭრეთი — წითელწყაროს შტო, აგრეთვე არტეკი — ჰემსაზის ხაზი და ანი — ანიკაშის შტოები. მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზესტაფონი — ჭიათურის ფართოლიანდაგიანი ხაზის გაყვანას ვიწროლიანდაგიანის ნაკვალად და ერევან — რანდანის ხაზის მშენებლობას; რომელიც შემდეგ სევანის ტბამდე იქნა მიყვანილი.

ამ ბოლო წლებში საქართველოში აშენდა სამარწყველო მნიშვნელობის კიდევ ორი შტო: მარნეული — კახრეთი და ზუგდიდი — ჯვარი.

1956 წლისათვის დატვირთვა და ტვირთბრუნვა ომამდეღე დონესთან შედარებით ორჯერ, ხოლო 1945 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ გაიზარდა.

ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე განახლდა გზის ელექტრიფიკაციის სამუშაოები. ომის დროს ენერგომომარაგების უზნებსა და საელმაგლო დებობებში დაიწყო შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა: ენერგომომარაგების თბილისის უზანზე გამოუყენა წვეის ელექტრიფიკაციის ისტორიაში პირველი მომარაგი წვეის ქვე-

სადგური მწყობრიდან გამოსული სტაციონარული წვეის ქვესადგურების შესაცვლად. მოძრაობა წვეის ქვესადგურებმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ამიერკავკასიის რკინიგზაზე ელექტრიფიკაციის სამუშაოთა ტემპების დაჩქარებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მთლიანად იქნა ელექტრიფიკებული საქართველოს რკინიგზა. ამყანა მთლიანად ელექტრიფიკებულია სომხეთის რკინიგზაც.

გზის ელექტრიფიკაციამ უზრუნველყო მრავალი ამოცანის წარმატებით გადაჭრა, უზარეულეს ყოვლისა, გადაზიდვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. მაგრამ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სწრაფად განვითარებადი სახალხო მეურნეობის სატრანსპორტო მოთხოვნებთანა განუწყვეტლმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა ახალი ტექნიკური ამოცანა — გზის მთავარი ხაზის ერთლიანდაგიანი უზნების ორლიანდაგიანით შეცვლა. ამ ამოცანის გადაჭრა დაიწყო ვასლუ, მე-8 ხუთწლებში და დღესაც ვრძელდება. ამავე დროს სრულდება არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე ამოცანა — სადგურებისა და კვანძების განვითარება მათი გამტარობისა და გადაწყვეტის უზნარის გადიდების თვალსაზრისით. ამის მიღწევა შეიძლება ამა მართო სადგურის ოლიანდაგების დამატებისა და მათი დაგრძელების მეოხებით, არამდე ტექნიკური პროგრესის ისეთი ღონისძიებების ვატარებით, როგორცაა ისრუქი გადაწყვანების ელექტროცენტრალიზაცია, რდიფიკაცია, სამანვირო ორთქლდაგების შეცვლა თბომავლებით და სხვ.

სატვირთო სამუშაოთა წარმოების სრულყოფის დარგში გადაიტარება ამოცანა, რომელიც თავისი მასშტაბითა და ხასიათით უტოლდება ძირითადი სატრანსპორტო პროცესების მეცნიერული ორგანიზაციას, სახელმძღვანელო, შემკორდება სატვირთო ოპერაციების წარმოება სავლე სადგურებში „საყრდენი“ სადგურების შექმნის გზით. ასეთ სადგურებს ექნება მეტე რაოდენობის ოლიანდაგები, სასაწყობო მეურნეობა და მოედნები. უფრო განმტკიცდება ავტოსატრანსპორტო კავშირი ტვირთმომწავნებთან და მიმღებებთან. 1975 წლამდე გზაზე მიეწყობა და ტექნიკურად აღიჭურვება 60 ასეთი „საყრდენი“ სადგური. პარალელურად გადაწყდება საკონტინერო გადაზიდვათა განვითარებისა და მალეფუტდებული ტვირთების წყაროების ყოველმხრივ გაუმჯობესების საკითხი.

დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაციას, სამგზავრო მეურნეობის გაუმჯობესებას. ბევრი რამ გაკეთდა ომამდეღე წლებში, განსაკუთრებით კი ომის შემდგომ ხუთწლებში ვაგზლებისა და სამგზავრო პავილიონების კეთილმოწყობა. ძველი ტიპის მოძრაი შემადგენლობა სრულიად შეიცვალა ახალი მთლიანდანიის ვაგონებით, მოტორვაგონის სექციებით — ელექტრომატარებლებით. ვაგზლებში დაიწყო ახალ ტექნიკურ სამუშაობათა დანერგვა, რაც აუმჯობესებს მგზავრთა მომსახურებას. კერძოდ, დანერგა მგზავრებზე ბილიეთების მიყიდვის დისპეტჩერული სისტემა.

უკანასკნელი წლების თვალსაჩინო მიღწევა გაჩერების პუნქტებში პავილიონიანი მალაო სამგზავრო პლანფორმების აშენება, ვაგზლების მშენებლობისას თანამედროვე არქიტექტურის გამოყენება. ერთ-ერთი მორიგი ამოცანა ახალი ვაგზლის აშენება საქართველოს დედაქალაქ თბილისში.

სალოკომობრთვო მეურნეობაში ყოველწლიურად მცირდება ორთქლმავლების რაოდენობა. ამიყანა ყოც, მთლიანად შეცვლილიყო მეურნეობა ელმავლებისა და თბამავლების მომსახურებისათვის. ეს კი მოითხოვდა არა მარტო მოწყობილობის შეცვლას, ახალი საამქროების გახსნას, ძველი დეპოების გადაკეთებასა და ახლის აშენებას, არამედ აგრეთვე ლოკომოტივების გასისწვვისა და შეკეთების ტექნიკოლოგიის შეცვლას, ქსელური დაეგმვისა და მართვის დანერგვას, შესაბამისი კაღრების მომზადებასა და ა. შ.

მთელ ომის შემდგომ პერიოდში და ახლაც დაძაბული ტემპით მიმდინარეობს ლიანდაგების შეკეთების, გამაგრებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები, რის შედეგად მთავარ ხაზზე ნებადართულია საათში 100 და მეტი კმ სიჩქარის განვითარება. მაგრამ ამით არ მთავრდება ზრუნვა რკინიგზის ტრანსპორტის საძირკვლის შემდგომი გამაგრებისათვის. დაწყებულია ლიანდაგებში რკინიბეტონის შპალების ჩაწყობა, ჩვეულებრივად ლიანდაგა ადგილი დაუთმო ახალს, უპირაპირო ლიანდაგს. ათეულ მილიონობით მანეთის უდიდესი სამუშაოებია ჩატარებული ხელოვნურ ნაგებობათა გადაკეთებასა და გამაგრებაზე, რათა დაცულ იქნეს მიწის ვაკის მეწყრის, ზევისა და გადარეცვისაგან.

ომის შემდგომ ხუთწლებში არჩახული წარმატებები მოპოვებული სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირებისა და კავშირგაბმულობის დარგში. 1949—1964 წლების მანძილზე ავტომატიზირებამ და სავაზო ნახევრად ავტომატიზირება ბლოკირებამ, ერთ-ერთ უზანზე კი დისპეტჩერულმა ცენტრალიზაციამ მთლიანად გამოადევნა ხმაერთობა ელექტროკავშირთხელი სისტემა. ძირითადი რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის განიცადა კავშირგაბმულობის მოწყობილობაში, რომლის არსებობა რაოდენობა 15-ჯერ და მეტად გაიზარდა, რამაც თავის მხრივ მოითხოვა თანამედროვე საქალაქთაშორისო სატელეგრაფო სადგურების აშენება. ავტომატიზებული ხეხემა შორეული კავშირი, იწყობა საქაბელო ხაზები. სულ უფრო ფართო გამოყენება აქვს რადიო და რადიოსარგელო კავშირის სამუშაოებებს. გზაზე დაწყებული ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის დანერგვა. „მინსკ-22“ მანქანების შექმნით შექმნილია ლაბორატორია, რომელიც დამტკიცებული გეგმის მიხედვით მუშაობს და მომავალში გამოთვლითი ცენტრი გახდება.

ომის შემდგომი ხუთწლები მარტო გზის ტექნიკური განვითარებითა და ხელახალი აღჭურვილობით როლი ხაზით დება, დიდი ყურადღება ეთმობოდა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას, წარმოების ესთეტიკას, ეკონომიკას, ფინანსურ საკითხებს, რკინიგზელთა კეთილდღეობასა და კულტურული დონის ამაღლებას.

გასულ წლებში დიდი ყურადღება ეთმობოდა აგრეთვე რკინიგზელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. თუ 1945 წელს, ომის დამთავრების მომენტისათვის, გზის საცხოვრებელი ფონდი 200 ათას მ<sup>2</sup> შეადგენდა, ახლა იგი 600 ათას მ<sup>2</sup>-ს აღემატება.

გზაზე არის 16 საავადმყოფო, სადაც ერთდროულად მყურნალობა შეუძლია 2000 კაცს, ამბულატორიულ მომსახურებას უწევს რკინიგზებში 17 პოლიკლინიკა, სამი დისპანსერი, 26 ამბულატორია, 115 საოქრობიო პუნქტი და საფეხელო, დედათა და ბავშვთა ოთახები, გზის სამკურნალო დაწესებულებებში მუშაობს 4600 მედიცინის მუშაკი.

კაღრების აღზრდის, კვალიფიკაციის ამაღლების, რკინიგზელთა ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება სსსრკალ-აღზრდელობით დაწესებულებათა ფართო ქსელი: ორი ტექნიკული, სამი ტექნიკური სკოლა, 34 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 75 სკოლაშიდგურ აღზრდისა და 5 სკოლის გარეშე დაწესებულება, მათ შორის ორი საბავშვო რკინიგზა, პიონერთა სავაზო სახლი და ბავშვთა სპორტული სკოლა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში 1935 წლის 4 ოქტომბერს საქსპლოატაციოდ გადაცემული საბავშვო რკინიგზა პირველია სსრკავშირის და მთელ მსოფლიოში.

ჩვენს რკინიგზელებს კულტურულ მომსახურებას უწევს 250 სასახლე, კულტურის სახლი, კლუბი, წითელი კუთხე და ბიბლიოთეკა. ფართოდ არის განვითარებული მხატვრული თვითმომქმედება, ბევრი თვითმომქმედი კოლექტივი საყოველთაოდ არის ცნობილი.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას რკინიგზელები თავდადებული, შემოქმედებითი შრომით პასუხობენ.

ორი მომეტი რესპუბლიკის — საქართველოსა და სომხეთის — სახალხო მეურნეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის რკინიგზაზე გადაზიდვის მოცულობა ახალ ხუთწლებში (1971—1975 წწ.) გაიზარდება დაახლოებით 20%-ით. განზრახულია 20%-ით გადიდდეს გადაზიდვა გადაყვანაც. შრომისსაყოფიერება გაიზარდება ისე, რომ გადაზიდვითი სამუშაოების ზრდის ტემპი უზრუნველყოფილი იქნეს მუშაკთა არსებული კონტინგენტით, მათი რაოდენობის გადიდების გარეშე.

ახალი ხუთწლების პირველი წლის გეგმა გზის კოლოქტივით დიდი წარმატებით შესრულდა. დაჩქარდა ვაკონის ბრუნვა, არის შედეგად დამატებითი გადაზიდვებისათვის ვალდებულებით ნაკისრ 146-ის ნაცვლად, განთავისუფლებულ იქნა 364 ვაკონი.


გზის კოლოქტივით შრომისსაყოფიერება გეგმასთან შედარებით 1,4%-ით ამაღლა, გადაზიდვის თვითირებულიება 0,6%-ით შეამცირა. გამოჯონებათა და რაციონალიზატორიულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებულია 1 მლნ მან-ზე მეტი ეკონომია. გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. მთლიანად და გადაჭარბებით არის შესრულებული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.

სრულად საკავშირო სოციალისტური შეჯობრების ყველა პირობის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გზის კოლოქტივს 1971 წლის ოთხივე კვარტალში მიეკუთვნება პირველი ადგილი.

გზის კოლოქტივი წარმატებით მუშაობს თავისი არსებობის მესამე წელსაც. აიღეს რა ვაზრდილი ვალდებულებანი ხუთწლების მეორე წლისათვის, ჩვენი მებანქანები, მოძრაობის მუშაკები, მევაკონეები, მელიანდაგეები და სხვა სპეციალისტის ადამიანები თავისი საწარმოსა და მთლიანად გზის საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის, რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის აღმავლობისათვის ბრძოლაში ამიერკავკასიელ რკინიგზელებს მუდამ მზარდი ვადგენ მათ გვერდით მტკორეებში მზავალი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებსაც ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობა აკავშირებდათ. ამიტომ ამიერკავკასიის რკინიგზას სამართლიანად „მეგობრობის მაგისტრალს“ უწოდებენ.

# საინჟინრო ნაგებობები უკრაინის რკინიგზაზე



ინჟინერი ვ. პარფონენკო

შავი და კასპის ზღვების შემართებელი რკინიგზის მშენებლობის იქნა 1851 წელს წამოიჭრა, 1857 წელს კი მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რკინიგზის ხაზის მშენებლობის დაწყების შესახებ ყვირილა (ამჟამად ზესტაფონი) — ფოთის უბანზე. შემდგომ მუშაობა გაგრძელდა სურამის უღელტეხილზეც, ზესტაფონი — ხაშურის უბანზე. ტრასა სურამის უღელტეხილს კვეთდა გვირაბით, რომლის სიგრძე თითქმის 4 კმ იყო. მის მშენებლობას ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, ამიტომ პირველ ხანებ-

ში გაკეთდა გვირაბის შემოსაველი გზა მხოლოდ — წიფა — სურამი — ხაშურის მიმართულებით და 1872 წლის 10 თებერვლის მატარებელი საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა.

მაშინდელი მატარებელი, რომელიც სურამის უღელტეხილზე მოძრაობდა და შედგებოდა 4 ვიწროზაზიანი ორღერძიანი ვაგონისგან, ყოველთვის მგზავრებით იყო გადატვირთული. იგი ციკაბო აღმართზე „ფერის“ სერიის 4 ორთქლმავალ ძლივს აპყავდა 10—12 კმ/სთ სიჩქარით. მატარებელი ძალზე მოუწყობელი იყო, ვაგონებში ციოდა, სურამისა და ყვირილას სადგურებში ფოთიდან და თბილისიდან მომავალ მგზავრებს უხდებოდათ აღნიშნულ სპეციალურ მატარებელში გადაჯდომა, ხოლო შემდეგ — მგზავრობის გაგრძელება ჩვეულებრივი მოძრაი შემადგენლობებით.


ახალი ტრასისა და გვირაბის მშენებლობას სურამის უღელტეხილზე შეუდგნენ 1886 წელს, ხოლო მოძრაობა ახალი გვირაბის გავლით გაიხსნა 1890 წლის 16 სექტემბერს.

1883 წლის მისში საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინიგზის ხაზი თბილისი — ბაქო და სამტრედია — ბათუმი, რითაც მოხდა შავი და კასპის ზღვების დაკავშირება რკინიგზის ხაზით.

1899 წელს დამთავრდა რკინიგზის მშენებლობა ალექსანდროპოლამდე (ამჟამად ლენინაკანი) და 1908 წელს — ჯულფამდე.

მეფის მთავრობა რკინიგზის მშენებლობით მიზნად ისახავდა განემტკიცებინა თავისი გავლენა მეზობელ სახელმწიფოებზე, მოგება ჰქონოდა გზის ექსპლოატაციით და სრულიადაც არ ზრუნავდა მგზავრთა გადაყვანის ნორმალური პირობების შექმნაზე; განსაკუთრებით ეს ეხებოდა პერიფერიებზე განლაგებულ რკინიგზებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამიერკავკასიის რკინიგზა თავისი არსებობის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში ყველაზე ჩამორჩენილი იყო. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1913 წელს გადაყვანილ იქნა მხოლოდ 11,6 მლნ მგზავრი, გადანიღულ იქნა 4757 ათას ტ ტვირთი (მატარებლების საშუალო წონით 450 ტ).

ნახ. 1. ლითონის მრავალმალიანი ხიდი მდ. ენგურზე



პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ამიერკავკასიის რკინიგზა თითქმის მთლიანად პარალიზებული იყო; არავითარი გაუმჯობესება არ მომხდარა მენშევიეების, მუსავატელებისა და დაშნაკების ბატონობის დროსაც.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის აღდგენა და მისი ახალ სოციალურ-ეკონომიურ საფუძველზე გარდაქმნა.



დღეს ამიერკავკასიის რკინიგზა ერთ-ერთი მოწინავეა საბჭოთა კავშირის რკინიგზათა შორის, ახალი ტექნიკითა აღჭურვილი და წარმატებით ასრულებს მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთბრუნვის სახელმწიფო გეგმებს.

ზემოაღნიშნული იმის დადასტურებაა, რომ გზაზე ახალი ტექნიკის დანერგვის დიდი ყურადღება ექცევა და მართავს მას, მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

რაიონი, სადაც გადის ამიერკავკასიის რკინიგზა, განთქმულია თავისი სილამაზითა და მრავალფეროვნობით. მთის მშფოთვარე მდინარეები, მწვანე სამოსით დაფარული ველები, ცამდე აწვილილი მთები, მრისხანე შეუვალი ხეობები და ლაყვარდოვანი შავი ზღვის ულამაზესი სანაპიროები, აი დამახასიათებელი ნიშნები ამიერკავკასიის რკინიგზისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ უძველეს ისტორიულ წარსულს, რომელიც გზის ყოველ მონაკვეთს თან სდევს და ამიდრებს.

მაგრამ ამ სილამაზეს, სამწუხაროდ, წითელ ზოლად გასდევს ისეთი არასასიამოვნო მოვლენები, როგორიცაა

ნახ. 2. რკინიგზის თაღვანი ხიდი მდ. ლალიგაზე



ნახ. 3. ჩარჩოანი კონსტრუქციის რკინიგზის ლვარცოვ-გამბარი ახაბა — ალავერდის გადასარბნე

ზღვისა და მდინარეების ნაპირების ეროზია, რომელიც გამოწვეულია მცოცავი ყაშირებითა და წყლის მცენე ზემოქმედებით, ყაშირებისა და თოვლის შეგავები, ხშირი მიწისძვრები, ლვარცოვები და ნიაღვრები, რომლებიც ყოველ წუთს საფრთხეს უქმნის მატარებელთა მოძრაობას და დამატებით სიძნელეებს ქმნის რკინიგზის ექსპლოატაციის საქმეში.

სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლის გამო ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე აგებულია სხვადასხვა სახის დამცველი და წყალსარიანი ნაგებობები, როგორცაა ხილები და გვირაბები, მილები და ესტაკადები, ლვარცოვგამბარები და ვიადუკები, საყრდენი და სარეგულაციო კედლები, დამკერი და ტალასარიანი კედლები, დამბები და ტალასპარტელები, გალერეები და მრავალი სხვა ნაგებობა, რომელთა საერთო სიგრძე ამჟამად დაახლოებით 400 კმ-ს აღწევს.

ამიერკავკასიის რკინიგზის ლიანდაგის ყოველ კილომეტრზე დაახლოებით 8% ხელოვნური ნაგებობა მოდის, ე. ი. თითქმის ყოველი ათასი მეტრიდან 80 მ სიგრძის ხიდი, გვირაბი, ვიადუკი, ესტაკადა, მილი თუ სხვა ნაგებობაა.

ამის გამო ამიერკავკასიის რკინიგზა ჯერ კიდევ მისი ჩასახვის პერიოდიდანვე წარმოადგენდა რკინიგზის ლიანდაგისა და ხელოვნურ ნაგებობათა დეფორმაციასთან ბრძოლის საინჟინრო აზრის საწარმოო-ექსპერიმენტულ ლაბორატორიას, სადაც მუშავდებოდა და ინერგებოდა უნიკალური ნაგებობები (ნახ. 1, 2, 3, 4).

ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნებით ამიერკავკასიის რკინიგზისათვის დამახასიათებელია ზედაპირის მთიანი



ნახ. 4. ზღვის ნაპირი ჩაქვი — მახინჯაურის გადასარბენზე, დაცული 1900—1910 წწ. აშენებული კედლებით

ხასიათი და დიფერენციაცია, სხვადასხვა მდლივი ნიშნული, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში ზღვის დონიდან 2000 მ-ს აღწევს, აგრეთვე ატმოსფერული ნალექების სიუხვე (ბათუმის რაიონში დაახლოებით 2718 მმ-ია).

კლიმატური და ჰიდროლოგიური პირობებით განსაკუთრებით აღსანიშნავია რკინიგზის შავი ზღვის სანაპირო ზოლი. იგი უშუალოდ ზღვის ახლოს მდებარეობს და ხშირად ზღვის ტალღების (რომელთა სიმძლავრე ზოგჯერ 1 კმ ფართობზე 250 ათას კვტ-საც აღწევს) მოქმედების ობიექტი ხდება.

საზღვაო საყრდენი-ტალღასარიანი მრუდწიროვანი წინა ზედაპირიანი კედლები, რომლებიც 1925 წ. იქნა დაპროექტებული ინჟინერ ლორენცის მიერ, ამჟამად წარმოადგენს საფუძველს მისი სხვადასხვა მოდიფიკაციის შესაქმნელად.

მცურავი მასივები ძმინარის მიერ გამორეცხილი ნაპირების გასამაგრებლად დაპროექტებული იყო ინჟინერ ს. ყურავლიოვის მიერ 1940 წ. „კავკაზპორტრანსის“ შვადამჭერი კედლები და გალერეები რკინიგზაზე დაინერგა 1953 წელს (ნახ. 5 და 6).

გრუნტის ცოცვის საწინააღმდეგო ბანკეტები შავი ზღვის სანაპიროზე დანერგული იყო 1940 წელს.

ობილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა პირველად ამიერკავკასიის რკინიგზაზე დამუშავა შვავსაწინააღმდეგო კედლების გაბარიტული ზომების დადგენის მეთოდიკა, რომლის შემდგომი განვითარება და განაგარიშების თეორიის შექმნა ეკუთვნის პროფ. ნ. როინიშვილს.



ნახ. 5. შვავსაწინააღმდეგო გალერეა კიროვანის დისტანციაზე

პროფ. ზ. ცაგარელის მიერ დამუშავებული საკმაოდ ორიგინალური კონსტრუქციის საყრდენი კედლები შემდგომში დაინერგა ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

ალტაცებას იწვევს საინჟინრო ნაგებობები, რომლებიც იმდენად მტკიცედ და დიდი ხელოვნებით არის ნაგები, რომ დღესაც კი თამამად ხდება მათი ექსპლოატაცია არა მარტო არსებული ლიანდაგის, არამედ მეორე ლიანდაგის მშენებლობის დროსაც.

ინჟინრები რთული ხელოვნური ნაგებობების დაპროექტების დროს შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდნენ რკინიგზის უბნის პერსპექტიულ განვითარებას. აღნიშნულის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს სურამის საუელტეხილო გვირაბი, წიფისა და ზვარის ვიადუკები, რომლებიც ამჟამად თავიანთი გაბარიტული ზომებით სავსებით შესაძლებელს ხდის მკირე რეკონსტრუქციის შემდეგ მეორე ლიანდაგის გატარებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სურამის საუელტეხილო გვირაბი, რომლის მშენებლობაც იმდროინდელ რუსეთში შევიცარული ხერხით პირველად მიმდინარეობდა.

სურამის ქედის ორივე მხარეს ერთმანეთის შესახვედრად გაყვანილ იქნა წოლხვრელები. წიფის ხეობა დასავლეთის მხრიდან და სოფელი ბელღეთი, აღმოსავლეთის მხრიდან, გადაიქცა ხალხმრავალ დასახლებად. მუშათა რაოდენობა მშენებლობაზე იმ პერიოდში 2 ათას კაცს აღწევდა.

გვირაბში კლდე მუშავდებოდა ბრანდტის სისტემის ჰიდრავლიკური ბურღებით; ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით, რომელიც გვირაბის ორივე მხარეს იყო აგებული (საერთო სიგრძით 15 ვერსი), ხდებოდა დამუშავებული მთის ქანის გატანა და საშენი მასალების შემოზიდვა.


ტრანსპორტის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მატარებელთა მოძრაობის სიჩქარე 100 კმ/სთ-მდე გაიზარდა და ამავე დროს საგრძნობლად იმატა მატარებლების წონამაც, ლითონის ძველი მალის ნაგებობები ზოგ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტვირთამწობის მოთხოვნილებებს. აღნიშნულის გამო საჭირო ხდება მათი შეცვლა რკინაბეტონით, რაც ამიერკავკასიის რკინიგზაზე ფართო მასშტაბით მიმდინარეობს; მაგალითად, ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე 180-მდე ხიდი იქნა რეკონსტრუირებული, რომელთა შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს 1971 წელს წიფის ვიადუკის განაპირა 24 მ-იანი ლითონის ფერმის შეცვლა, სადაც პირველად მთიან პირობებში გზის მრუდ ნაწილში კონსოლური ამწის ნაცვლად გამოყენებული იყო ორი ისრიანი ამწე.

მალის ნაგებობა მოთავსებულ იქნა ვიადუკის ძველ ბურჯებზე, რომელთა მზიდუნარიანობა განგარიშებით იყო შემოწმებული. ამით ერთხელ კიდევ დადასტურდა მშენებლობის მაღალი ხარისხი, რასაც ინჟინრები რკინიგზის ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის დროს აღწევენ.

საინჟინრო ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზეა აღზრდილი ინჟინერ-დამპროექტებლებსა და ინჟინერ-მშენებლების თანამედროვე პლუადა. მათი შრომის შედეგია ის დიდი წარმატებები, რასაც ამიერკავკასიის რკინიგზამ მიაღწია მშენებლობის დარგში. ამგნებულ იქნა მთელი რიგი უნიკალური ნაგებობები, ჩრგანოვანი სოხუმის ჩრდილოეთი და სამხრეთი ესტაკადები, ზზიფის ხიდი, გვირაბები სოხუმი — ადღერისა და ჭიათურის უბნებზე. ზემოაღნიშნულში თავისი წვლილი შეიტანეს საპროექტო ორგანიზაციებმა — „კავკავპროტრანსმა“ და ამიერკავკასიის რკინიგზის საპროექტო ინსტიტუტმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა — ამიერკავკასიის ტრანსმშენმა და რკინიგზის სამშენებლო ტრესტმა.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ გამოცდილი ინჟინრები: აკადემიკოსი კ. ზაგრიევი, პროფესორები: ვ. გურგენიძე, ნ. გვარამაძე, ვ. სლავინსკი, პ. სოლოვიოვი, ვ. ვნედოვსკი, დოცენტები: მ. კობახიძე, უ. კოჩიევი, მ. ეზოაშვილი, გ. ბუაჩიძე, ა. გევიძე. ისინი სათავეში ედგნენ საინჟინრო ნაგებობების პროგრესული კონსტრუქციების შექმნისა და მათი განვითარების საქმეს.

ნახ. 6. „კავკავპროტრანსის“ შვაგსაწინააღმდეგო კედელი



# ვაგონების ჰარკის განვითარების მუშაობები

ქარხანამ სატვირთო და სამგზავრო ვაგონების გამოშვება დაიწყო 1846 წლიდან. ორი წლის განმავლობაში აშენდა დაახლოებით 2000 სატვირთო დახურული ვაგონი და 580 ბაქანი. ყველა ეს ვაგონი ოთხღერძიანი იყო. ლითონის მასალის ნაკლებობის გამო ვაგონების მშენებლობაში ძირითად მასალად იყენებდნენ ხეს. ვაგონის ტვირთამწეობა იყო 8,2 ტ. ლერძზე დატვირთვა — 4 ტ. იმ დროს წყვილთვალიდან ლიანდაგზე დასაწეობები დატვირთვა შეადგენდა 10 ტ-ს.

ვაგონის ტვირთამწეობისა და ლერძიდან ლიანდაგზე გადაცემული დატვირთვის გაზრდისათვის საჭირო იყო ჩარჩოს ხის ნაწილების ლითონით შეცვლა ან ორღერძიანი ვაგონების მშენებლობაზე გადასვლა.

1855 წ. დაიწყო ორღერძიანი ვაგონების მშენებლობა, 1861 წ. კი გადავიდნენ მთლიანლითონის ნახევარვაგონების მშენებლობაზე.

1868 წ. აშენდა ბალასტის გადასაზიდი ვაგონები, რომელთა ძარა შეიძლებოდა გადაბრუნებულყო სათანადო მექანიზმით. ეს ვაგონები თანამედროვე დუმპკარების წინამორბედი.

1872 წელს დაიწყო ორღერძიანი ცისტერნების, 1880 წელს კი — იზოთერმული ვაგონების გამოშვება. 1875 წლისათვის სატვირთო ვაგონების პარკი შეადგენდა 52 ათას ერთეულს.

რუსეთის კერძომესაკუთრულმა წყობილებამ სავაგონო მშენებლობის საქმესაც თავისი უარყოფითი დალი დასვა. მაშინ, სახელმწიფო რკინიგზების გარდა, მრავალი კერძო გზა არსებობდა. თითოეული კერძო მესაკუთრე დამოუკიდებლად აძლევდა ქარხნებს ვაგონების შეკვეთას, რის შედეგადაც სატვირთო ვაგონების პარკში მრავალმა სხვადასხვა ზომისა და ტიპის ვაგონმა მოიყარა თავი. 1869 წ., როდესაც მსოფლიოში პირველად განხორციელდა რუსეთის რკინიგზებს შორის ვაგონების გადაუტვირთავად პირდაპირი მიმოსვლა, გამოვლინდა სხვადასხვა ტიპის

ვაგონების არსებითი უარყოფითი მხარეები. ამის გამო დღისევა საკითხი სატვირთო ვაგონების ნორმალიზაციის შესახებ.

1875 წელს მიმდგომი გზათუ მკონსტრმა განკარგულბმა ვასცა რუსეთის ყველა რკინიგზისათვის აშენებინათ ერთნაირი ტიპის ორღერძიანი დახურული ვაგონები. მათი ძარის შიგა სიგრძე უნდა ყოფილიყო 6,4 მ; სიგანე — 2,743 მ; ტვირთამწეობა — 10 ტ; ვაგონის საკუთარი წონა (ტარა) — 6,8 ტ; აღნიშნულმა ვაგონმა „ნორმალური“ ტიპის ვაგონის სახელწოდება მიიღო. რუსი კონსტრუქტორების მიერ განუწყვეტლივ წარმოებდა „ნორმალური“ ტიპის ვაგონების გაუმჯობესება და ტვირთამწეობის გაზრდა.

აღნიშნული ვაგონების ტვირთამწეობა 1891 წელს გაიზარდა 12,5 ტ-მდე; 1905 წ. — 15 ტ-მდე, 1911 წ. — 16,5 ტ-მდე და 1933 წ. — 18 ტ-მდე. ტვირთამწეობის ცვლილებისას ვაგონის ჩარჩო და ძარა არ შეცვლილა, მხოლოდ გაძლიერდა რესორები და ღერძები.

„ნორმალური“ ტიპის ორღერძიანი დახურული ვაგონების ბაზაზე მოხდა სხვა ტიპის ვაგონების (ბაქნების, ცისტერნების, იზოთერმული და ნახევარვაგონების) ნორმალიზაცია.

900-იან წლებში რუსეთის რკინიგზებზე მძლავრი ლოკომოტივების დანერგვის შედეგად საჭირო შეიქმნა ოთხღერძიანი დიდტვირთულობის ვაგონების მშენებლობა.

რუსეთის ქარხნებმა 1900—1908 წლებში შექმნა 15 სხვადასხვა კონსტრუქციის დიდტვირთულობის ვაგონი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 37,5 ტ ტვირთამწეობის მთლიანლითონის ნახევარვაგონები.

1905 წელს მოსკოვი — ყაზანის რკინიგზის შეკვეთით ააშენეს 30 ტ ტვირთამწეობის ოთხღერძიანი ვაგონები. 1908 წელს გამოშვებულ იქნა 33 ტ ტვირთამწეობის ოთხღერძიანი ბაქნები, ხოლო 1910 წ. ინეინერ სილიჩის პროექტით აშენდა პირ-

ინჟინერი ზ. ცაპინინიძე

რუსეთის პირველი მაგისტრალური გზის (პეტერბურგი — მოსკოვი) მშენებლობამ დასვა საკითხი სამამულო კონსტრუქციის სატვირთო და სამგზავრო ვაგონების მასობრივი გამოშვების შესახებ. ამ მიზნით 1843 წელს გადაწყვიტეს, ვაგონების მშენებლობის წარმოებისათვის მიმოსვლის გზათა სამინისტროს განკარგულებაში გადასულიყო პეტერბურგის ალექსანდროვის თუჟასასმელი ქარხანა.

ველი იზოთერმული ვაგონი მექანიკური მაცივრით, რომლის ტვირთ-აქწერა იყო 11 ტ, ხოლო ტარა — 47 ტ.

1846 წლიდან პეტერბურგის ალექსანდროვის ქარხანა, გარდა სატვირთო ვაგონებისა, უშვებდა პირველი, მეორე და მესამე კლასის სამგზავრო, აგრეთვე სახარგო და საფოსტო ვაგონებს. პირველი გამოშვების ვაგონები ყველა ოთხღერძიანი იყო ორღერძიანი ურკეებით. გარდა ამისა, ამ ქარხანამ ააშენა სამასხურებრივი დანაშნულელების 25,2 მ სიგრძის ვაგონები. ეს ვაგონები ცუდად იყო მოწყობილი: არ ჰქონდა ტულაქტი, პირსაბანი, გასათბობი მოწყობილობა, ხელის ბარგის დასაწყობი თაროები და სხვ.

1866 წლიდან ყველა სამგზავრო ვაგონში მოეწყო მშრალი გათბობა (ღუმლებით), ხოლო 1868 წლიდან — ტულაქტი.

1866 წელს კოვროვოს რკინიგზის სახელოსნოში აშენდა ოთხღერძიანი 18 მ სიგრძის სამგზავრო ვაგონები ორთქლით გათბობის ინდივიდუალური სისტემით, რომელიც 1877 წლიდან შეიცვალა წყლით გათბობის სისტემით.

რუსი კონსტრუქტორები სამგზავრო ვაგონების ნორმალიზაციაზედაც ზრუნავდნენ. ამ მიზნით 1896 წელს კოვროვოს რკინიგზის სახელოსნოში დაპროექტდა ოთხღერძიანი 18 მ სიგრძის სამგზავრო ვაგონი, რომელმაც „18-მეტრიანის“ სახელწოდება მიიღო და დიდხანს ითვლებოდა ტიპურად რუსეთის რკინიგზებისათვის. პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის შედეგად რუსეთის რკინიგზაზე ვაგონების პარკი ძალზე შესუსტდა და 1919 წ. ბოლოსათვის 160 ათას ერთეულს შეადგენდა. 1919 წლის დეკრეტის თანახმად, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის აღსადგენად მობილიზებულ იქნა მრეწველობის 20 მძლავრი ქარხანა. ფაქტიურად 1920 წლიდან იწყება სავაგონო მეურნეობის აღდგენის პერი-

ოდი, ხოლო 1923 წლიდან განახლდა ახალი ვაგონების მშენებლობა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ვაგონების პარკი მძლავრი სატვირთო და სამგზავრო ვაგონებით შეიცვალა.

1922—1923 წწ. დაიწყო ორღერძიანი 20 ტ ტვირთამწეობის სატვირთო ვაგონების მშენებლობა. 1926 წელს ვაგონსამშენებელმა ქარხნებმა ათივისეს ოთხღერძიანი 50—60 ტ ტვირთამწეობის ვაგონების (დახურული, ბაქნება, ნახევრავაგონები, ცისტერნები, სპეციალური ვაგონები) მშენებლობა.

1925—1931 წლებში ფ. კახანცევმა და ი. მატროსოვმა შეიმუშავეს ავტომუხრუჭები, რამაც მთლიან ავტომუხრუჭებზე გადასვლის საშუალება მოგვცა.

დიდი სამუშაოები ჩატარდა ავტოგადაბმულობის კონსტრუქციის შესაქმნელად 1929—1934 წწ. კონსტრუქტორებმა ი. ნოვიკოვმა და ვ. გოლოვანოვმა შექმნეს ავტოგადაბმულობა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ატარებს საბჭოთაური ავტოგადაბმულობის სახელს (CA-3).

1957 წელს დამთავრდა მთელი ვაგონების პარკის ავტოგადაბმულობაზე გადაყვანა.

სამგზავრო ვაგონების მშენებლობის განახლება დაიწყო 1925 წლიდან. პირველად წარმოებდა საქალაქთაშორისო რკინისხარჩოიანი 14 მ სიგრძის ვაგონების მშენებლობა, 1928 წელს შემუშავდა რკინისხარჩოიანი 20,2 მ სიგრძის სამგზავრო ვაგონის კონსტრუქცია. ამ ვაგონის მიხედვით აშენებდნენ მაგარი, რბილი, საფოსტო, სახარგო და რესტორნის ტიპის ვაგონებს.

ოპამდელ ხუთწლედში დაიწყო მთლიანლითონის სამგზავრო ვაგონების მშენებლობა. კალინინის და ლენინგრადის ვაგონსამშენებელმა ქარხნებმა 1935—1939 წლებში ააშენეს საცდელი მთლიანლითონის 25—25,2 მ სიგრძის სამგზავრო ვაგონები.

საბჭოთა ხუთწლედების მანძილზე ვაგონსამშენებელმა ქარხნებმა ათივისეს და სერიალად გამოუშვეს სხვადასხვა ტვირთამწეობის და დანიშნულების მქონე ორ და ოთხღერძიანი დახურული ვაგონები.

ხუთწლედების მანძილზე დიდი ცვლილებები განიცადა სამგზავრო ვაგონების პარკაც. დამუშავდა და სერიალად დაიწყო 23,6 მ სიგრძის მთლიანლითონის სამგზავრო ვაგონების გამოშვება. ამგვარი ვაგონები შნდებდა მაგარი უქუქეო და კუქეებიანი, რბილი, საერთაშორისო, საფოსტო, ვაგონი-რესტორანი, სახარგო და სხვ. ვაგონები უზრუნველყოფილია მგზავრთა კულტურული მომსახურებისათვის საჭირო კომფორტით (ვენტილაცია, წყლით ან ელექტროვათბობა, რადიოგაყვანილობა და სხვ.).

ამჟამად სამგზავრო მატარებლები ზოგიერთ უბნებზე 160 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობს. ასეთი სიჩქარის უზრუნველყოფა შესაძლებელია ელექტროანივემატური მუხრუჭების გამოყენებით. მატარებლის მდგომარეობისა და განივი რხევების შემცირების მიზნით გამოყენებულია ურიკა, რომელზედაც დაყენებულია ჰიდრაულიური რხევის შთანთქმელი.

მეცხრე ხუთწლედში გათვალისწინებულია მაგისტრალური სატვირთო ვაგონების მშენებლობის მკვეთრი ზრდა. ამ მიზნით მიმდინარეობს როგორც ძველი ვაგონსამშენებელი ქარხნების რეკონსტრუქცია, ისე ახალი ვაგონსამშენებელი ქარხნების მშენებლობა. შნდებდა დიდი მწარმოებლობის აბაკანის ვაგონსამშენებელი ქარხანა, რომლის პირველი რიგი ექსპლოატაციაში გაშვებული უნდა იქნეს 1973—1975 წლებში. დაწყებულია მშენებლობა ბელიოვისკის მუხრუჭების ქარხნისა, რომელიც სპეციალიზებული იქნება სამუხრუქე მოწყობილობის გამოშვებაზე. 1970 წლიდან კადიევის ვაგონსამშენებელმა ქარხანამ დაიწყო ოთხღერძიანი რკინისქიმიებიანი ბაქნების გამოშვება.

ასეთი ღონისძიებების ჩატარება რკინიგზის ტრანსპორტს საშუალებას მისცემს მოკლე დროში შეავსოს მოძრავი შემადგენლობა თანამედროვე ტიპის ვაგონებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ყოველწლიურად მზარდ სახალხო მეურნეობის ტვირთის გადაზიდვას.

მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია ხისძარბაინი ვაგონის ნაცვლად მთლიანდრონის დასურსული ვაგონის შენეობა. წელს კრუკოვსა და ურალის ვაგონსაშენებელ ქარხნებში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მონაწილეობით სერიულ წარმოებისათვის დამუშავდა რეაღერძიანი 125 ტ ტვირთაშენეობის ნახევარვაგონების კონსტრუქცია. ასეთი ვაგონების გამოშვებას 1973 წლიდან დაიწყებს კადიევის ვაგონსაშენებელი ქარხანა. რეაღერძიანი მთლიანდრონის ნახევარვაგონების შენეობას, ახალ ხუთწლედში აწარმოებს აგრეთვე ურალის ვაგონსაშენებელი ქარხანა, ურალის მძიმე მანქანათმშენებელი ქარხანა კი ყოველწლიურად გაზრდის რეაღერძიან 120 ტ ტვირთაშენეობის ცისტერნების გამოშვებას.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ორსართულიანი ბაქნების შენეობა, რომლებიც განუთვნილია ავტომანქანების გადასატანად. ასეთ ბაქანზე თავსდება 17 მსუბუქი ავტომანქანა „უიჯული“, რომლებიც მაგრდება სპეციალური სამაგრებით. ორსართულიანი ბაქნების სერიული გამოშვება დაიწყო კალინინის ვაგონსაშენებელ ქარხანაში, 1971 წელს აქ აშენდა 200 ასეთი ვაგონი, მიმდინარე წელს და შემდეგში კი ყოველწლიურად 400 ვაგონი აშენდება.

დღი სამუშაოები ტარდება დნეპროძერჟინსკის ქარხანაში ბაქნებისა და ალტაის ქარხნებში დახურული ვაგონების კონსტრუქციის გასაუმჯობესებლად.

მინერალური სასუქებისა და ნედლეულის მზარდ გადაზიდვებთან დაკავშირებით წამოიჭრა მინერალური

სასუქებისა და მინერალური სასუქების ნედლეულის გადასაზიდი სპეციალური ვაგონების შენეობის საკითხი. ასეთი ტიპის ვაგონების შენეობა წარმოებს კრუკოვს ქარხანაში. მიმდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია 35 ათასი ვაგონის გამოშვება. ამ ქარხანამ უნდა შექმნას ორი ძირითადი ტიპის ვაგონი „პოპერი“, ერთი — მძიმე ტვირთის, მეორე კი — მჩატე ტვირთის გადასატანად, შეფუთვის გარეშე.

მეცხრე ხუთწლედში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს აგრეთვე სამგზავრო ვაგონების კონსტრუქციის შემდგომი გაუმჯობესება, მსუბუქი სმულის, მკვრივი პლასტიკების, მაღალი სიმტკიცის უქანავი ფოლადის გამოყენებით და სხვ. გარდა ამისა, საბოლოოდ უნდა დაიხვეწოს და დამუშავდეს ჰაერის საკონდიციო დანადგარების მოწყობილობა.

ამ ბოლო წლებში კალინინისა და ლენინგრადის ვაგონსაშენებელმა ქარხნებმა უდიდესი მუშაობა ჩატარეს სამგზავრო ვაგონის კონსტრუქციის გაუმჯობესების საქმეში.

1971 წელს კალინინის ვაგონსაშენებელმა ქარხანამ ააშენა კუბებიათი სამგზავრო ვაგონების პარტია სპეციალური ვაგონ-ელექტროსადგურიდან ცენტრალიზებული ელექტრომომარაგებით. ლენინგრადის ქარხანამ კი — 30 კვტ სიმძლავრის ვაგონ-ქვეშავეწერატორიანი რბოლი ვაგონები.

ყურადღებას იპყრობს ლენინგრადის ვაგონსაშენებელი ქარხნის მიერ აშენებული საფოსტო ვაგონი, სადაც წინასწარ მიცემული პროგრამის მიხედვით წარმოებს საფოსტო ამათებითი კონტეინერების მექანიზებული ცაცემა.

ამჟამად ვაგონსაშენებელი ქარხნები მუშაობენ იმ მიმართულებით, რომ შექმნან ისეთი სამგზავრო ვაგონები, რომლებიც უზრუნველყოფენ 200 და მეტ კმ/სთ სიჩქარით მოძრაობას.

აშენდა რეაქტიული ძრავის მქონე ვაგონ-ლაბორატორია, რომელიც განაგარაშებულია 250 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობაზე. ამ ვაგონში დაყენებულია ЯК-40 თვითმფრინავის რეაქტიული ძრავა, რომელიც ჰაერში განსაზღვრული დრო დაჰყო.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე არა მარტო მოძრაობს შემოჩამოთვლილი ვაგონები, არამედ რკინიგზის ხაზის რთული პროფილის გამო იგი ითვლება ეგრეთ წოდებულ „პოლიგონად“ ახალი სახეობის მოძრავი შემადგენლობისა და მისი კვანძების საექსპლოატაციო გამოცდისათვის.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე სხვადასხვა დროს გამოცადა ექვს — და რეაღერძიანი ცისტერნები, სხვადასხვა ტიპის ავტომუხრუბები, მუხრუბის ხუნდები, მემანქანის სამუხრუბო ონკანი და სხვა კვანძები და ვაგონები.

ახალი კონსტრუქციის ვაგონებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ამიერკავკასიის რკინიგზის სავაგონო მეურნეობის მუშაკებმა.

საბჭოთა კავშირის რკინიგზაზე ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთს წარმოადგენს ტყიბული — ქუთაისის უბანი, რომლის ქანობი აღწევს 48 % ი. აქ მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით გამოყენებულია ხისტი ავტომუხრუბი, რომლის კონსტრუქცია შექმნა ყოფილმა სავაგონო სამსახურის სავაგონო ინსტრუქტორმა მ. ვოლჟინმა ვ. კრილოვთან და სხვა კონსტრუქტორებთან ერთად.

აღსანიშნავია რომ 1969 წელს თბილისში ჩატარდა მუხრუბების სპეციალისტთა საერთაშორისო თაბიბრი, რომელშიც მ ქვეყნის (გდრ, გფრ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი, სფრანგეთი, იტალია და შვეიცია) წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

# გამოთვლითი ტექნიკა და ავტომატიზაცია

## ქრანსპორტზე

ლ. აბულაძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

გამოთვლითი ტექნიკა საგრძობლად აღიწერს ეკონომისტების, მგეგმავების, ინჟინრებისა და სხვ. მუშაკთა შრომისნაყოფიერებას, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის შემდგომ განვითარებასა და ვაგონცელების მრეწველობის ყველა დარგში, მათ შორის სატრანსპორტო მრეწველობაში.

განუწყვეტილი რთულდება სატრანსპორტო პროცესები, წარმოების სტრუქტურა, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის ხასიათი, სატრანსპორტო საწარმოთა ურთიერთდამოკიდებულება და კავშირები. სწრაფად იზრდება დაგეგმვისათვის საჭირო ინფორმაციის მოცულობა. ტრანსპორტის მუშაობის დაგეგმვის გაუმჯობესება, რაციონალური პერსპექტიული გეგმების შედგენა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიური ძლიერების გაზრდის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს.

ამჟამად გამოთვლითი ტექნიკისა და მათემატიკის თანამედროვე მეთოდების (ტუბრველეს ყოვლისა, მათემატიკური დაპროგრამების) გამოყენება დიდ დახმარებას გვიწევს ტრანსპორტის მუშაობის ოპტიმალურ დაგეგმვაში.

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემა სატრანსპორტო პროცესების ავტომატური მართვა ელექტრონული გამოთვლითი მანქანების საშუალებით, რაც თავისი განვითარების ტემპებით ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება დღევანდელ გაზრდილ მოთხოვნილებებს. არსებული ავტომატიზებული სისტემები კვლავაც მოითხოვს უფრო დრმა შესწავლას და ანალიზს, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ახალი, უფრო პროგრესული სისტემების შექმნას. ამ მხრივ დიდი პრობლემაა დაყენებული ტრანსპორტის წინაშე სკკპ XXIV ყრილობის მიერ.

საერთო სატრანსპორტო მასშტაბით მართვის ძირითადი ამოცანებაა გადაზიდვის დაგეგმვა (წლუთური, კვარტალური, მიმდინარე), გადაზიდვის ოპტიმალური განა-

წილება ტრანსპორტის სახის, მიმართულებისა და შესრულების ვადების მიხედვით; ტვირთზიდვის დროის ხის სრულყოფა და ოპერატიული მართვა; სხვადასხვა სახის ტრანსპორტის შეთავსებული ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია სატრანსპორტო ქსელში და მათი შესრულების კონტროლი; ოპტიმალურ ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ ღონისძიებათა შემუშავება, რომელთა საფუძველზეც განხორციელდება ტვირთზიდვა რამდენიმე სახის ტრანსპორტის მონაწილეობით.

თითოეული სახის ტრანსპორტის მართვის რთული სისტემა აიგება პრინციპით „ადამიანი — მანქანა“, რომელშიც მკაფიოდ უნდა გამოიყოს მართვის დარგობრივი ავტომატიზებული სისტემა და რამდენიმე ფუნქციონალური და ტერიტორიული ქვესისტემა. შესაბამისი ქვესისტემები მოემსახურება სადგურების, ნავსადგურების, სარემონტო ქარხნების, მატარებლებში მგზავრთა ადგილების რეზერვირების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სხვ. მართვას.

ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის მართვის ავტომატიზაცია წარმოადგენს სატრანსპორტო მუშაობის სრულყოფისა და მისი მაჩვენებლების გაუმჯობესების რეალურ გზას.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ გამოყენება ტვირთზიდვის დაგეგმვასა და განაწილებაში, სატრანსპორტო საშუალებათა პროგნოზში, აგრეთვე საქსპლოატაციო მუშაობის ოპერატიულ დაგეგმვასა და რეგულირებაში, სატრანსპორტო-საინჟინრო და ეკონომიურ პრობლემათა გადაჭრაში.

სხვადასხვა სახის ტრანსპორტს შორის წამყვანი ადგილი უკავია რკინიგზის ტრანსპორტს, რომელზედაც მოდის ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის დიდი წილი. ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორია რკინიგზების ხშირი ქსელითაა დაფარული, რომელთა საერთო სიგრძე 140 ათას კმ-მდე აღწევს. სერიალური მნიშვნელობა ენიჭება ამ უდიდესი სატრანსპორტო კონფიგურის მართვას და რაციონალურ გამოყენებას, რაც შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული გამოთვლითი და მმართველი მანქანების დახმარებით.


გამოთვლითი ტექნიკის დანერგვა რკინიგზის ტრანსპორტზე ამჟამად ხორციელდება რკინიგზის სამმართველოებში გამოთვლითი ცენტრების შექმნით. აღნიშნული გამოთვლითი ცენტრების (გც) სისტემის შექმნა ითვლება ავტომატიზებული მართვის ძირითად ტექნიკურ საშუალებად. ამ სისტემის სათავეში უდგას მიმოსვლის გზათა სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრი (მგც). გამოთვლითი ცენტრების სისტემაში უნდა შევიდეს როგორც შემადგენელი ქვესისტემები, ისე 10-მდე სპეციალური მართვის ავტომატური სისტემა (სადგურების კვანძებისა და უბნების მუშაობა; ბილეთების გაყიდვა და ადგილების რეზერვირება სამგზავრო მატარებლებში; კომერციული ოპერაციები; ინფორმაციის ამოკითხვა უშუალოდ ვაგონებიდან და ლოკომოტივები-

დან და სხვ.). მთავარი გამოთვლითი ცენტრის საშუალებას მოგვეცემს ოპტიმალურად გადავჭრათ მთელი რიგი სატრანსპორტო ამოცანები რკინიგზების მილიანი ქსელის მასშტაბით.

რკინიგზის სამმართველოების გამოთვლითი ცენტრებში გადაწყდება გრძელვადიანი დაგეგმვის, აღრიცხვისა და სტატისტიკის ამოცანათა ფართო ჯგუფი. გამოთვლითი ცენტრებს დაევალება აგრეთვე საინფორმაციო-დამგეგმავ სისტემათა ფუნქციებიც რკინიგზების მსხვილ კვანძებსა და სადგურებში. ამჟამად უკვე შედგენილია და არსებობს მანქანური პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც ამოიხსნება 100-ზე მეტი სარკინიგზო ამოცანა.

ვათვალისწინებულა უახლოეს პერიოდში დამთავრდეს გამოთვლითი ცენტრების ერთიანი ქსელის შექმნა, ე. ი. თითოეულ რკინიგზაზე მოეწყოს სათანადოდ აღჭურვილი გამოთვლითი ცენტრი.

დად სარკინიგზო კვანძებში, რომლებიც შეიცავს რამდენიმე დამხარისხებელ, სატვირთო და სხვა სადგურს, იქმნება ე. წ. საინფორმაციო-დამგეგმავი სისტემები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა მართვის პროცესების სრულყოფა. ასეთი სისტემების შექმნა საშუალებას მო-



ნახ. 1. კლავიშოანი სათვლელ-სატექსტო მანქანა „ასკოტ“ (გლრ), რომელიც ფართოდ გამოიყენება ტრანსპორტზე საბუხალტრო საქმიანობაში

გვეცემს გაცილებით უკეთ გამოიყენოთ რკინიგზის მოძრაობის შემადგენლობა.

ამჟამად საინფორმაციო-დამგეგმავი სისტემები შექმნილია და წარმატებით მუშაობს მოსკოვის, ოქტომბრის, სვერდლოვსკის, გორკისა და სამხრეთ-დასავლეთ რკინიგზებზე; ისინი უზრუნველყოფენ ამ გზების მსხვილ დამხარისხებელ სადგურთა უკეთეს რიტმულობას და მუშაობის სტაბილურობას. უახლოეს წლებში ვათვალისწინებულა დაინერგოს საინფორმაციო-დამგეგმავი სისტემა 14 სარკინიგზო კვანძზე, ხოლო 1980 წლისათვის ასეთი სისტემით უნდა აღიჭურვოს ყველა მსხვილი სარკინიგზო კვანძი.


რკინიგზის ტრანსპორტზე ტვირთშიღვის პროცესების მართვისა და დიდ დამხარისხებელ სადგურთა მუშაობის სრული ავტომატიზაციის განხორციელებისათვის სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ინფორმაციის პირდაპირ ვაგონებიდან ამოკითხვის საშუალება-

თა დამუშავება; თანაც, ეს ოპერაცია უნდა სრულდებოდეს ვაგონების მოძრაობის პირობებში. დღეს უკვე არსებობს ისეთ წამკითხველ მოწყობილობათა საცდელი ნიმუშები, რომლებიც დადებით შედეგებს იძლევა და განიცდის სრულყოფას. აღნიშნულ მოწყობილობათა მასობრივად დანერგვა ყველა სადგურზე მიითხოვს რკინიგზის ვაგონების აღჭურვას სპეციალური კრდღობი გადაწყობებით.

დიდ ინტერესს იწვევს ისეთი ავტომატიზებული სისტემების შემდგომი სრულყოფა, როგორცაა რკინიგზის „უზნის ავტოდისპეტჩერი“, „ავტომემანქანე“ და „სადგურის ავტოდისპეტჩერი“. მათი დანიშნულებაა რკინიგზის უზნის, მატარებლებისა და სადგურების უშუალო მართვა. მატარებლებისა და ვაგონების ვადადგილების წესებისა და მიმდევრობის დაგეგმვა და კონტროლი.

ამჟამად უკვე დამუშავებულია სისტემა „უზნის ავტოდისპეტჩერის“ საექსპლოატაციო და ტექნოლოგიური საფუძვლები. სისტემის დანიშნულებაა უხელმძღვანელოს და მართოს მატარებელთა მოძრაობა მთელ უბანზე, ე. ი. შესარულოს სამატარებლო დისპეტჩერის მოვალეობა. აღნიშნული სისტემა გადის გამოცდას რკინიგზების ერთ-ერთ უბანზე და ჯერ კიდევ სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს. პირველ ყოვლისა, საჭიროა გამოიყენოთ საკმაოდ საიმედო და უნიკალური მმართველი გამოთვლითი მანქანები.

„ავტომემანქანე“ განკუთვნილია ლოკომოტივის მოძრაობის ავტომატური მართვისათვის, ე. ი. იგი ცვლის ლოკომოტივის მემანქანეს, ასრულებს მის ფუნქციებს. წინასწარ მიცემული პროგრამის მიხედვით მას შეუძლია ატაროს მატარებელი ოპტიმალური რეჟიმით და უზრუნველყოს არა მარტო მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის მკაცრი დაცვა, არამედ ხარჯების მაქსიმალური შემცირება, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „ავ-




ნახ. 2. სპეციალიზებული მათემატიკური მანქანა „ობიტუმში-2“ (სსრკ), რომელიც გამოიყენება სატრანსპორტო გადაზიდვათა დაგეგმვის ოპერაციების მქანისაციისათვის

ტომემაქანე“ წარმატებით მუშაობს მეტროპოლიტენებში და საცდელ ექსპლუატაციაშია რკინიგზის ცალკეულ უბნებზეც.

სისტემა „სადგურის ავტოდისპეტჩერის“ დანიშნულებაა აწარმოოს დიდი დამხარისხებელი სადგურის მთელი შინაგანი მუშაობის ოპერატიული დაგეგმვა და მართვა. აღნიშნული სისტემა მუშაობს სადგურ ორგანოვან უხევეოში (მოსკოვის რკინიგზა) და საკმაოდ კარგ შედეგებსაც იძლევა.

გარდა აღნიშნული ავტომატური სისტემებისა, მუშავდება სხვა მრავალი მოწყობილობა და სისტემა, რომლებიც ხელს შეუწყობს რკინიგზის ტრანსპორტზე საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის დონის ამაღლებას. ასეთ ავტომატურ სისტემებს და მოწყობილობებს ეკუთვნის ბილეთების გაყიდვისა და სამგზავრო მატარებლებში ადგილების რეზერვირების სისტემა, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ავტომატიზაციის სახეობა, კომერციული ოპერაციების ავტომატიზაციის მოწყობილობები და სხვ.

მრავალი სერიოზული საექსპლუატაციო ამოცანა და საინჟინრო გაანგარიშება გადაწყდება ელექტრონული გამოთვლითი ციფრული მანქანებით; მაგალითად, მატარებელთა მოძრაობის გრაფიკებისა და სადგურთა სააღდამისო გეგმა-გრაფიკების შედგენა, მატარებელთა ფორმირების გეგმისა და მარშრუტიზაციის ანგარიში,



ნახ. 8. მოტორავაგონთა სექციების ავტომატური მართვისათვის განკუთვნილი სისტემის „ავტომემაქანის“ საერთო ხედი (სსრკ)

ავაგონთა რეგულირება და მოძრავე შემადგენლობის პროგნოზი, გზის უბნების გამტარუნარიანობის გამოთვლა და სხვ.

გამოთვლითი ტექნიკის აღმავლობასთან ერთად მართდება გამოყენებითი მათემატიკის [თანამედროვე] მეთოდებიც. ამ უკანასკნელმა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს გამოთვლითი და მმართველი მანქანების სრულყოფას და მათი გამოყენების სფეროს მნიშვნელოვან გაფართოებას ტრანსპორტზე. ამჟამად მრავალი სატრანსპორტო ამოცანა ამოისწავლა გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე მეთოდებით, რაც დიდად შეუწყობს ხელს საექსპლუატაციო პრობლემების შემდგომ განვითარებას და მუშაობის ეფექტურობის მნიშვნელოვან ამაღლებას.

დიდია გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების არც სხვა სახის ტრანსპორტზეც; მაგალითად, საზღვაო ტრანსპორტის მართვის ავტომატური სისტემა ხელს შეუწყობს მისი მუშაობის გაუმჯობესებას, რაც განხორციელდება იმის ბაზაზე, რომ შეიქმნება მართვის ორგანოების საინფორმაციო უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა და დამუშავდება საზღვაო გადაზიდვის ოპტიმალური დაგეგმვის, კონტროლისა და რეგულირების მეთოდები. მართვის ავტომატური სისტემის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად უნდა გადაიქცეს ურთიერთმოქმედი გამოთვლითი ცენტრების ქსელი — საზღვაო ფლოტის სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრი, ზღვაოსნობის გამოთვლითი ცენტრები, ფლოტის სამმართველოების, ნავსადგურებისა და გემთსაშენებელი ქარხნების გამოთვლითი ქვეგანყოფილებები.

სამოქალაქო ავიაციაში მართვის ავტომატური სისტემების შექმნა დაიწყო 1964 წლიდან. ამჟამად უკვე დაწერა რამდენიმე სისტემა ისეთ პროცესებში, როგორცაა საჰაერო მაგისტრალურ ხაზებზე გადაზიდვების დაგეგმვა და მართვა, სარემონტო ქარხნებში წარმოების მართვა, სამოქალაქო ავიაციის საწარმოო სამმართველოებში მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დაგეგმვა, საწვავი მასალების დანაწილება, ბილეთების გაყიდვის ავტომატიზაცია და სხვ.

საავტომობილო ტრანსპორტზე ამ ბოლო წლებში შესამჩნევად გააქტიურდა მუშაობა გამოთვლითი ტექნიკისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ფართოდ გამოყენებისათვის გადაზიდვების პროცესთა მართვის საქმეში. ამ საკითხებზე მუშაობს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მთავარი გამოთვლითი ცენტრი და რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია.

სამდინარო ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესთა ოპტიმიზაციის პრობლემა წყდება ოპტიმალური დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნის საფუძველზე. ამჟამად უკვე დამუშავებულია

(დასასრული იხილეთ 28-ე 88-ზე)

ინჟინერი ნ. მბალაშვილი

ჩამოიხა კალენდრის მორიგი ფურცელი.

ყოველი დღე გვიხსოვებს ღირსშესანიშნავ თა-  
რილს — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ამ დღეებში ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინი-  
გზელთა დიდი არმია ერთხელ კიდევ დიდი კმაყოფილე-  
ბით გადაავლებს თვალს განვითარებისა და პროგრესის  
განვლილ გზას.

რევოლუციამდელი რუსეთი ტექნიკის განვითარების  
დაბალი დონით ხასიათდებოდა. ამიერკავკასიის რკინი-  
გზაზე მატარებლების მოძრაობის რეგულირება წარ-  
მოებდა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმუ-  
ლობის უმარტივესი საშუალებებით. ტრანსპორტი მო-  
კლებული იყო მოძრაობის ერთიან ხელმძღვანელობას;  
მის რეგულირებას ახდენდნენ სადგურის მორიგეები,  
რომლებიც მატარებელთა განრაივით ხელმძღვანელობ-  
დნენ. მეზობელ სადგურთა შორის კავშირი ხორციელ-  
დებოდა მხოლოდ მორჩეს ტელეგრაფის აპარატით, რო-  
მელიც მატარებლის შეთანხმებული მოძრაობის ერთ-  
დერთი საშუალება იყო. მისი რეგულირება აწესრიგებდნენ მატ-  
არებლების მიღება-გასვლისათვის ისრების გადაყვანას.  
ისრის მდგომარეობის სისწორეზე ტექნიკური კონტრო-  
ლი არ იყო დაწესებული. ამრიგად, მატარებლების მოძ-  
რაობის უსაფრთხოება და მოძრაობის გრაფიკის დაცვა  
მთლიანად დამოკიდებული იყო სადგურის მორიგეზე და  
მეისრეზე.

900-იანი წლების დასაწყისში ზესტაფონი — ხაშუ-  
რის უბანზე ზოგიერთი სადგური აღიჭურვა ისრებისა და  
სემაფორების ჰიდრაულიკური ცენტრალიზაციის დანა-  
ღარებით. ამ მიზნით მართვის ცენტრალური პუნქტი-  
დან სადგურისა და სემაფორის ყოველ ისრამდე ჩაწყობი-  
ლ იქნა ცალკეული მილები, რომლებშიაც დიდი წნე-  
ვით წარმოებდა სითხის (ნავთის) მოძრაობა. გადასაცვანი  
მექანიზმი წარმოადგენდა დგუშთა სისტემით აღჭურვილ  
ჰერმეტიკულ რეზერვუარს. ისრებისა და სემაფორების გა-  
დაყვანისათვის სათანადო მილგაყვანილობაში იცვლე-  
ბოდა წნევა. ისრებისა და სემაფორთა მდგომარეობის  
კონტროლი წარმოებდა მართვის აპარატზე. ჰიდრაული-  
კური ცენტრალიზაციის სისტემაში წნევა შენარჩუნებუ-  
ლი იყო ხელისამძრავიანი ტუმბოებით, რაც ფიზიკუ-

რად მიმემა და შრომატევად სამუშაოს წარმოადგენდა. ამ  
ოპერაციის სადგურის მისივე ან მორიგე აწარმოებდა.  
მიუხედავად იმისა, რომ ჰიდრაულიკური ცენტრალიზა-  
ციის სისტემა სრულყოფილი არ იყო, მისი დანერგვით  
მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოება რამდენადმე  
გაიზარდა, დამყარდა კონტროლი ისრებისა და სიგნა-  
ლებზე.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე ავტომატიკის, ტელე-  
მექანიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა ახალი  
ტექნიკის ფართოდ გამოყენება დაიწყო მხოლოდ საბჭო-  
თა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

პირველი ხუთწლედის პერიოდში ამორჩევითი საუბ-  
ნო სელექტორული კავშირის დანერგვის შემდეგობით  
ტრანსპორტზე მატარებლების მოძრაობა და რეგულირე-  
ბა უკვე უბნის დისპეტჩერის ერთიანი ხელმძღვანელო-  
ბით ხდება. ამორჩევითა სელექტორულმა სატელე-  
ფონო კავშირმა უზრუნველყო დისპეტჩერის საიმედო  
კავშირი უბნის ყველა სადგურთან. სახელწოდება „ამორ-  
ჩევითი“ იმის გამო მიიღო, რომ შესაძლებელი გახდა მის  
უბანში ჩართული ნებისმიერი სადგურის ამორჩევით  
გამოახება.

1918 წელს მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოების  
ლონისძიებათა გაუმჯობესებისათვის ამიერკავკასიის რკი-  
ნიგზაზე დაიწყო ელექტროკვერთხის სიგნალიზაციის  
დანერგვა. აღნიშნული მოწყობილობა გამორიცხავდა მა-  
ტარებლის შეცდომით გაშვებას გადასარბენზე, რომელ-  
ზედაც სხვა მატარებელი მოძრაობდა.

1932 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთ  
უბანზე ექსპლოატაციაში შევიდა ავტომატური ბლოკირ-  
რება. ავტობლოკირების მოწყობილობამ აღნიშნულ უბან-  
ზე გაზარდა მატარებელთა მოძრაობის გამტარუნარიანო-  
ბა უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვით. ავტობლოკირ-  
რების დროს მატარებელთა მოძრაობა წარმოებს შექ-  
ნიშნის ჩვენებით. ჩვენებათა ცვლილება ხდება ავტომა-  
ტურად. იგი კონტროლს უწყევს აგრეთვე ხაზზე რელსის  
შეთიანობას. ავტომატური ბლოკირება ერთ გადასარ-  
ბენზე ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე მატარებლის  
გატარების საშუალებას იძლევა.

ხუთწლედების მანძილზე სახალხო მეურნეობის  
მძლავრმა განვითარებამ და ტვირთთა გადაზიდვის გაზარ-

დამ მოთხოვა რკინიგზის სადგურებისა და კვანძების რაოდენობის გადიდება.

გადაზიდვის პროცესების ოპერატიულობისა და გვერდობის უზრუნველყოფაში დიდი წვლილი შეიტანა ადგილობრივმა სატელეფონო კავშირგაბმულობამ (კომუტატორების საშუალებით) და შორეულმა სატელეფონო კავშირმა (მადალისხიურლი აპარატურის გამოყენებით). მაღალსიწორულმა სატელეფონო კავშირმა, მანძილის სიშორისა და მიუხედავად, კავშირის არხების ორგანიზაციის საშუალება შექმნა. ამერიიდან არხების რაოდენობა დამოკიდებულა აღარ იყო კავშირგაბმულობის ხაზზე არსებულ მავთულთა რიცხვზე.

შორეული კავშირის საშუალებით შესაძლებელი შეიქნა ყველა სატელეფონო სადგურის შეერთება რკინიგზის ერთიან სატელეფონო კავშირში, რის შედეგადაც გაიზარდა მრავალდარგობრივი მეურნეობისადმი ოპერატიული ხელშეწყობისა.

ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა კავშირის რკინიგზის მთელი მაგისტრალი თანდათანობით აღიჭურვა ავტომატიკის, ტელემექანიკისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით. ამიერკავკასიის რკინიგზაზე ახალი ტექნიკის შემღვამი დაწერგა მზდა ავტომატიური ბლოკირების გაუმჯობესებული სისტემით, სალოკომოტივი სიგნალიზაციით და ავტოსდქით (რამაც შესაძლებელი გახადა მატარებლების საიმედო და უსაფრთხო მართვა), მემანქანის კაბინაში სალოკომოტივი შექნიშნით (რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ცდელ ხილვადობისა და გზის რთული პრაქტიკის დღი).

ავტოსდქის მოწყობილობამ უზრუნველყო მუხრუქების ავტომატიურ მოქმედებაში მოყვანა მატარებლის გაჩერებისას იმ შემთხვევაში, როდესაც მემანქანე ზომებს არ ღებულობს სიჩქარის შესამკირებლად შექნიშნის მიერ აწყობის სიგნალის ჩვენების შემთხვევაში.

1947 წელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე (სამტარედის სადგურზე) პირველად აგებულ იქნა ისრებისა და სიგნალების ელექტრული ცენტრალიზაცია.

ელექტრული ცენტრალიზაციით შესაძლებელია დილაქზე თითის დაჭირით ისრის სასურველ მდგომარეობაში გადაყვანა და აპარატზე კონტროლის დაწესება. ელექტრული ცენტრალიზაციის დროს მატარებლების მოძრაობა და სამანევრო სამუშაოები ხორციელდება შექნიშნების ჩვენებით, რომლებიც თავისუფალ ხაზზე შეიძლება გაიღოს მხოლოდ მარშრუტის სწორად მოზადების შემთხვევაში. გარდა ამისა, შექნიშნის გაღებისას ისრები ავტომატიურად იკეტება, რაც გამოიციხავს მათ შემთხვევით გადაყვანას მოძრავე შემადგენლობის ქვეშ. ელექტრული ცენტრალიზაცია მაქსიმალურად უზრუნველყოფს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებასა და სდგურებს შორის.

მომდენო წლებში ამიერკავკასიის უზნების მრავალ სადგურში მოიწყო ელექტრული ცენტრალიზაცია. ამ უზნებზე მოწყობილი იქნა ავტომატიური ბლოკირება.

1963 წლის დასაწყისში ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა უზანზე მოძებლებული ელექტროკვებობელი სისტემა შეიცვალა ავტომატიური და ნახევრად ავტომატიური ბლოკირებით.

50-იანი წლების დასაწყისიდან ხელსაყველენების ნაცვლად მასობრივად ინერგება ავტომატიური სატელეფონო სადგურები. 1965 წლისათვის რკინიგზების ყველა სადგურზე ხელის ტელეფონი შეცვლილი იყო ავტომატიური.

სატელეფონო სადგურების ავტომატიზაციასთან ერთად გაფართოდა შორეული კავშირის არხების რაოდენობა B-12 და B-3 მრავალარხიანი მაღალსიწორული აპარატურის დაწერგვით. ამით შესაძლებელი შეიქნა საქალაქთაშორისო კავშირის ავტომატიზაცია რკინიგზის ხაზზე.

1970 წლისათვის ერთიან ავტომატიზებულ საქალაქთაშორისო კავშირის ქსელში ჩართულ იქნა ავტომატიური სატელეფონო სადგურები. გზის სატელეფონო კავშირგაბმულობის ავტომატიზაციისათვის 1968 წელს დამინტაქდა ავტომატიური სატელეგრაფო სადგური, რითაც დამყარდა პირდაპირი კავშირი ყველა სატელეგრაფო სადგურს შორის (სატელეფონო კავშირის მსგავსად ნორმის აკრებებით).

მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით გზის მთელ რიგ უზნებზე 1965 წელს საქსლოატაციოდ გადაეცა დისპეტჩერული ცენტრალიზაციის მოწყობილობები, რომლებიც მოიცავს ავტომატიკის, ტელემექანიკისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობათა კომპლექსს და საშუალებას იძლევა საგზაო უზნის ყველა შუალედურ სადგურზე ისრებისა და სიგნალების მართვა ერთი ცენტრალური პუნქტიდან განხორციელდეს.

მემანქანეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის გზის გარკვეულ უზნებზე დაინერგა სამატარებლო რადიოკავშირი, რომლითაც მემანქანე უკავშირდება გზაზე მასობელი სადგურების მორიგეებს და მატარებლის დისპეტჩერებს. დიდი სადგურები აღჭურვილია რადიოკავშირის სამანევრო და სხვა მოწყობილობებით. ახლო მომავალში სადისპეტჩერო ელექტრული ცენტრალიზაცია, ავტობლოკირება და სამატარებლო რადიოკავშირი მოიწყობა გზის ყველა უზანზე. საპარო მაგისტრალური ხაზები შეიცვლება კაბელებით.

ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალზე ავტომატიკის, ტელემექანიკისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობათა ფართო დაწერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის შრომისდაყოფიერებას, შეამკირებს გადაზიდვათა თვითღირებულებას, გააუმჯობესებს შრომის პირობებს, აამაღლებს წარმოების კულტურას და უზრუნველყოფს უსაფრთხო მოძრაობას.

# ქართველი ინჟინრები და ამიერკავკასიის რკინიგზა

დოკუმტი ბ. ბოგონიძე

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩვენმა სახელოვანმა ინჟინრებმა და მეცნიერებმა დიდი ღვაწლი დასდეს გზატკეცილებისა და რკინიგზების მშენებლობის საქმეს საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

სავაო მშენებლების უფროსი თაობის სახელოვან პლეადას (მ. გარსევანიშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, ა. კაციაძე, ა. ჯორჯაძე, ნ. კვეციანი-კობაძე და სხვ.) ამშენებელ დეალოზილი ქართველი ინჟინერი და მეცნიერი გიორგი პავლეს ძე თუმანიშვილი, რომელსაც ბაბადების 100 წელი მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს უსრულდება.

გ. თუმანიშვილის მთელი მოღვაწეობა მჭიდროდა დაკავშირებული ამიერკავკასიაში რკინიგზების მშენებლობის ისტორიასთან.

იგი დაიბადა ქ. ქუთაისში იმ დროისათვის მეტად განათლებული საზოგადო მოღვაწის ოჯახში. მამამისი — პავლე თუმანიშვილი ჯერ მომრიგებელ-მოსამართლის თანამშემედ, ხოლო შემდეგ ურთიერთნდობის კრ-

დიტის საზოგადოების თავმჯდომარედ მუშაობდა.

პავლე თუმანიშვილის ოჯახი ქუთაისში ქართული ინტელიგენციისა და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების თავშეყრის ცენტრს წარმოადგენდა. მან უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძესა და 60-იანი წლების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს. მან ევროპაში ორჯერ იმოგზაურა და დავიტიოვა საინტერესო მოგონებები.

პავლე თუმანიშვილის ოჯახში, როგორც წესი, შემოღებული იყო ჩამოსული სტუმრების ოჯახში მიწევა. ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი მარჯორი უორდროპი 1894—1896 წლებში საქართველოში მოგზაურობის დროს მის ძმასთან ოლივერთან ერთად ამ ოჯახის ხშირი სტუმარი იყო.

გიორგის მშობლების ოჯახთან დიდი მეგობრობა და ნათესაობა აკავშირებდა მის მეზობლად მცხოვრებ

ზაქარია ფალიაშვილის მამას — ბეტრე ფალიაშვილს. მუსიკის მოყვარული და ხელოვნების მოტრფიალე თუმანიშვილების ოჯახი ყოველთვის სისხარულით ეგებებოდა პარონა ზაქარისა და მისი ძმების — გივანეს, პოლიკარპესა და ლეოს სტუმრობას. ამ ახალგაზრდების სტუმრობა ყოველთვის კონცერტად გადაიქცეოდა ხოლმე.

თუმანიშვილების სახლში გამართულ ე. წ. „საოჯახო კონცერტებზე“ მონაწილეობა მიუღიათ მედიტონ ბალანჩივაძეს, ძმებს ალიოზ და ფელიქს მიზანდრებს. აქ აძლევა და მუსიკის გაკვეთილს გიორგის უფროსი და მარიაში, სახელგანთქმული რუსი კომპოზიტორის ანტონ რუბინშტეინის მოსწავლე, პირველი ქართველი ქალი, რომელმაც უმაღლესი მუსიკალური განათლება პეტერბურგში მიიღო. გიორგის და თამარ თუმანიშვილი მსოფლიოში ცნობილი ბალეტრინა იყო. მისი ძმა იოსებო დამასტურებელი პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეა (ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს), ხოლო უმცროსი ძმა პავლე ბოლო დრომდე ქუთაისში მოღვაწეობდა, ცნობილი არქიტექტორი და ქალაქის ბევრი შესანიშნავი ნაგებობის სურათმოდგარი იყო.

გ. თუმანიშვილი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1891 წელს, შედის რუსეთის იმდროინდელ საუკეთესო სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში —



ნიკო ნიკოლაძე



მიხეილ გარსევანიშვილი



გიორგი თუმანიშვილი



იოსებ ანდრონიკაშვილი



პეტერბურგის მიმოსვლის გზათა ინჟინერთა ინსტიტუტში, რომელსაც მაშინ ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, რუსეთსა და კავკასიაში რკინიგზების მშენებლობისა და საზღვაო ჰიდროტექნიკის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი მ. ვარსკვანიშვილი. საინჟინრო სპეციალობის არჩევა და ამ ინსტიტუტში შესვლა ახალგაზრდა გ. თუმანიშვილმა სწორედ მ. ვარსკვანიშვილის პირადი რჩევით გადაწყვიტა.



ანდრია კაკიტაძე



ვახტანგ ხელთუფლოშვილი



ალექსანდრე ჯორჯაძე

გ. თუმანიშვილი აღნიშნულ ინსტიტუტს პირველი ხარისხის დიპლომით ამთავრებს და 1896 წელს ბრუნდება საქართველოში და მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას სამშობლოს კეთილდღეობას ახმარს. აქტიურად ებმება კავკასიაში დიდი მასშტაბით გაშლილ სარკინიგზო მშენებლობაში. პირველად გ. თუმანიშვილს იწვევენ თბილისი — ერევნის რკინიგზის მეტად საპასუხისმგებლო სამშენებლო უბნის (შავალი — ზამბაკის) ხელმძღვანელად. აქ მან მოაღვაწილა დიდი მიწები. მიქელაძე. მათ დიდი მუშაობა გასწვრივ აღნიშნული გზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის. 1899 წელს გ. თუმანიშვილი ბ. მიქელაძესთან ერთად კვლავ ხელმძღვანელობს ერევნის რკინიგზის ხაზის ექსპლუატაციას.

ამის შემდეგ ქართველი ინჟინერი უმთავრესად საქართველოს ფარგლებში მოღვაწეობს. ჯერ შორაბნის რკინიგზის უბნის უფროსის თანამდებობაზე; მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზის ყველაზე რთულ მონაკვეთზე — სურამის უღელტეხილზე. 1906 წელს მას აწინაურებენ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე.

1904-1907 წლებში რკინიგზის მშენებლობათა განცობისა და გამოცდების შექმნის მიზნით მან რამდენჯერმე იმოგზაურა უცხოეთში

(გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, იტალია და საფრანგეთი).

1912 წელს საქართველოში დაიწყო მეტად მნიშვნელოვანი გზის — კახეთის რკინიგზის მშენებლობა. გ. თუმანიშვილს, როგორც გამოცდილსა და სახელმძღვანელო სპეციალისტს, იწვევენ გზის მშენებლობის ტექნიკური განყოფილების უფროსად და მთავარი ინჟინრის მოადგილედ. მან ამ გზის მშენებლობაზე გამოჩენილ ქართველ ინჟინერ ი. ანდრონიკაშვილთან და ა. ჯორჯაძესთან ერთად მეტად რთული საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები განახორციელა. ისინი ჯერ კიდევ 1910 წლის 21 ივნისს არჩეული იყვნენ კახეთის რკინიგზის საზოგადოების წევრად და ჩოლოყაშვილის მეთაურობით. ქართველი პატრიოტები პირველნი გამოვიდნენ კახეთის რკინიგზის მშენებლობის უცხოეთის კონცესიისათვის გადაცემის წინააღმდეგ. მშენებლობა ადგილობრივი საზოგადოების ინიციატივითა და სახსრებით მიმდინარეობდა. ეს ეროვნული საქმე გამარჯვებით დამთავრდა. 1915 წლის 1 სექტემბერს, კახეთის რკინიგზის საექსპლუატაციოდ გადაცემის შემდეგ, გ. თუმანიშვილი ამავე გზის მმართველად დაინიშნა, სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსად მან მიიწვია რკინიგზის მშენებლობის საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტი ინჟინერი ბ. ჭიჭინაძე. მიმოსვლის გზათა სამინისტროს 1915

წლის 6 ივლისის ბრძანებით გ. თუმანიშვილი ცნობილ ინჟინრებთან დ. კურდუმოვთან და გ. ქიქოძესთან ერთად მონაწილეობს კომისიაში, რომელსაც ევალებოდა კახეთის რკინიგზის ექსპლუატაციაში გადაცემა.

1918 წლის 20 იანვარს გ. თუმანიშვილი ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით დაწინაურებულ იქნა გზატკეცილების სამმართველოს უფროსად, ხოლო გეორგიანის რეპუბლიკის შემდეგ საქართველოს რევოლუციების სამმართველოს უფროსად. 1919 წლის ნოემბერში გ. თუმანიშვილი კვლავ კახეთის რკინიგზის დირექტორად ინიშნავენ. ნათელი — ვაზიანის უბნის უფროსად მასთან კვლავ ინჟინერი ბ. მიქელაძე მუშაობს. გ. თუმანიშვილი ამავე პერიოდში შეთავსებით საქართველოს მიმოსვლის გზათა დეპარტამენტთან არსებულ საინჟინრო საბჭოს თავმჯდომარეა. მას შემდეგ, რაც კახეთის რკინიგზა ამიერკავკასიის რკინიგზათა საერთო სისტემაში გადავიდა, გ. თუმანიშვილი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მთავარი კონსულტანტის თანამდებობაზეა.

გ. თუმანიშვილის მოღვაწეობას განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. დიდი გამოცდილებისა და ფართო დიპლომატიის ინჟინერი აქტიურად ჩაება რკინიგზების მშენებლობაში.



ბესარიონ კიჭინაძე



ბაგრატ მიქელაძე



ნიკოლოზ გარსვანიშვილი



ივანე დადიანი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველი რკინიგზის ხაზი (18 კმ სიგრძით) გაყვანილ იქნა ნატანებსა და ოზურგეთს (მახარაძე) შორის. ოზურგეთის მოსახლეობამ ჯერ კიდევ 1896 წელს აღძრა შუამდგომლობა მეფის მთავრობის წინაშე რკინიგზის მშენებლობის შესახებ, მაგრამ ცდა უნაყოფო აღმოჩნდა.

1922 წლის ივლისში საქართველოს სახალხო რეპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან დაარსდა ნატანები — ოზურგეთის რკინიგზის სამშენებლო კომიტეტი. მშენებლობის უფროსად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი ინჟინერი ა. კაციტაძე, რომელმაც მშენებლობის მთავარ ინჟინრად მიიწვია გ. თუმანიშვილი. 1922 წლიდან მისი უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებდა ამ ხაზის საკლავიციებო, შემდეგ კი საპროექტო სამუშაოები. მათი დაუღალავი მეცადინეობით გზის მშენებლობა, მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, მოკლე ვადაში (1922 წლის 15 აგვისტოდან 1923 წლის 15 დეკემბრამდე) დამთავრდა. ამ საქმეში ცხადი გახდა გ. თუმანიშვილის დიდი ღვაწლი და იგი კაციტაძესთან ერთად საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 25 დეკემბრის დადგენილებით ნატანები — ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობაში „იშვიათი ენერჯის გამოვლინებისათვის“ საპატიო სიგე-

ლით დაჯილდოვდა. ნატანები — ოზურგეთის რკინიგზის დამთავრების შემდეგ გ. თუმანიშვილს კვლავ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წევრად და ტექნიკურ საკითხებში კონსულტანტად იწვევენ. მასთან სამმართველოს მთავარი ინსპექტორის თანამდებობაზე კვლავ ბ. კიჭინაძე მუშაობს.

გ. თუმანიშვილის სხვა სამუშაოზე გადასვლისთან დაკავშირებით მისივე რეკომენდაციით ბ. კიჭინაძეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს წევრად ირჩევენ. აქ გ. თუმანიშვილი ხელმძღვანელობს ტრანსპორტის პერსპექტიული გეგმის შედგენას. 1923—1924 წლებში მას გზავნიან წარმომადგენლად თავრიზის რკინიგზის მშენებლობაზე.

1925 წელს გადაწყდა ამიერკავკასიისათვის მეტად მნიშვნელოვანი, შავი ზღვის სანაპიროს რკინიგზის მშენებლობა; რთული ტოპოგრაფიული და საინჟინერო-გეოლოგიური ფაქტორები (მეწყურები, მცურავი და არამკვიდრი ყაშირები, სწრაფი მდინარეები, ზღვის ნაპირების ვასამარგებელი სამუშაოები) მეტად ართულებდა რკინიგზის ტრასის გაყვანას ამ მიმართულებით. ამისათვის საჭირო იყო მთელი რიგი გვირაბების, ხიდების, საყრდენი კედლებისა და სხვა რთულ ხელოვნურ საინჟინერო ნაგებობათა მშენებლობა.

ამ გზის სამხრეთი ნაწილის (სენაკიდან გაგრამდე) მშენებლობის უფ-

როსად კვლავ ა. კაციტაძე დაინიშნა, ხოლო მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე 1925 წლის 16 მაისიდან — გ. თუმანიშვილი.

1925 წელს გ. თუმანიშვილი ა. ჯორჯაძესთან, გ. ბერიძესთან და ნ. ლეჟავასთან ერთად რუსეთსა და საქართველოში რკინიგზების გამოჩენილი მშენებლისა და მეცნიერის პ. ხელთუფლიშვილის ხელმძღვანელობით მონაწილეობს ჭიათურა — ქუთაისი — ახალსენაკის რკინიგზის პროექტის შესადგენად ამიერკავკასიის გზათა სახალხო კომისარიატის ვანკარგულებით შექმნილ კომისიაში.

შეი ზღვის რკინიგზის მშენებლობის პერიოდში გ. თუმანიშვილს დიდ დახმარებას უწევდა მიმოსვლის გზათა სამინისტროს მთავარი ინსპექტორი ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობაზე, გამოჩენილი ინჟინერი ი. დადიანი.

1930 წლის 1 მარტს მოხდა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის რეორგანიზაცია, ეს გზა შეუერთდა ამიერკავკასიის რკინიგზების მშენებლობის ორგანიზაციას — ამიერკავკასიის რკინიგზებისა და გზების მშენებლობის სამმართველოს. აქ გ. თუმანიშვილი დაინიშნა სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი სამმართველოს საწარმოო ნაწილის უფროსად. ამ სამმართველოში იგი წლების მანძილზე მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: სამმართველოს უფროს ინ-

ყინრად, ტექნიკური ნაწილის გამოგედ და საწარმოო-საგემო საპროექტო განყოფილების უფროსად.

1932 წლის 1 ნოემბერს სენაკიდან ოჩამჩირემდე ახალი რკინიგზის ხაზზე მოძრაობის დაწყებასთან დაკავშირებით გ. თუმანიშვილს თავდადებული და ენერგიული მუშაობისათვის გამოეცხადა მადლობა დამკვერთის საპატოო წოდების მინიჭებით, 1934 წლის 10 აგვისტოს კი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით შრომის გმირის საპატოო წოდება მიენიჭა.

გარდა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობისა, გ. თუმანიშვილი კონსულტაციას უწევდა ამიერკავკასიის ფარგლებში წარმოებულ მეტად მნიშვნელოვანი რკინიგზების მშენებლობის უმთავრესად ჯულფა — ბაქოს გზაზე.

ცნობილმა ინჟინერმა ნ. კვეზერელი კობახეძე გ. თუმანიშვილის პიროვნების შესახებ მეტად საინტერესო მოგონება შემოგვიწახა: „გ. თუმანიშვილი იყო დიდი განათლების, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების, არაჩვეულებრივი მუშაობის უნარისა და ფართო ერუდიციის მქონე ცილისტი“.

გ. თუმანიშვილი სამშენებლო ხელოვნების სხვა დარგებშიც დიდ მტკიცედ ითვლებოდა. ამიტომაც ამ დროს საქართველოში არ წარმოებდა არც ერთი სერაიოხული მშენებლობა, რომელშიც მას არ შეუტანია თავისი წვლილი როგორც მრჩეველს, კონსულტანტსა და უშუალო მონაწილეს. იგი იყო: მანგანუმის რაიონში მისასვლელი გზების გამოკვლევისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მანგანუმის მრეწველობის კონსულტანტი (1921 წ.); ამავე დროს მას ირჩევენ მანგანუმის მრეწველობის ყრილობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (1923 წ.); კომისიის წევრი ჰიათურაში მისასვლელი რკინიგზის მშენებლობაზე (1924 წ.); საქართველოს მანგანუმის საპროექტო სამმართველოს სამთო სექტორის კონსულტანტი (1930 წ.); ქ. თბილისში ჩელუსკინელების სახელობის ხიდის საკონკურსო პროექტების ყუთრის წევრი (1928 წ.); საქართველოს სამხედრო გზის (სოფ. ყინვალზე ახალი ხაზის) მშენებლობის კონსულტანტი (1936 წ.); კოჯრის რკინიგზის პროექტის შედგენის კონსულტანტი; კახეთის სახურავი ფქლის წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური შემოწმების მონაწილე და ა. შ.

1935 წელს ღვაწლმოსილი ინჟინერი გ. თუმანიშვილი თბილისის რკინიგზის გზათა მიმოსვლის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტთა სადიპლომომო გამოშვების სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარედ მიიწვიეს.

გ. თუმანიშვილი იყო დაუშრეტელი ენერჯის აღამიანი, ბრწყინვალე სპეციალისტი, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე არ გაუწყვეტია კავშირი წარმოებასთან. მას დამსახურებული ჰქონდა დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა არა მარტო ინჟინერ-ტექნიკოსთა წრეებში, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებრიობაში.

სახელოვანი ინჟინერი დიდ პრაქტიკულ-საინჟინრო მოღვაწეობასთან ერთად სამეცნიერო-ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. მას ეკუთვნის სამეცნიერო-კვლევითი და პოპულარული ხასიათის მთელი რიგი ნაბეჭდი და ხელნაწერი შრომები კახეთის, შავი ზღვის, ოსურაკეთი — ნატანების, ზუგდიდი — ჯვრის რკინიგზების მშენებლობათა შესახებ.

გ. თუმანიშვილი სამსახურებრივ მუშაობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. 1931 წელს მას ირჩევენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს VIII მოწვევის დეპუტატად. იყო მშენებელთა კავშირის ინჟინერ-ტექნიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მუშაობაში, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი თვითონ იყო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საზოგადოების

პირველი ქართული ტექნიკური კურსნალის „ტექნიკა და ცხოვრება“ დაარსებაში, ხშირად გამოდიოდა აღნიშნული კურსნალის ფურცლებზე საქართველოში საინჟინრო-ტექნიკური აზროვნების განვითარების საპრობლემო საკითხებზე და ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და ტექნიკური აღმავლობის საპრობლემო ამოცანების შესახებ; მაგალითად, გ. თუმანიშვილი იყო საქართველოში ბუნებრივი საშენი მასალების მდიდარი რესურსების გამოვლინების დიდი ინიციატორი. 1925 წელს მას ირჩევენ საქართველოს ტრანსპორტის საზოგადოების თავმჯდომარედ.

ღვაწლმოსილმა ინჟინერმა და საზოგადო მოღვაწემ გ. თუმანიშვილმა თავისი ცხოვრების 40 წელზე მეტი ამიერკავკასიის რკინიგზების მშენებლობის საშვილოშვილო საქმეს შეაღწია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ფარგლებში დღეს არსებული რკინიგზების მთელი ქსელის 1/3 აშენებულია გ. თუმანიშვილის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. ამიტომ ქართველი ერისათვის მუდამ დაუფიქარა ოქნება მზგნებარე პატრიოტისა და რკინიგზების სახელოვანი მშენებლის გ. თუმანიშვილის ნათელი სახელი. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება სანიშნულო მაგალითია მომავალ თაობათა აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.

წელს, როდესაც ქართველი ხალხი ამიერკავკასიის სხვა ხალხებთან ერთად დიდ ენთუზიაზმით აღნიშნავს ამიერკავკასიის რკინიგზის გახსნის 100 წლისთავს, გ. თუმანიშვილთან ერთად არ შეიძლება არ მოვიგონოთ რკინიგზის მშენებლობის პირველი ქართველი სპეციალისტი, მიმოსვლის გზათა სახელოვანი ინჟინრები და მეცნიერები: მ. გარსევანიშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, ა. კაციტაძე, ბ. ჰიჭინაძე, ბ. მიქელაძე და სხვ., რომლებმაც ქართველი ხალხის დიდი მოამავის ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანეს ამ საშვილოშვილო საქმეში.

# ზღვის სანაპირო ზონის

# დასვა



## გაჭუჭყიანებისაგან

### 5. სხიანზვილი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ზღვის სანაპირო ზონის დაცვა გაჭუჭყიანებისაგან სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. განსაკუთრებით მწვავედ და აქტუალურად დგას ეს საკითხი საქართველოს ზღვისპირა ქალაქებსა და საკურორტო ცენტრებში.

ზღვისპირა ქალაქების (სოხუმი, ვაგრა, ბიჭვინთა, ბათუმი და სხვ.) მოსახლეობის, სამეურნალო-გამაჯანსაღებელი და სპორტული ცენტრების ზრდით, დიდდება ზღვაში ჩაშვებული ჩამდინარე წყლების რაოდენობა, რაც იწვევს სანაპირო ზონის ინტენსიურ გაჭუჭყიანებას.

სახელმწიფო ორგანოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში წარმოებს სანაპირო ზონის სანიტარიული დაცვის ეფექტური ზეგების ძიება.

ჩამდინარე წყლებით ზღვის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის გავრცელებული მეთოდია მათი სრული გაწმენდა ჩაშვების წინ. ამუშავენ სხვა მეთოდებსაც. ერთ-ერთი მათგანია ნაწილობრივ გაწმენდილი ჩამდინარე წყლების სიღრმული ჩაშვება ზღვაში. უკანასკნელ ხანებში ეს მეთოდი ინტენსიური კვლევისა და პრაქტიკული გამოცდების ობიექტად იქცა.

საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარე წყლების სიღრმული

ჩაშვება ზღვაში წარმოადგენს პერსპექტიულ და პროგრესულ მეთოდს. ამით შეიძლება თავიდან ავიცილით არა მარტო სანიტარიული დაცვის სანაპირო ზონის (0,5—1,0 კმ სივანის ვიწრო ზოლის) გაჭუჭყიანება, არამედ მივაღწიოთ კიდევ ზღვის მთელი იმ შეღფის ეფექტურ დაცვას გაჭუჭყიანებისაგან, რომელიც ადამიანის მიერაა გამოყენებული.

სიღრმული ჩაშვების მთავარი უპირატესობაა საინჟინრო-ტექნიკური მოწყობილობების დახმარებით ხელსაყრელი ბუნებრივი ოქეანოგრაფიული ფაქტორების სრული გამოყენება, რათა მიღწეულ იქნეს ზღვაში ჩასაშვები წყლების არევა და განზავება, აგრეთვე მათი ტრანსპორტირება, ამის შედეგად კი გაჭუჭყიანებული ზღვის წყლის თვითგაწმენდა. აღნიშნულ ბუნებრივ ოქეანოგრაფიულ ფაქტორებს განეკუთვნება წყლის სიმკვრივის სხვადასხვაობით გამოწვეული ზღვის სიზრქის შრეულობა (სტრატიფიკაცია), ზღვის დინებათა სისტემა, ზღვის ჰიდროქიმიური და ბიოლოგიური ფაქტორების მოქმედება და სხვ.

ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია დიდი ადმინისტრაციული რაიონის ჩამდინარე წყლების

ზღვაში ჩასაშვებად. ათეული მცირე ჩაშვების ნაცვლად რაციონალურია აიგოს ერთი მსხვილი სიღრმული ჩაშვები. ამას დიდი ეკონომიური ეფექტის მოტანა შეუძლია, რადგან საჭირო აღარ იქნება თითოეულ ჩაშვებისათვის ცალკე გამწმენდი სადგურის აგება.

ამჟამად შავი ზღვის ყირიმის სანაპიროზე ექსპლოატაციაშია 80-მდე ჩაშვები. მათი რიცხვი თანდათან იზრდება. ასეთივე მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაშიც, აფხაზეთის ასრ-ის ზღვის სანაპიროზე.

სიღრმული ჩაშვები საგრძნობ ეკონომიურ ეფექტს იძლევა იქ, სადაც მხოლოდ სამეურნეო-სასელი წყლების ჩაშვება წარმოებს, რადგან ამ დროს დასაშვებია სრული მექანიკური გაწმენდა (შესაძლებელია გვერდი აუვართ ძვირადღირებულ, ხშირად არასაკმაოდ ეფექტურ ბიოლოგიურ გაწმენდას).

სიღრმული ჩაშვების პრობლემა ჯერ კიდევ საკმაოდ არაა შესწავლილი. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთაც რიგი სამეცნიერო დაწესებულებებში სხვადასხვა ასპექტით სწავლობენ ამ მეტად რთულსა და პერსპექტიულ მეთოდს.

მსოფლიო პრაქტიკაში ამ მხრივ დაგროვდა გარკვეული გამოცდილება, რომელიც ამ მეთოდის დიდ ეფექტურობაზე მიუთითებს. მაგალითად, კალიფორნიის სანაპიროზე (ამშ) ჩამდინარე წყლების სიღრმული ჩაშვებები აგებულია ნაპირიდან 8—11 კმ მანძილზე, 100 მ სიღრმეზე გაყვანილი ჩაშვებებით მეტად ხელსაყრელი შედეგებია მიღებული.

ამერიკელებმა სანტა-მონიკასთან (ლოს-ანჯელისის შტატი) არსებულ ორი უდიდესი ჩაშვების ხუთი წლის ექსპლოატაციით დაადასტურეს, რომ სიღრმულმა ჩაშვებებმა გაამართლა იმედები: რადიკალურად გააუმჯობესა სანაპიროს სანიტარიული მდგომარეობა.

ჩამდინარე წყლების ჩაშვება აქ ორ ნაკადად (განცალკევებულად) ხდება. ერთი, 5 მილი სიგრძის მილსადენით, რომელიც 65 მ სიღრმეზეა გაყვანილი, ზღვაში ჩასადენი ნაკადის მხოლოდ თხევადი ნაწილი ჩადის, მეორე მილსადენით კი, რომელიც 7 მილი სიგრძისაა და 96 მ სიღრმეზეა მოთავსებული, — ლამი. ამ ორი ჩაშვებით დღე-ღამეში ზღვაში ჩადენება 2 მლნ მ<sup>3</sup> ნაკადი.

ეს სიღრმული ჩაშვებები მოხერხებულად იყენებს სიმკვრიველ სტრატეფიკაციას, რის გამოც ჩამდინარე წყლები ჩაძირულ მდგომარეობაში გადაადგილდება, განზავდება ზღვის სიღრმეში და არ ამოდის ზღვის ზედაპირამდე დაახლოებით 15—30 მ-ზე.

სან-დიეგოში (კალიფორნიის შტატი) აგებული გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების სიღრმული ჩაშვები (760 ათასი მ<sup>3</sup> დღე-ღამეში) წარმოადგენს 4 კმ სიგრძის მილსადენს და 70 მ სიღრმეზეა გაყვანილი.

სიღრმული ჩაშვებებით ზღვაში საწარმოო ჩამდინარე წყლებიც ჩადენება. მაგალითად, ევერეტის (ვაშინგტონის შტატი) სიღრმული ჩაშვებით ზღვაში ჩადის ცელულოზის კომბინატის ჩამდინარე წყლები (ნაწილობრივ გაწმენდილი). მისი ჩაღრმავების სიღრმე 92 მ-ია, დაცობა ნაპირიდან — 4 კმ.

არსებული მონაცემებით, აშშ-ში აგებული და ექსპლუატაციაში შეყვანილია 30-მდე სიღრმული ჩაშვები.

საფრანგეთში, მარსელის რაიონში, გაყვანილია სიღრმული ჩაშვები ხმელთაშუა ზღვაში ბოქსიტების წარმოების ჩამდინარე წყლებისათვის. მილსადენის სიგრძეა 7,6 კმ, სიღრმე — 300 მ.

ამჟამად ანალოგიური ჩაშვებები შენდება ინგლისში, კანადაში და სხვა ქვეყნებში.

ჩვენს ქვეყანაში მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებები უკვე მუშაობენ სიღრმული ჩაშვებების პრობლემაზე. ამ საქითხის დამუშავებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთის ზღვების ბიოლოგიის ინსტიტუტს (ქ. სევასტოპოლი). ინსტიტუტმა დიდი მუშაობა ჩატარა სიღრმული ჩაშვების ოპტიმალური პირობების განსაზღვრისათვის იალტის რაიონში. მისი მითითებებით უკვე დამუშავდა ჩაშვების პროექტი. ვათვალისწინებულა ჩაშვები აიგოს ნაპირიდან 8 კმ დაშორებით და 93 მ სიღრმეზე. ასეთი დაცობა სასეებით უზრუნველყოფს კურორტ იალტის სანაპირო ზონის დაცვას გაქუჩყიანებისაგან.

სანგლმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა „ესტონპროექტმა“ ესტონეთის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან თანამშრომლობით დიდი კვლევითი მუშაობა ჩატარა ქ. ტალინისა და პიარნუს ჩამდინარე წყლების ზღვაში ჩაშვების პირობების განსაზღვრისათვის და შეადგინა სათანადო პროექტები.

პროექტის თანახმად ქ. ტალინის ჩამდინარე წყლები (440 ათასი მ<sup>3</sup> დღე-ღამეში) სრული მექანიკური გაწმენდის შემდეგ ზღვაში ჩაიშვება სამი ფოლადის 1400 მმ-იანი დიამეტრის მილსადენით. თითოეული მილსადენის სიგრძე იქნება 2800 მ. ქ. პიარნუს ჩამდინარე წყლებიც სრული მექანიკური გაწმენდის შემდეგ პოლიეთილენის 800 მმ-იანი დიამეტრისა და 3000 მ სიგრძის მილსადენით ჩაიშვება პიარნუს ყურეში.

ნოვოროსისკში ვათვალისწინებულა აიგოს 1 კმ სიგრძის ჩაშვები,

პირველ რიგში 20 მ სიღრმეზე. პროექტში ვათვალისწინებულა ჩაშვების შემდგომი გაგრძელება.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ დააყენეს სიღრმულ ჩაშვებთა მშენებლობის საკითხი საქართველოს ზღვისპირა ქალაქებსა და კურორტებში.

სამინისტროს დავალებით, სამხრეთის ზღვების ბიოლოგიის ინსტიტუტმა 1969—1970 წწ. ჩატარა ბიჭვინთის კონცხის რაიონში საზღვაო ექსპედიცია და სპეციალური ექსპერიმენტები ავიაციისა და გემების გამოყენებით და შეასრულა მთელი რიგი განავარიშვებები და გამოთვლითი სამუშაოები სიღრმული ჩაშვებების ოპტიმალური პარამეტრების დამუშავების მიზნით.

გამოკვლევები ჩატარდა აგრეთვე ქ. ბათუმის რაიონში.

საყურადღებოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შავი ზღვის სანაპიროზე (საქართველოს სსრ ფარგლებში) ასეთი ჩაშვების განხორციელებისათვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი ოკეანოგრაფიული პირობებია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ზღვის წყლების სიმკვრიველი სტრატეფიკაცია აქ უფრო მკვეთრად გამოხატული, ვიდრე შავი ზღვის სხვა რაიონში.

ვიმედოვნებთ, რომ სიღრმული ჩაშვების აგება, რომელიც იყენებს ზღვის ხელსაყრელ ბუნებრივ ფაქტორებს, მოგვცემს დიდ ტექნიკურ-ეკონომიურ ეფექტს, რადიკალურად გააუმჯობესებს საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპირო ზონის სანიტარულ მდგომარეობას და დაცავს მას გაქუჩყიანებისაგან.

# კოსმონავთის სკაფანდრი



საბჭოთა კოსმონავტი ა. ლეონოვი მსოფლიოში პირველი გავიდა ხომალდიდან კოსმოსში. „სოიუზ-4“ და „სოიუზ-5“ საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ფრენის დროს კოსმონავტებმა ე. ზრუნოვმა და ა. ელისიევმა ღია სივრცეში შეასრულეს სამუშაოთა კომპლექსი და მოწყობილობათა მონტაჟი, ჩაატარეს კვლევა და დაკვირვებანი, ხოლო შემდეგ გადასხდნენ ერთი ხომალდიდან მეორეზე.

საბჭოთა კოსმონავტების მიერ შესრულებულმა ექსპერიმენტებმა დასახეს ახალი პერსპექტივები სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობის რიგი მიმართულებებისათვის. ახლო მომავალში კოსმონავტებს მოუწევთ შეასრულონ ღია კოსმოსში სხვადასხვა სამუშაო: დაამონტაჟონ სამეცნიერო მოწყობილობები, გაშალონ დიდი გაბარიტის მზის ბატარეები და ანტენები, ააწყონ და შეაერთონ ორბიტული სადგურები და ავტომატური კოსმოსური აპარატები.

მათ ამისათვის დასჭირდებათ საიმედო და მოზრახებული სკაფანდრები. სკაფანდრის ერთ-ერთ დანიშნულებას შეადგენს აგრეთვე ეკიპაჟის სიცოცხლის უზრუნველყოფა ავარიულ სიტუაციაში, რომელიც ფრენის პირობებში არ არის გამოირიცხული.

კოსმოსური სკაფანდრი ხომალდის ჰერმეტიკი კაბინის ფუნქციებსაც ასრულებს. საბჭოთა კონსტრუქტორებმა საკმაო შრომა გასწიეს, რომ შეექმნათ სკაფანდრი, რომელიც შეიძლებოდა ჩაეცვათ კოსმონავტებს ხომალდის ბორტზე ადვილად და სწრაფად.

სკაფანდრი შეიცავს კომბინეზონის სახის მრავალშრიან ჰერმეტიკულ კოს-

ტიუმს ჰერმეტიკი მუზარადით, ხელთათმინითა და ფეხსაცმლით. ღია კოსმოსში სამუშაოდ განკუთვნილი სკაფანდრების კომპლექტში შედის აგრეთვე ავტონომიური აპარატურა, რომელიც სკაფანდრის შიგნით ინარჩუნებს სიცოცხლისათვის აუცილებელ პირობებს.


სკაფანდრის კოსტიუმი შედგება რამდენიმე ფენისაგან, რომელთაგან თითოეულს აქვს განსაზღვრული ფუნქცია ღია კოსმოსში საშიში ზემოქმედებისაგან კოსმონავტის დაცვის უზრუნველსაყოფად (ნახ. 1).

ჰერმეტიკი გარსი გამოჰყოფს კოსმოსური ვაკუუმისაგან სკაფანდრის აირით გავსებულ შიგა სიღრმეს. იგი უზრუნველყოფს სკაფანდრში ატმოსფეროს შენარჩუნებას, აბრკოლებს აირის გაპარვას გარემომცველ გარემოში (2).

კოსმოსურ სკაფანდრში ჩვეულებრივ იყენებენ ორ ჰერმეტიკულ გარსს. რომელთაგან ერთი რეზერვივითაა და ავტომატურად ერთვება მოქმედებაში ძირითადის დაზიანების დროს (3).

ატმოსფეროს შიგა წნევის დატვირთვას, რომელიც ჰერმეტიკი გარსით გადაეცემა, იღებს ძალური შრე, ალუტერილი სპეციალური სახსრებით კოსმონავტის ხელისა და ფეხის მოძრაობის უზრუნველსაყოფად. სკაფანდრის ხელთათმანს ასევე აქვს რამდენიმე მინიატურული სახსარი თითოეულ თითზე. ძალური გარსის კონსტრუქცია განსაზღვრავს კოსტიუმის ფორმასა და ზომას, აბრკოლებს რა შიგა ატმოსფეროს წნევის მოქმედებით მის გამოზბერვას (1).

კოსმონავტის ტანზე სკაფანდრის მისარგებად ძალური გარსი ჩვეუ-



ნახ. 1. სკაფანდრის მოწყობილობის სქემა

ლებრივ ალუტერილია გვარლის ან ზონრის მოსაკიმი სისტემით და კიდურებზე სარეგულაციო ელემენტებით.

სიფრიფანა მეტალიზებული აფსკის რამდენიმე ფენა, რომელთა ზემოთ მოთავსებულია არეკვლის თვისებების მქონე მკვრივი თეთრი ქსოვილი, ქმნის კოსმონავტის საიმედო თბურ დაცვას მზის სხივებისაგან გადაზრებისა და დედამიწის ან ხომალდის ჩრდილში გადამეტციებისაგან (5).

სკაფანდრის მუზარადი შეიცავს ჰერმეტიკულ ჩაჩქანს, რომელიც დარტყმისას იცავს თავს დაზიანებისაგან, მასზე მაგრდება აგრეთვე სამზერი მომიწვა. მომიწვის შემადგენლობაში შედის ჩაჩქანთან ჰერმეტიკულად შეერთებული გამჟვრივალე სამზერი მინა და შუქფილტრი, რომელიც იცავს კოსმონავტის თვალებსა და სახეს მზის დამზრამავებელი სინათლის, თბური და ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებისაგან.

მუზარადში განლაგებულია რადიოსალაპარაკო მოწყობილობის ტელეფონები და მიკროფონები. სკაფანდრის ატმოსფეროს ქმნის რამდენიმე ათეული ლიტრი აირი, რომელიც ავსებს დიფიკოს კოსმონავტის ტანსა და ჰერმეტიკულ ვარსს შორის. ატმოსფეროს წნევისა და აირადი შედგენილობის შენარჩუნე-


მოადგენს სისტემა, რომელშიც ჯანგბადით კვება, აგრეთვე მავნე მინარევებისა და სითბოს გამოქვეყნება წარმოებს ჩანთაში მოთავსებული ბალონებიდან სკაფანდრში ჯანგბადის განუწყვეტელი მიწოდების ხარჯზე. ამ ჯანგბადის ნაწილს შთანთქავს კოსმონავტი, ხოლო დანარჩენი ვარს უელის მის სხეულს, იკლინება ნახ-

უზრუნველყოფის ავტონომიური სისტემა (ნახ. 2). ცენტრიდნული ენტილტორი ელექტროძრავს ამტრავით აიძულებს ჯანგბადს შეასრულოს ცირკულაცია სკაფანდრის კოსტიუმისა და ჩანთის ჯვალთ. ნახშირორქანგს შთანთქავს ვაზნა ქიმიური შთანთქმელით, ხოლო ცირკულირებადი აირის გაცივებასა და გაშრობას აწარმოებს მაიციარი აგრეგატი ტენგამომყოფით (16, 11, 13), რომელშიც კონდენსირებული ტენი ილექება.

ჯანგბადის მარაგი ჩანთაში ინახება დიდი წნევის ქვეშ და მიეწოდება სკაფანდრში რეგულატორების მეშვეობით. ჩანთაში ჩადგმულია ელექტრული გადამწოდები და საზომი ხელსაწყოები, რომლებიც ხომალდის პულტს და შემდეგ რადიოტელემეტრიის არხებით დედამიწაზე გასაცემს ინფორმაციას ჯანგბადის მარაგის, სკაფანდრში წნევის, ნახშირორქანგის შემცველობის, ტემპერატურისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების შესახებ. ამას გარდა, გათვალისწინებულია სასიგნალო მოწყობილობები (4, 10, 11, 17), რომლებიც აფრთხილებს კოსმონავტს საშიში რეჟიმის დაწყების შესახებ.

ჩანთის შლანგები სკაფანდრს უერთდება ჰერმეტიკული სწრაფვასართავი შეერთების დახმარებით.

სკაფანდრის ჰერმეტიკულობის დარღვევის შემთხვევისათვის ჩანთაში გათვალისწინებულია ავტომატური მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანგბადის დამატებით მიწოდებას გაყოვნის საკომპენსაციოდ. თუ ვენტილატორის ელექტროძრავა არ ამუშავდებოდა ან მისი მკვებავი გამტარები გაწყდებოდა, კოსმონავტს შეეძლო ჩაერთო ინექტორი, რომელშიც აირის ცირკულაციის შესაქმნელად გამოყენებულია შეკუმშული ჯანგბადის ენგეგია (14).



ნახ. 2. სიცოცხლის უზრუნველყოფის ჩანთური სისტემის მოწყობილობის ბლოკ-სქემა

ბის, კოსმონავტის სხეულის ტემპერატურის რეგულირების და ზოგიერთ სხვა ფუნქციას ასრულებს სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემის აპარატურა. მისი ნაწილი მაგრდება სკაფანდრის კოსტიუმზე, ნაწილი კი კეთდება ჩანთის მსგავსი პორტიული გადასატანი დანადგარის სახით.

სიცოცხლის უზრუნველყოფის უმარტივეს ჩანთურ სისტემას წარ-

შორორქანგითა და ტენით, ხურდება და შემდეგ გამოიღვენება სკაფანდრიდან კოსმოსში.

ასეთი ტიპის სისტემა გამოყენებული იყო ა. ლეონოვის კოსმოსში გასვლის დროს. ეს სისტემა მარტივია და მოხერხებული, მაგრამ ჯანგბადის დიდი ხარჯვის გამო გამოდგება მხოლოდ კოსმოსში მოკლე დროით ყოფნისათვის.

კოსმოგენეტების ე. ხრუნოვისა და ა. ელისევის სკაფანდრები ნაჩვენებია ჩანართზე. მათ ჰქონდათ ე. წ. რეგენერაციული ტიპის სიცოცხლის




1 — ტელემეტრიის ფალი; 2 — გასართე-  
ბი; 3 — მანომეტრი; 4 — კომუნიკაციების  
გასართი; 5 — დამზღვევი ფალი; 6 — ჩანთის  
ჩამოსაკიდი სისტემა; 7 — ილუმინატორის  
ჩაქეტვის კავი; 8 — შუქვილტრი; 9 — სკა-  
ფანდრის ილუმინატორი; 10 — გასართი რგო-  
ლი; 11 — ჩამოსაკიდი სისტემის ჩანთის სა-  
კეტი; 12 — სკაფანდრის მუშაობის რეჟიმის

შესარჩევი სარქველი; 13 — სარქე; 14 — მო-  
ცემული წნევის შენარჩუნების სარქველი;  
15 — სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტე-  
მის სამართი პულტი; 16 — ჰერმეტიული ჩაჩ-  
ქანი; 17 — სიცოცხლის უზრუნველყოფის  
სისტემის ჩანთა; 18 — უანგზადის საავარიო  
მარაგის ჩართვის სარქველის სახელური.



ЛиАЗ-677 — დიდი საქალაქო ავტობუსი



ПА3-672 — პატარა საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი

# სუბჟოთუ ავტობუს

პარამეტრები	ავტობუსის ზარკა და მოდელი						
	РАФ 977ДМ	УАЗ-452В	КАвЗ-685	ПА3-672	ЛиАЗ-677	ЛАЗ-695Н	ЛАЗ-697Н
ადგილთა რაოდენობა (დასაჯდომი და საერთო)	10/10	11/11	21/28	23/45	25/110	32/65	33/33
გაბარიტული ზომები, მმ:							
სიგრძე	4900	4360	6600	7150	10450	9190	9190
სიგანე	1965	1940	2405	2440	2500	2500	2500
სიმაღლე	2100	2090	2835	2952	2978	2950	2950
ბაზა, მმ	2700	2300	3700	3600	5150	4190	4190
თვლების ლიანდი, მმ:							
წინა	1410	1442	1630	1940	2100	2116	2116
უკანა	1420	1444	1690	1690	1880	1850	1850
სავაზო საშუქი, მმ	210	220	265	280	345	310	270
საფეხურთა სიმაღლე მიწიდან, მმ	500	560	470	450	348	340	308
წინა აღჭურვილობებით, კგ	1675	2695	4080	4535	8380	6750	7300
სიჩქარე, კმ/სთ	115	95	85	80	70	75	80
სათბობის საექსპლუატაციო ზარკი, ლ/100 კმ	17,0	18,5	—	36,5	54,5	43,5	40,0
ძრავის მუშა მოცულობა, ლ	2,445	2,445	4,25	4,25	7,0	6,0	6,0
სიმძლავრე, ცხ. ძ	72	80	115	115	180	150	150
ბრუნთა რიცხვი წთ-ში	4000	4000	3200	3200	3200	3200	3200
გადაცემთა რიცხვი	3	4 X 2	4	4	2	5	5
მუხრუჭთა ამძრავი	3	3	3კ	3კ	3კ	3	3
სალტები	8,20—15	8,40—15	8,25—20	8,25—20	280—508P	280—508P	10,00—20 (280—20)

**შენიშვნა:**

1. УАЗ-452 ავტობუსს ყველა თვლი წამყვანი აქვს. 2. ლევის ავტობუსების მოდლებს (რომლებიც ცხრილშია მოცემული) ძრავა მოთავსებული აქვს უკან, დანარჩენებს — წინ. 3. ЛиАЗ-677 აქვს თვლების პნემატური, დამოკიდებული საკიდარი, ლევის ავტობუსებს — რესორული, დამატებითი ზამბარებით, დანარჩენებს კი —

დამოკიდებული რესორული. РАФ-977ДМ — წინა თვლების დამოკიდებული საკიდარი. ЛиАЗ-677-ზე გამოყენებულია ავტომატური ტრანსმისია, ხოლო УАЗ-452 აღჭურვილია ორსაფეხურიანი სარიგბული კოლოფით.

**აბრევიატურის აღნიშვნები:**

კ — ჰიდრაულიკური; პ — პნემატურა; ბ — განცალკევებული წინა და უკანა თვლებისათვის.



JA3-695H — საშუალო სა-  
ქალაქო და საგარეუბნო ავ-  
ტობუსი



JA3-697H — საშუალო  
საქალაქაშორისო და ტუ-  
რისტული ავტობუსი

# მსახი

ჩვენი ქვეყანაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრ-  
თა გადაყვანის თითქმის მესამედზე მეტი წილი აკად-  
მალ ავტობუსით წილიწილში მგზავრებს 25 მლრდ-მდე კაცი.  
ავტობუსების საერთო პარკში ავტობუსთა რაოდენობა გასუ-  
ლი ხუთწლიანი მონაცემებით შეადგენს დაახლოებით  
58,8%-ს, ეს ძალზე ბევრია; თუ გავითვალისწინებთ, რომ  
მსოფლიო პარკში ისინი მხოლოდ 0,8%-ს შეადგენს. პირველ  
სერიულ ავტობუსს 19-სა და ჩვენი დროის უკანასკნელ მო-  
დელებს შორის დისტანციაა, რომელიც იწოდება არა მარტო  
და არა იმდენად წელთა რაოდენობით, რამდენადაც ტექნი-  
კური პროგრესის ტემპებით და საზოგადოებრივ საგზავრო  
ტრანსპორტზე მზარდი მოთხოვნილებით, რომლის განვითარ-  
ება ჩვენთან ყოველთვის (როცა საქმე ეხება მოსახ-  
ლეობის მომსახურებას) პირველ ადგილზე.

1500 ქალაქისა და ქალაქის ტიპის სოფლისათვის ავტობუ-  
სი ტრანსპორტის ერთადერთი სახეა, ხოლო ასობით ქალაქ-  
ში იგი მუშაობს ტრადიციურობისა და ტრავიკის გვერდით და  
გადაყვანს მგზავრთა 87%.

მეცხრე ხუთწლიანი განსაზღვრავს საზოგადოებრივი  
ტრანსპორტის ამ სახის განვითარების ახალ ეტაპს — 1975  
წლისათვის ავტობუსით მგზავრთა გადაყვანა 1970 წელთან  
შედარებით 1,8-ჯერ გაიზარდება.


დღეს ავტობუსებს უფროსი ექვსი ქარხანა: ლიენის, კურ-  
განის, პავლოვის, ლევივის, რიგისა და ულიანოვის. მათ პრო-  
დუქციას შეადგენს სრულიად სხვადასხვაგვარი მოდელები,  
დაწყებული დიდი ტევადობის მანქანებიდან, დამთავრებული  
მიკროავტობუსებით. ისინი იყოფა ხუთ ტიპად: საქალაქო,  
საგარეუბნო, შიგასარაიონო, საქალაქაშორისო და ტურისტ-  
ული. ავტობუსები მუშაობს სრულიად სხვადასხვა მანძი-  
ლებზე — ქალაქის მიკრორაიონის ფარგლებში და საერთა-  
შორისო მაგისტრალებზე. ტევადობით განსხვავებენ განსა-  
კუთრებით პატარა, პატარა, საშუალო, დიდ და განსაკუთ-  
რებით დიდ ავტობუსებს.

ყოველწლიურად იზრდება მათი წარმოება, ითვისებენ  
ახალ მოდელებს: ასე, მაგალითად, 1971 წელს, მეცხრე ხუთ-  
წლიანი პირველ წელს, გამოუშვეს 49,4 ათასი ავტობუსი.


აქ წარმოდგინდეს მასალებში არ არის მოძველებული  
JA3-695, KA83-651A), აგრეთვე ექსპერიმენტული მანქა-  
ების (JA3-698, ZIV-6-2M, KA83-810, ZIL-118) მოდე-  
ლების მონაცემები. ჩვენ ამ გვერდებზე წარმოვიდგინოთ მო-  
დელებს, რომლებსაც უფროსი საბჭოთა ავტობუსი ქარხ-  
ები.



PAF-977DM — განსა-  
კუთრებით პატარა სამომ-  
სახურეო ავტობუსი და სა-  
მარშრუტო ტაქსი



YA3-452B — განსაკუთ-  
რებით პატარა გავრდილი  
გამავლობის ავტობუსი



KA83-685 — პატარა ავ-  
ტობუსი სოფლებში და  
რაიონის შორის მგზავრო-  
ბისათვის



**ლომუზინი**, აქვს დახურული, ოთხკარანი ძარა, 2-3 რიგი საჯდომი და ტიხარი წინა საქდომის უკან.



**ოთხკარანი სედანი** („ბერლინი“ ანუ „სალინი“). აქვს დახურული, ოთხკარანი, უტიხრო ძარა და ორი (რვათაოდ სამი) რიგი საჯდომი.



**კაბრიოლეტი**, ანუ ტურდორი — სედანის ორკარანი სახესხეობა. ამ და უკუეს ტიპის ძარაზე შორის მკვეთრი განსხვავება არ არის.



**კუპე**, ანუ ბერლინეტი. აქვს ოთხკარანი, ორკარანი ძარა ორი-ოთხი განსხვავებით. აქვს საჯდომი ხშირი მუხტის მქონე, გათვალისწინებულია მხოლოდ ბავშვებისათვის (ე. წ. „+2+2“. ტიპის კუპე).



**დუბლ-ფუნქციონირი**, აქვს ოთხკარანი სევილის ტენტიანი ძარა, 2-3 რიგი საჯდომი და ტიხარი წინა საქდომის უკან.



**ფიჯიანი**, ანუ ტრაპეზოლი, აქვს ოთხკარანის სევილი ტენტიანი, უტიხრო ძარა.



**ფიჯიანი**, აქვს სევილი სევილის ტენტიანი ძარა, ასევე გვერდითი დარბეზი, ორი ან ოთხი კარი. კარები მიხვრია.



**სპიდერი**, ანუ სოლსტერი. აქვს ორკარანი, ორ-ოთხადგილიანი, სევილის ტენტიანი ძარა. წარმოადგენს კუპეს ლა ვარიანტს.



**ლანდო-ლამპუზინი** — ლამპუზინი, რომელსაც უკანა საჯდომების თაობაზე გვერდობრივად აქვს სევილის სევილი ტენტიანი.



**კაბრიოლეტი**. აქვს ოთხკარანი სევილი ტენტიანი, ხისტეკერდული ტენტიანი ძარა. კარები ისეთივე აქვს, როგორც სედანს.



**პარადოკსი** (დახურული და ლა ძარა) კაბრიოლეტი აქვს ხისტი, ზედი, როგორც სედანი. გვერდითი მიწების ჩამოშვების შემთხვევაში უახლოვდება ფიჯიანს.



**კუპე-კაბრიოლეტი**. აქვს სევილის ტენტიანი, რომელიც ფარავს სახურავის უკანა და უკანა ნაწილს. ასეთი ტიპის ძარა, ისევე როგორც კუპე-დუბლი, იშვიათად გამოიყენება.



**კუპე-დუბლი** — ლამპუზინი, რომელიც მხოლოდ ოთხად სახურავს აქვს. ზოგჯერ სახურავი გამოისართნა კარები, კი — უშინი.



**ფაბრიკა** სედანის კოორდინატორია, რომელიც დახმარებულია ტენტიანი სახურავი, გარდაქმნის ლამპუზინის სედანს და უკუეს ლამპუზინს.



**კონკი**, ანუ უნივერსალი. უკანა საჯდომების გარდაქმნის შემთხვევაში საშვებავს სედანთან აღმოაჩინოს სევილი ტენტიანი და სევილი ტენტიანი.

საქართველო

კონკიანი გამოიყენება და მდებარეობს საქართველოში, სადაც უკანა საჯდომების გარდაქმნის შემთხვევაში სევილი ტენტიანი და სევილი ტენტიანი გამოიყენება.

# მსუგავრი ავტომობილები

## პარკის გიგანტი

ინჟინერი ლ. შუპაროვი

ავტომობილების ძარბა სახელწოდებები უმრავლეს შემთხვევაში წარმოდგება უძველესი ეკიპაჟებისა და ეტლების სახელწოდებებისაგან — ფეტონი, ლანდი, კაბრიოლეტი, ტონი, თუ ევროპის რუკის დასველებით, ვიოტონი ნაცნობ სიტყვებს: „ლიმუზინი“, „ლანდი“, „სკიანი“. როგორც ჩანს, ძველად ეს ადგილები გამოქმული ყოფილა მკარტრეებით, რომლებიც გარკვეული ტიპის ეკიპაჟებს ამზადებდნენ.

ავტომობილების გამოჩენის შემდეგ კარეტის ტრემინოლოგია გავრცელდა „უცნებო ეკიპაჟების“ ძარბაზედაც. რამდენიმე ტიპის მანქანა უკვე გამოსულია მხარბოდან. ამჟამად ვერ შეხვდებით მანქანებს, რომელთა ძარბა „ტონი“ ანდა „კუპე-დე-ვილი“. სამაგიეროდ, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გამოჩნდა ახალი სახესხვაობები: კომპი, პარტობო, სპიდერო. რა იმალბა ამ ტრემინოლოგიაშია, რომლებსაც დღეს ინტერნაციონალური ვაგონა აქვს? დაგვხდეთ ჩვენარის მუ-4 ვე-ს, რომელზედაც წარმოდგენილია 15 სხვადასხვა ტიპის ძარბა.

მთელი ზედა რიგი უჭირავს იმ ძარბებს, რომლებიც გამოყენებულია უპირატესად უზღვევის კლასის, სიწარმოადგენლო ავტომობილებისათვის. მის ხანის ლიმუზინი — დასურული, თანკარიანი ძარბა, რომელსაც წინა საჯდომის ზურგს უკან აქვს ტისარი (სწრა შემთხვევაში მინისა, ჩაოსაშვები). ჩვეულებრივ ლიმუზინებში არის შვიდი ადგილიანი (31С-110, 311Л-114) საჯდომთა სამი რიგით. ამასთან, მეორე რიგის საჯდომი კეთდება გადასასხნელი, უფრო იშვიათად გვევლება სუთადგილიანი ლიმუზინები.

ველობის ამ მნიშვნელოვან დარგს და ფაქტიურად მოასწავებს მის ძირეულ რეკონსტრუქციას ახალი დროის მოთხოვნათა შესაფერისად. იმისათვის, რომ სამუშაო შესრულებულიყო სრულიად თანამედროვე დონეზე, გვი მიქვიათ მწარმოების ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად რამდენჯერმე მოიხილა დასავლეთ ევროპის მოწინავე ლუმენსაშენებლო ფირმები (ტელიაფერისა — იტალიაში და დემაგისა — დასავლეთ გერმანიაში). პარალელურად, ამ სამუშაოთა წარმოების პროცესში, მუდამ ახლის წვდომის სურვილით გვი მიქვიათ მუშაკთა ორიგინალური კონსტრუქციის დახურული ელექტროლუმენი, რომელსაც თავის ნაცვლად ჰერმეტიკული კაპრა ხუფავს. ამ უკანასკნელის სიახლე და ორიგინალობა დადასტურებულია საავტორო მოწმობით და დღეისათვის საჭიროა მისი გამოცდა ქარხნულ პირობებში. ამას გარდა, უკანასკნელი წლების განმავლობაში გვი მიქვიათ მწარმოებლის მრეწველობაში ე. წ. ვადასამუშავებელი წილების წარმოებისათვის შექმნილი სრულიად ახალი კონსტრუქციის ლუმენი, რომელიც დაცულია საავტორო უფლებით. ფაქტიურად იგი უზრუნველყოფს ხსენებულ წილების უწყვეტ წარმოებას, მაშინ როდესაც აღრიხლელი ლუმენის კაპიტალური შეკეთებისათვის გაჩერება ყოველ 30—40 დღე-ღამეში ხდება. ეს ლუმენი კი უკვე მესამე წელიწადია ნორმალურად მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში საკარნობი ეკონომიური ეფექტით და სხვ. გვი მიქვიათ მოასწრო 45 შრომის შესრულება, თეოლოტიც, როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, დიდი ორიგინალი და გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ.

ამ თხუთმეტიდღე წლის წინათ გვი მიქვიათ გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი: „გ. ნიკოლაე და დიდუბის საცდელი ქარხანა“, რომელიც იგი მისთვის ჩვეული პრაქტიკული სიღრმით გადმოცემს გ. ნიკოლაის მიერ ჩატარებული, იმ დროისათვის სრულიად უნიკალური ცდების შედეგებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ საერთოდ საბჭოთა ფეროშენადნობების მრეწველობის განვითარებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ეს წერილი ერთი საუკეთესოთაგანია იმ საბუთთა შორის, რომლებიც ამ ხანში შექმნილა ჩვენი ასიქადულო მამულიშვილის, შესანიშნავი მეცნიერისა და ინჟინრის გიორგი ნიკოლაის შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ. გვი მიქვიათ ამ წერილის წერის დროს ერთხელ კიდევ გატაცებით ოხილავდა გ. ნიკოლაის ნამუშევარს, ძვლამდე დასული კავშით იხსენებდა მის უზანოდ გაწყვეტილ ცხოვრებას და ნერვიულად მოფუსფუსე, საოცრად ფერგამკრთალი სახით წერდა... წერდა იმ სურვილით, რომ აბსოლუტური სისასვით ეჩვენებინა წინა თაობის ელვარე წარმომადგენლის ღვაწლი. დელავდა, რომ იოტისოდენაც არაფერი გამოჩინდოდა და არც დაეკლო რაიმე მისთვის. ასეთი იყო გვი მიქვიათ საერთოდ, ასეთი დამოკიდებულებანი შეადგენდა მისი ცხოვრების დიდ ნაწილს.

დასაუფლებელია გვი მიქვიათ მუშაობა გერმანო-გიურ ასპარეზზე: გერმანიის რეკონსტრუქციის ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც იგი, როგორც დოცენტი და შემდეგ პროფესორი, მეოთხედ საუკუნეზე მეტი გატაცებით ასწავლიდა ახალგაზრდებს. ასწავლიდა არა მარტო ურველთა გაუცევეთელი აზრებითა და სიღრმით გამოჩენილი ლექციებით ელექტროთერმის დარგში, არამედ უფრო მეტად პირადი მავალითათ აღუძრავდა სტუდენტებს დამოუკიდებელი აზროვნების სურვილსა და უნარს, უნერგავდა შრომის, ხალხისა და ქვეყნის სიყვარულს. პარალელურად მუშაობდა ასპირანტებთან და წარმოების ინჟინრებთან სადისერტაციო ნაშრომების მალაპროფესიულ დონეზე შესრულების მიზნით და ა. შ.

ერთდროულად, გვი მიქვიათ, როგორც დიდი ერუდის ინჟინერი და მეცნიერი, 1957 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შექმნისთანავე მის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს და მომდევნო 15 წლის განმავლობაში, ე. ი. სიცოცხლის ბოლომდე, ორგანიზატორულ ნიჭისა და უნარის წარმოჩენით იღვრავდა ჩვენი სა-მეცნიერო-ტექნიკური აზრის განვითარებისა და ტექნიკური პროგრესისათვის. საინტერესოა, რომ იგი მეთავეობდა ელექტროთერმული მეცნიერებისა და წარმოების განვითარების საკავშირო კომისიას; ხშირად მონაწილეობდა ელექტროთერმული საერთაშორისო კონგრესებში (იტალიაში, ინგლისში და სხვაგან) მუშაობაში, როგორც საბჭოთა დელეგაციების წევრი და ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობა მასშტაბურად სცილდებოდა ხოლმე ქართულის ფარგლებს. საბჭოთა მთავრობის დავალებით მოგზაურობდა სასწავლო-განათლებლო განვითარებად ქვეყნებში სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დამყარებისა და მათთვის სამეცნიერო-საკვლევადებო მუშაობის ორგანიზაციის საქმეში დახმარების აღმოჩენის მიზნით.

გვი მიქვიათ ფართოდ იყო ჩაბმული რესპუბლიკის პარტიულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. იგი ატარებდა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებას და სახელმწიფოს წინაშე დასაჯურებისათვის დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

უხანო იყო გვი მიქვიათ სიკვდილი. მიუღმა საზოგადოებრივ მამფრი გულისტკივილით დაიჭირა იგი და სიმძიმის ცრემლებით შეუმუშებლქა მშობლიური მიწა. მისი პროვინციის ნათელი სახე, მიშვიდველი იერი და ყველაფერი, რაც შესანიშნავი ჰქონდა, გადავა მის შვილსა და შვილიშვილებში, მის მოწაფეებში, დარჩებათ მის მეგობრებს, ახლობლებს და ასე, მუდამ ჩვენს შორის იქნება იგი.



ინჟინერი ვ. ზოკერიძე

1950 წელს ინდოეთის ქ. სიმლეში ირიგატორთა საერთაშორისო თაობიზზე შექმნა ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისია ICID, რომლის დანიშნულებაა — ხელი შეუწყო მსოფლიოს ყველა ქვეყნის მელიორატორთა ურთიერთთანამშრომლობას.

თავის ამოცანებს ICID ახორციელებს ცალკეულ ქვეყნებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციების გაცვლით, მელიორაციისა და წყალთა მუერნობის აქტუალური პრობლემების გამოკვლევით, საერთაშორისო კონგრესებისა და სიმპოზიუმების მოწვევით და სამეცნიერო შრომების პუბლიკაციით მელიორაციის დარგში.

ამ კომისიის შემადგენლობაში შედის მსოფლიოს 62 ქვეყანა. საბჭოთა კავშირი ამ ორგანიზაციის წევრია 1955 წლიდან და წარმოდგენილია ირიგაციისა და დრენაჟის ნაციონალური კომიტეტით.

ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კონგრესები იმართება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ამა თუ იმ ქვეყანაში. წინა კონგრესები მოეწყო ინდოეთში (1951 წ.), აღიპარში (1954 წ.), აშშ-ში (1957 წ.), ესპანეთში (1960 წ.), იაპონიაში (1963 წ.), ინდოეთში (1966 წ.) და მექსიკაში (1969 წ.). კონგრესებზე განხილული იყო 26 მნიშვნელოვანი საკითხი ირიგაციისა და დრენაჟის შესახებ.

მორიგი VIII საერთაშორისო კონგრესი ირიგაციასა და დრენაჟზე ჩატარდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში. კონგრესი მიმდინარეობდა ქ. ვარნის კულტურისა და სპორტის სასახლეში ა. წ. 17-დან 27 მაისამდე. სასახლე აშენებულია 1968 წელს და წარმოადგენს ბულგარეთის თანამედროვე არქიტექტურის უდიდეს მიღწევას. იგი იტევს 5000-მდე ადამიანს. ქ. ვარნა ყველაზე ღამაში და დიდი ქალქია ბულგარეთის ზღვისპირა ქალაქებს შორის. მას 2500 წლის ისტორია აქვს. შიშობისა და ზღვის ბუნებრივმა შესამებამ განაპირობა ქალაქის საერთაშორისო კურორტად გადაქცევა.

კონგრესში მონაწილეობა მიიღო 800 დელეგატმა მსოფლიოს 47 ქვეყნიდან. ყველაზე მრავალრიცხოვანი დელეგაციით (136 დელეგატი) წარმოდგენილი იყო საბჭოთა კავშირი (დელეგაციის ხელმძღვანელი — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მუერნობის მინისტრი ე. აღმესკვესკი). 136 დელეგატიდან 36 კომპაგში-რელი იყო, რომლებიც ჩაივდნენ კონგრესზე საკავშირო ოლკ კომიტეტის გადაწყვეტილებით.

ჩვენი რესპუბლიკიდან კონგრესს ესწრებოდა სული დელეგატი: საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მუერნობის მინისტრი ვ. ქობულაძე, საქართველოს პირობატექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა კავშირის ვ. ო. ლენინის სახელობის სოფლის მუერნობის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ც. მიტცხულავა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ი. ჯივიჩიანი, ასაკულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მუერნობის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ბურჭულაძე და საქართველოს პირობატექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. ბოკოჩია.

კონგრესის სახელო განსა და მოეწყო 20 მაისს. დღის წესრიგში იყო სამი საკითხი: სანაპიროებისა და დაბლობების დელტის რიონების მორწყვა და დაშრობა; მორწყვისა და ამორბობაში ავტომატიზაციისა და სინთეზური მასალების გამოყენება; მდინარის კალაპოტის რეგულირებაზე მოქმედი ფაქტორები.

საბჭოთა კავშირის ირიგაციისა და დრენაჟის ნაციონალური კომიტეტი VIII საერთაშორისო კონგრესზე წარდგა 5 მოხსენებით. აღსანიშნავია, რომ ამ მოხსენებებიდან ერთი — მდინარის კალაპოტის რეგულირებაზე მოქმედი ფაქტორები (თეორია და ანგარიშის მეთოდები) — ჩვენი რესპუბლიკის ავტომოდგენულ პროფესორ ვ. მიტცხულავას ეკუთვნოდა. მის გამოსვლას კონგრესის მონაწილენი დიდი ინტერესით შეხდნენ.

ახვედ დიდი მონაწილეობა ხვდა წილად მოხსენებებს, რომლებიც გააკეთეს სტაროსლოკიმ (უნგრეთი), ჩუკმა (აშშ), რადეკმა (ბულგარეთი), ცუზანი (იაპონია).

ყოველი თემის ირავლე იმართებოდა კამათი, რომელშიც დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერები.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ კონგრესზე ფართო მსჯელობის საფინად იქცა რწყვის ახალი მეთოდი მელიორაციაში, ე. წ. „წყველი რწყვა“ (უდაბნოს პირობებში). მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერების აზრით, ამ მეთოდს დიდი მომავალი აქვს. „წყველი რწყვის“ დროს მეცნარეს წყალი მიეწოდება წვეთების სახით ნიადაგვემ ამ ნიადაგის ზემოთ ვითარებულ მუერფორირებულ პლასტიკის მასალაზე.

კონგრესზე წარმოდგენილი ყველა მოხსენება გამოცა კრებულის სახით (ინგლისურ და ფრანგულ ენებზე) და გადაცა დელეგატებს.

ვინაიდან კომისიის პრეზიდენტისა და სული ვიცე-პრეზიდენტის არჩევა ხდებდა ყოველ 3 წელიწადში ერთხელ, კომისიის აღმასრულებელი საბჭომ 22 მაისს სხდობაზე მოაწყო ვადარჩევნები. ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნენ პრეზიდენტად — ე. აღმესკვესკი (საბჭოთა კავშირის მელიორაციისა და წყალთა მუერნობის მინისტრი), ვიცე-პრეზიდენტად — ს. ჯიანი (ინდოეთი), გ. ცელმანი (გერმ.), ს. სოსრედარსონი (ინდონეზია), კახაშანი (ირანი), ს. კანტორა (ისრაელი); კომისიის გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა ფრაში (ინდოეთი).

აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით მორიგი IX საერთაშორისო კონგრესი ირიგაციასა და დრენაჟზე ჩატარდება 1975 წელს მოსკოვში. ამ არჩევნის საფუძველად დიდო ის, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა ირიგაციისა და დრენაჟის პრობლემებს და რომ საბჭოთა კავშირი ფართო მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო კომისიის მუშაობაში.

კონგრესის დელეგატებისათვის ტარდებოდა ექსკურსიები, კონცერტები, დავესტინი სტავროს და მწერლობისა და კულტურის დღესასწაულს. კონგრესის დამთავრების აღსანიშნავად ბულგარეთის მიწაში მოქმედებისა და კვების მრეწველობის მინისტრის ვ. შოპოვის მიერ გამართულ იქნა ოფიციალური დარბაზობა, რომელსაც ესწრებოდა კონგრესის ყველა დელეგატი.

კონგრესის დამთავრების შემდეგ მოეწყო ექსკურსიები ბულგარეთის ქალაქ ტირნოვოში, პლოდევში და სოფიაში. კონგრესის დელეგატებს ამ ექსკურსიების დროს საშუალება ჰქონდათ გასცნობოდნენ ბულგარეთის მხვილ მელიორაციულ ობიექტებს და მათ განვითარებას.

„საბჭოთა ხელოვნების“ 1972 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა აკადემიკოს გ. წერეთლის გამოკვლევა — „მეტრი და რიტმი“ ვეფხისტყაოსანში“. ამ მეტად საინტერესო და საგულისხმო ნაშრომში ავტორი ახლებურად სვამს საკითხს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსთწყობის შესახებ. სახელდობრ, იგი ახაბუთებს, რომ რუსთველის გენიალური ქმნილება სიმეტრიასა და ოქროს კვეთაზეა აგებული. რამდენადაც ოქროს კვეთა არასპეციფიკისტიკისთვის ნაკლებადაა ცნობილი, ამიტომ ზემოხსენებული წერილის წაკითხვისთანავე დამებადა აზრი ჩვენი ჟურნალის მკითხველთათვის გაშეცნო გეომეტრიისა და მთელი მათემატიკის ეს ერთ-ერთი ლამაზი საკითხი.

1. ამბობენ, რომ  $AB$  მონაკვეთის  $C$  წერტილი ამ მონაკვეთის ოქროს კვეთას ახდენს, თუ

$$AC : AB = BC : AC. \quad (1)$$

ამრიგად, ოქროს კვეთა არის მთელის ისეთი გაყოფა ორ, ერთ-მანეთის არაბოლო ნაწილად, როდესაც დიდი ნაწილი ისე შეფარდება მთელს, როგორც მცირე ნაწილი დიდს\*.

თუ  $AB$  მონაკვეთის სიგრძეს  $a$ -თი აღვნიშნავთ,  $AC$ -სას კი  $x$ -ით, მაშინ  $BC$ -ს სიგრძე  $a-x$  იქნება და (1) პროპორცია შემდეგ სახეს მიიღებს:

$$x : a = (a-x) : x. \quad (2)$$


როგორც ამ პროპორციიდან ჩანს, ოქროს კვეთისას დიდი მონაკვეთი მთელი მონაკვეთისა და მცირე მონაკვეთის საშუალო პროპორციულია:

$$x^2 = a(a-x). \quad (3)$$

ადილი მისახვედრია, რომ სამართლიანია შებრუნებული დისკვანა: თუ მონაკვეთი ისეთ ორ, ერთმანეთის არაბოლო მონაკვეთადაა გაყოფილი, რომ დიდი მონაკვეთი მთელი მონაკვეთისა და მცირე მონაკვეთის საშუალო პროპორციულია, მაშინ მოცემული მონაკვეთის ოქროს კვეთა ვეპყვს.

2. ვნახოთ, როგორ შეიძლება მონაკვეთის ოქროს კვეთა მოვახდინოთ.

ავილოთ  $AB$  მონაკვეთი და მის ერთ-ერთ ბოლოზე, მაგალითად  $B$ -ზე, ადამართოთ მისდამი მართობი  $BD$  მონაკვეთი, რომლის სიგრძე  $AB$ -ს სიგრძის ნახევრის ტოლია. შევუერთოთ  $A$  და  $D$  წერტილები. მივიღებთ  $ABD$  მართკუთხა სამკუთხედს. ამ სამკუთხედის  $AD$  ჰიპოტენუზაზე



\* ოქროს კვეთას ხშირად საშუალო და კიდურა შეფარდებით გაყოფისაც უწოდებენ.



$BD$ -ს ტოლი  $DE$  მონაკვეთი მოვზომოთ. ახლა  $AB$ -ზე მოვზომოთ  $AE$ -ს ტოლი  $AC$  მონაკვეთი.  $C$  საძიებელი წერტილია — ის  $AB$  მონაკვეთის ოქროს კვეთას ახდენს. მართლაც, პითაგორას თეორემის თანხმად,

$$(AE + ED)^2 = AB^2 + BD^2$$

და თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$AE = AC, \quad ED = BD = 0,5AB,$$

გამარტივების შემდეგ ვეპყვებით:

$$AC^2 + AC \cdot AB = AB^2.$$

აქედან უკვე ადვილად მიიღება (1) პროპორცია.

3. თუ (2) ან, რაც იგივეა, (3) ტოლობიდან  $x$ -ს განვსაზღვრავთ, მივიღებთ:

$$x = \frac{\sqrt{5} - 1}{2} a \approx 0,618a.$$

ახლა  $a-x$  ვიპოვოთ:

$$a-x = \frac{3 - \sqrt{5}}{2} a \approx 0,372a.$$

როგორც ვხედავთ, ოქროს კვეთის ნაწილები მიახლოებით მთელის 0,618-სა და 0,372-ს შეადგენს.

4. პირველი ლიტერატურული წყარო, რომელშიც მონაკვეთის ოქროს კვეთის პროპორციით გაყოფა ვეხვდებით, ევკლიდეს ცნობილი „სახეისებია“. მაგრამ, უდავოა, რომ ოქროს კვეთას ევკლიდესზე ადრე იცნობდნენ. კერძოდ, ის ცნობილი ყოფილა პითაგორელებისათვის.

სწავლობდნენ რა პარმონის თეორიას, პითაგორა და მისი მოწაფეები იმ დისკვანამდე მივიდნენ, რომ ბერებს შორის თვისობრივი განსხვავება სიმების სიგრძეებს შორის რაოდენობრივი განსხვავებით არის განპირობებული. ამან მათ აფიქრებინა, რომ სამყაროს ყველა კანონზომიერება შეიძლება რიცხვებით გამოისახოს. ამის გამო პითაგორელები რიცხვებში, მონაკვეთების შეფარდებებში ყოველთვის მიგებოდნენ და ზებუნებრივს ეძიებდნენ. კერძოდ, დიდი პატივით სარგებლობდა ოქროს კვეთა, რომელიც, მათი აზრით, თვალისთვის სასიამოვნო უნდა ყოფილიყო. სრულიად ბუნებრივია, რომ პითაგორელების საცნობარ ნიშანი წესიერი ხუთკუთხედის დიაგონალებით შედგენილი ხუთკუთხედი გასკვლევი იყო — ასეთი ხუთკუთხედის ნებისმიერი ორი დიაგონალი ერთმანეთს ხმ ოქროს კვეთის პროპორციით ჰყოფს! გადმოცემით, უცხო მხარეში მოხვედრილმა ერთ-ერთმა პითაგორელმა, რომელიც დასნეულდა და საშუალება არ ჰქონდა საფასური გადაეხადა მისი მომგვლისთვის, სიკვდილის წინ უკანასკნელს სთხოვა — შენს სახლზე ხუთკუთხედიანი ვარსკვლავისებური მრავალკუთხედი გამოისხე და, თუ როდესმე სახლს წინ პითაგორელი გაივლის, აუცილებლად დაინტერესდება ამ ნიშნით და ჩემს



ამბავს შეიტყობსო. მართლაც, რამდენიმე წლის შემდეგ გზად შიშა-ვაღმა პითაგორელმა დინახა ეს სიმბოლო და სახლის პატრონმაც უხვი გასამრჯელო მიიღო.

შუა საუკუნეებში ისევ გავლენა ინტერესი ოქროს კვეთისადმი და სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ XV საუკუნის დასასრულს იმ დროის ერთ-ერთმა უდიდესმა მათემატიკოსმა, იტალიელმა ლუკა პანოლიმ ოქროს კვეთის საეციალური წიგნიც კი უძღვნა. ამ წიგნში, რომელსაც „ღვთაებრივი პროპორცია“ ჰქვია, ავტორს ოქროს კვეთის შეფარდების ცამეტი შესანიშნავი თვისება მოჰკავს. საინტერესოა, რომ წიგნის დაწერის ერთ-ერთი სფლის-ნამდგმელი და მისი გამოფრთხილება ვენიანელი მხატვარი ლენარდო და ვინჩი ყოფილა. სხვათა შორის, თეთი ტერმინი „ოქროს კვეთა“ ლენარდოს მიერაა შემოღებული.

აქვე შევიყვანოთ უდიდესი მეცნიერის იოჰან კეპლერის აზრი ოქროს კვეთის შესახებ: „გეომეტრია ორ საუნჯეს ფლობს: ერთი მათგანი პითაგორას თეორემა, მეორე — მონაკვეთის საშუალო და კიდურა შეფარდებით გაყოფა... პირველი შეიძლება ოქროს საწყავის შევადაროთ, მეორე კი — უფრო ძვირფას ქვას მოვავიჯოთ“.

დაკვირვება ცხადყოფს, რომ ესთეტიკური თვალსაზრისით ოქროს კვეთის გარკვეული უპირატესობა აქვს. ამის დამადასტურებელია თუნდაც იმ ცდის შედეგები, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს იქნა ჩატარებული: გამოსაცდელს 10 სხვადასხვა ზომის მართკუთხედს სთავაზობდნენ, რომელთაგან მას ერთი უნდა აერჩია. ამ მართკუთხედებს შორის ერთი „ოქროს მართკუთხედი“ იყო — გვერდების შეფარდებით 21 : 34. და აი, გამოცდილთა თითქმის 22% -მა სწორედ ეს მართკუთხედი აირჩია. გვერდს ვერ აუვლით იმ ფაქტსაც, რომ წიგნებს, საფოსტო ბარათებს, საფულეებს, შოკოლადის ფილებს და ბევრ სხვა საგანს, ნებით თუ უნებლიეთ, ოქროს მართკუთხედის ფორმა აქვს.

ოქროს კვეთამ ფართო გამოყენება პოვა ხუროთმოძღვრებასა და მხატვრობაში, მთელი რივი შენობები აგებულია ოქროს კვეთის პროპორციით. იგივე პროპორცია უღვევს საფუძვლად ტიციანის, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის არა ერთი და ორ შეღვევს.

არც კომპოზიტორები და პოეტები დარჩენილან „გულგრილნი“ ოქროს კვეთის მიმართ. ცნობილია, მაგალითად, რომ გამოჩენილმა უნგრელმა კომპოზიტორმა ბელა ბარტოკმა თავისი მუსიკა ოქროს კვეთაზე დააფუძნა. რაც შეეხება პოეტებს, როგორც აკადემიკოსი გ. წერეთელი აღნიშნავს ზემოთ დასახვლებულ ნაშრომში, „პოეზიაში რუსთაველი პირველია მსოფლიოში და შეიძლება ერთადერთი, რომელმაც ოქროს კვეთაზე ააგო ესოდენ დიდი მოცულობის პოეტური ნაწარმოები. მისი პოემის 1587 სტროფიდან 863 ოქროს კვეთაზეა აგებული...“ მაგრამ ამაზე ქვემოთ.

5. დაუბრუნდეთ (3) ტოლობას, თუ მასში  $x$ -ს  $a$ -ით შევცვლით, ე. ი.

$$x = a\tau$$

აღნიშვნას შემოვიღებთ, მაშინ  $\tau$ -ს მიმართ შემდეგ კვადრატულ განტოლებას მივიღებთ:

$$\tau^2 + \tau - 1 = 0. \quad (4)$$

ცხადია, რომ ამ განტოლების დადებითი ფესვი ოქროს კვეთის შეფარდების ტოლია:

$$\tau = \frac{x}{a} = \frac{a-x}{x} = \frac{\sqrt{5}-1}{2}.$$

ეს მართლაცაა შესანიშნავი რიცხვია. გავცნოთ მის ზოგიერთ საინტერესო თვისებას.

6. გამოთვლა გვჩვენებს, რომ

$$\tau = 0,618033989\dots, \quad \frac{1}{\tau} = 1,618033989\dots$$

როგორც ვნადავთ,  $\tau$  რიცხვის შებრუნებული  $\tau^{-1}$ -ით მეტია. აღვიღად დაერწმუნდებით, რომ  $\tau$  ერთადერთი დადებითი რიცხვია, რომელსაც ეს თვისება აქვს.

მართლაც, თუ  $x$  ამ თვისების მქონე დადებითი რიცხვა, მაშინ უნდა გვექნდეს

$$\frac{1}{x} = 1 + x,$$

ე. ი.  $x$

$$x^2 + x - 1 = 0$$

განტოლების ამონახსნი უნდა იყოს. ამ განტოლებას კი ერთადერთი დადებითი ამონახსნი აქვს:  $x = \tau$ .

7. ზემოთ მიღებული (4) განტოლება შემდეგი სახით გადავწვიოთ:

$$\tau = \frac{1}{1+\tau}.$$

ამ ტოლობის მარჯვენა ნაწილში  $\tau$  მისი მნიშვნელობით  $\frac{1}{1+\tau}$  -ით შევცვალოთ, მივიღებთ:

$$\tau = \frac{1}{1+\frac{1}{1+\tau}}$$

თუ ამ ტოლობაში იგივე შევცვლას მოვანდით, გვექნება:

$$\tau = \frac{1}{1+\frac{1}{1+\frac{1}{1+\tau}}}$$

ეს პროცესი უსასრულოდ გავაგრძელოთ. მაშინ შემდეგ ტოლობას მივიღებთ:

$$\tau = \frac{1}{1+\frac{1}{1+\frac{1}{1+\frac{1}{1+\dots}}}} \quad (5)$$

ამ ტოლობის მარჯვენა ნაწილში მიღომ კამოსახლეობს ჯაჭვწილადი ეწოდება. ამრიგად, მივხვდეთ  $\tau$ -ს წარმოდგენა უსასრულო ჯაჭვწილადის სახით. ამ ჯაჭვწილადის უკიდურესი სიმაღრვე — იგი მხოლოდ ერთიანებთანაა ჩაწერილი,  $\tau$ -ს ერთ-ერთ შესანიშნავ თვისებას გამოსატყავს.

8. ახლა გავცნოთ  $\tau$ -ს კიდევ ერთ წარმოდგენას, ამჯერად რაღაცალების საშუალებით. სახელდობრ, დავამტკიცოთ, რომ

$$\tau = \frac{1}{\sqrt{1+\sqrt{1+\sqrt{1+\sqrt{1+\dots}}}}} \quad (6)$$

ამისათვის შევისწავლოთ რიცხვთა შემდეგი მიმდევრობა

$$\sqrt{1}, \sqrt{1+\sqrt{1}}, \sqrt{1+\sqrt{1+\sqrt{1}}}, \sqrt{1+\sqrt{1+\sqrt{1+\sqrt{1}}}}, \dots$$

ამ მიმდევრობის  $n$ -ური წევრი —  $\varphi_n$  რაღაცას შეიცავს:

$$\varphi_n = \sqrt{1+\sqrt{1+\sqrt{1+\dots\sqrt{1}}}} \quad (7)$$

შევაშოქოთ, რომ  $\{\varphi_n\}$  კრებადი მიმდევრობაა. როგორც ცნობილია, მიმდევრობის კრებადობის დასადგენად საკმარისია ვაჩვენოთ, რომ ეს მიმდევრობა მონოტონური და შემოსაზღვრულია. მონოტონურობა უშუალოდ ჩანს. მართლაც, ნებისმიერი  $n$ -ისთვის

$$\varphi_n < \varphi_{n+1}$$

ქ. ი.  $\{\varphi_n\}$  ზრდადია, ვაჩვენოთ, რომ იგი შემოსაზღვრულიც არის, ვინაიდან

$$\varphi_{n+1} = \sqrt{1 + \varphi_n} \quad (8)$$

და, მასასადამიკ

$$\varphi_n < 2 \rightarrow \varphi_{n+1} < \sqrt{3} < 2,$$

ამიტომ შემოსაზღვრულობის დასადგენად საკმარისია შემოწმდეს, რომ  $\varphi_1 < 2$ . ეს კი ცხადია.

ამრიგად,  $\{\varphi_n\}$  კრებადია, მისი ზღვარი  $\varphi$ -ით აღვნიშნოთ:

$$\lim \varphi_n = \varphi.$$

ახლა (8) ტოლობაში ზღვარზე გადასვლა მოვცემს:

$$\lim \varphi_{n+1} = \lim \sqrt{1 + \varphi_n},$$

ქ. ი.

$$\varphi = \sqrt{1 + \varphi}.$$

მასასადამიკ, დადებითი  $\varphi$  რიცხვი

$$\varphi^2 - \varphi - 1 = 0$$

განტოლებას აკმაყოფილებს. აქედან

$$\varphi = \frac{1 + \sqrt{5}}{2} = \frac{2}{\sqrt{5} - 1} = \frac{1}{\tau}$$

საიდანაც უშუალოდ (6) ტოლობა მიიღება.

აქაც არ შეიძლება არ აღინიშნოს მიღებული წარმოდგენის სიმარტივე.

9. ავიღოთ ისევ (5) ტოლობა. როგორც ვთქვით, ტოლობის მარჯვენა ნაწილში უსასრულო ჯაჭვწილადაა. ეს ჯაჭვწილადაა ძალიან მოსახერხებელია ირაციონალური  $\tau$  რიცხვის რაციონალური რიცხვებით მიახლოებისათვის. ამისთვის განვიხილოთ ე. წ. მახლოვანი წილადები:

$$\tau_1 = \frac{1}{1}, \quad \tau_2 = \frac{1}{1 + \frac{1}{1}}, \quad \tau_3 = \frac{1}{1 + \frac{1}{1 + \frac{1}{1}}}$$

და, საზოგადოდ, ნებისმიერი  $n$ -სთვის:

$$\tau_n = \frac{1}{1 + \frac{1}{1 + \frac{1}{1 + \frac{1}{\dots + \frac{1}{1 + \frac{1}{1}}}}}} \quad (9)$$

ცხადია, რომ  $\{\tau_n\}$  მიმდევრობის ზღვარი  $\tau$ -ს უდრის:

$$\lim \tau_n = \tau.$$

ვნახოთ, რას უდრის  $\tau_n$ . უშუალოდ გამოთვლით მივიღებთ:

$$\tau_1 = 1, \quad \tau_2 = \frac{2}{2}, \quad \tau_3 = \frac{3}{3}, \quad \tau_4 = \frac{4}{5}, \quad \tau_5 = \frac{5}{8}$$

და ა. შ. გამოვიყვანოთ ზოგადი კანონი.

ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, შევნიშნოთ, რომ ორი მეზობელი მახლოვანი წილადაა  $\tau_n$  და  $\tau_{n+1}$  შემდეგი თანაფარდობითა დაკავშირებული ერთმანეთთან:

$$\tau_{n+1} = \frac{1}{1 + \tau_n}.$$

ეს ტოლობა, რომელიც  $\tau_n$ -ის განსაზღვრიდან, ე. ი. (9) ფორმულიდან მიიღება, გვიჩვენებს, რომ

\* ამ ტოლობის მარჯვენა ნაწილში  $n$  წილადის საზო.

$$\tau_n = \frac{u}{v} \rightarrow \tau_{n+1} = \frac{v}{u+v}.$$

ამრიგად,  $\tau$ -ს ნებისმიერი მახლოვანი წილადაა, მეორედ დაწვებულ, მისი წინა მახლოვანი წილადის მნიშვნელობა და ამ წილადის მიცხველობა და მნიშვნელობის ჯამის შეფარდებას წარმოადგენს.

ეს მარტივი კანონი საშუალებას გვაძლევს სულ ადვილად, თითქმის მექანიკურად დაწვროთ  $\tau$ -ს მახლოვან წილადთა მიმდევრობა:

$$\frac{1}{1}, \frac{1}{2}, \frac{2}{3}, \frac{3}{5}, \frac{5}{8}, \frac{8}{13}, \frac{13}{21}, \frac{21}{34}, \frac{34}{55}, \dots$$

რიცხვთა თეორიის კურსებში მტიცილება ჯაჭვწილადის მახლოვან წილადთა შემდეგ თვისება:

კენტობრიანი მახლოვანი წილადები კლებადობით მისწრაფიან მათი წარმომქმნელი ჯაჭვწილადით გამოსახული რიცხვისაკენ, ლევენტობრიანი მახლოვანი წილადები კი ზრდადობით მისწრაფიან იმავე რიცხვისაკენ.

თუ ამ თვისებას  $\tau$  რიცხვის შემთხვევაში გამოვიყენებთ, მივიღებთ:

$$\frac{1}{2} < \frac{3}{5} < \frac{8}{13} < \frac{21}{34} < \frac{55}{89} < \dots < \tau < \dots < \frac{34}{55} < \frac{13}{21} < \frac{5}{8} < \frac{2}{3} < \frac{1}{1}.$$

10. ოქროს კვეთის მახლოვან წილადებთან მჭიდრო კავშირშია ე. წ. ფიბონაჩის მიმდევრობა\*. ამ სახელითაა ცნობილი რიცხვთა მიმდევრობა, რომლის პირველი ორი წევრი 1-ს უდრის, ხოლო ყოველი შემდგომი — წინა ორი წევრის ჯამს. ამრიგად, ფიბონაჩის მიმდევრობა

$$u_1 = 1, \quad u_2 = 1$$

საწყისი პირობითა და

$$u_{n+2} = u_{n+1} + u_n$$

რეკურენტული თანაფარდობითაა განსაზღვრული.

ამ მიმდევრობის დაწერა არავითარ სიმწიფეს არ წარმოადგენს, აი მისი დასაწყისი:

$$1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89, 144, \dots$$

ფიბონაჩის მიმდევრობის პირველი ორი წევრის შეფარდება  $\tau$  რიცხვის პირველი მახლოვანი წილადაა. ამიტომ, თუ გავიხსენებთ იმ თანაფარდობას, რომელიც  $\tau$ -ს ორ მეზობელ მახლოვან წილადს შორის არსებობს, ცხადი ვახდებთ, რომ ფიბონაჩის მიმდევრობის ნებისმიერი წევრის შეფარდება მომდევნო წევრთან  $\tau$  რიცხვის მახლოვანი წილადაა, ე. ი. ოქროს კვეთის შეფარდების მახლოვანობით მნიშვნელობის წარმოადგენს. ეს მიახლოება მით უკეთესია, რაც მეტია ადგილი წევრის ნომერი.

თუკი მიმდევრობის სამ, ერთმანეთის მომდევნო წევრს —  $u_n$ -ს,  $u_{n+1}$ -ს და  $u_{n+2}$ -ს ავიღებთ, მაშინ

$$\frac{u_n}{u_{n+1}} \quad \text{და} \quad \frac{u_{n+1}}{u_{n+2}}$$

$\tau$  რიცხვის ორი მეზობელი მახლოვანი წილადაა, რომელთაგან ერთი მეტია  $\tau$ -ზე, მეორე კი — ნაკლები.

მიღებული შედეგი მეტად საგულისნმოა, ვინაიდან მახლოვან წილადებს გარკვეული ობტკველურობის თვისება აქვს. ვაკვივით ამ თვისებას  $\tau$  რიცხვის მაგალითზე.

\* ფიბონაჩი — XII—XIII საუკუნეების იტალიელი მათემატიკოსის, ლეონარდო და პისანელის მეტსახელი. ფიბონაჩი (filius Bonacci) — ბონაჩის ვაჟიშვილი.



\* 125 წლის წინათ, 1847 წლის 26 სექტემბერს, სარატოვის გუბერნიის სერდობის მაზრაში დაიბადა ტენისკის მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწე, ინჟინერი, საჯაროელი ელექტროტექნიკოსი პავლე ნიკოლოზის ძე იაბლოჩკოვი.

მისი შრომები, გალტაქებული მიწათმფლობელები, ცდილობდნენ შეიღისათვის კარგი განათლება მიეცათ. 1859 წელს დღემამან 12 წლის პ. იაბლოჩკოვი სარატოვის გიმნაზიის მე-2 კლასში შეიყვანეს. 1863—1866 წლებში პ. იაბლოჩკოვი სწავლობდა სინეინრო სასწავლებელში, სადაც მას ასწავლიდნენ ისეთი ცნობილი რუსი მეცნიერები, როგორც ივენენ ი. ვინეგრადსკი, გ. პაუკერი, ფ. ლასკოვსკი, ც. კიული და სხვ.

1866 წელს, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, პ. იაბლოჩკოვი პოდპორუჩიკის ჩინო ჩაირიცხა მე-5 მესანგრეთა ბატალიონში; შემდეგ იგი ოფიცრად მსახურობდა კიევის ციხის გარნიზონში.

სინეინრო სასწავლებელში მიღებულმა განათლებამ პ. იაბლოჩკოვის გამომგონებლობისადმი ინტერესი გაუღვიძრა. მას მრავალი საკითხი იტაცებდა, განსაკუთრებით ელექტროტექნიკაში. ამ პერიოდში რუსეთში ჩნდება პირველი გენერატორები თვითაღმძებრებით, რომლებიც დენის სრულყოფილ წყაროებს წარმოადგენდა. კიევის ციხის ოფიცერი პ. იაბლოჩკოვი ამ სფეროში შეუშაბის საშუალებებს მოკლებული იყო, რის გამოც სამასხურიდან გადადგა.

პ. იაბლოჩკოვის ოცნება იყო ჩაეტარებინა ცდები ელექტროტექნიკაში, რაც არც ისე ადვილი გამოდგა, რადგან მისი თეორიული მოზაზება ამ მიმართულებით საქმარისი არ აღმოჩნდა. სპეპირა იყო ცოდნის გაღრმავება, რის გამოც პ. იაბლოჩკოვი უზრუნველმა ძველ სასწავლებელს დატოვებულა და შეიღის დაღრის რუსეთში ერთადერთ გაღრმავებულ ტექნიკურ სასწავლებელში. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პ. იაბლოჩკოვი მალე სამუდამოდ ანებებს თავსამხედრო სამსახურს (1872 წ.). ამ პერიოდში იწყება მისი მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობა ელექტროტექნიკაში, რასაც მთელი სიცოცხლე შეაღია.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ელექტრობა ყველაზე მეტ გამოყენებას ტელეგრაფში პოულობდა. ამიტომ პ. იაბლოჩკოვი გადავიდა მოსკოვ-კურსკის რკინიგზის ტელეგრაფის უფროსის თანამდებობაზე. მოსკოვში მისი მოღვაწეობა ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა. იგი მონაწილეობას ღებულობდა მოსკოვის პოლიტექნიკური გამოფენის მოწყობაში, შშირად ესაუბრებოდა ადგილობრივ დიზაიანებს; გაეცნო ლოდინის ვარვარის ნაოთრას.

ვთქვათ,  $\tau_1$  მასლოვადი წილადის მნიშვნელობა  $q$ . ავიღოთ იმ წილადთა სიმრავლე, რომელთა მნიშვნელობა  $q$ -ს არ აღემატება. თურმე ყველა ასეთ წილადს შორის არაა ყველაზე ახლოს სწორედ  $\tau_1$ -ია. ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ  $\tau$  რიცხვის საუკეთესო მიახლოებებს სწორედ მისი მასლოვადი წილადები წარმოადგენს.

ახლა დავსვათ შემდეგი კითხვა: ვთქვათ, მთელი  $a$  რიცხვი ორ მთელ ნაწილად არის გამოყოფილი; შეიძლება თუ არა, რომ ამ ნაწილების შეფარდება  $b$ -ს ტოლი იყოს? ვინაიდან  $\tau$  ირაციონალური რიცხვია, მთელი რიცხვების შეფარდება კი — რაციონალური, ამიტომ, ცნობა, რომ შეფარდება, რომელიც ჩვენ ვკვიანტერესებს, შეიძლება მხოლოდ მაახლოებით უდრიდეს  $\tau$ -ს, როგორცა ეს მიახლოება? ამ კითხვაზე პასუხს ოპტიმალურობის ის თვისება გვაძლევს, რომელზედაც ახლანან გვექონდა საუბარი. იგი ვკვიანტერესებს, რომ თუ  $a$  ფიბონანის მიმდევრობის წევრია, მაშინ მიახლოება კარგია, წინააღმდეგ შემხხვევაში კი არ არის კარგი.

ამრიგად, ოქროს კვეთით ორ მთელ ნაწილად ისეთი მთელი რიცხვები გაყოფა, რომლებიც ფიბონანის მიმდევრობის წევრებს წარმოადგენს. მაგალითად, 8-ის ოქროს კვეთა გვაძლევს (3,5)-ს, 13-ისა — (5,8)-ს და ა. შ.

11. ახლა ორიოდ სიტყვით შევეხათ აკად. გ. წერეთლის იმ გამოკვლევას, რომელშიც წერეთლის დასაწყისში გვექონდა საუბარი.

„უკვხვტიკაოსანში“ სულ 1587 სტროფია. თითოეულ სტროფაში ოთხი სტროფის, ანუ კარები. კარები იყოფა ორ ნახევარკარედ — 8 მარცვლით თითოეულში. ნახევარკარედების საზღვარი სიტყვათგანგარბია, ე. ი. არ გვაქვს არც ერთი შემთხვევა, როცა სიტყვის ნაწილი ერთ ნახევარკარედში მთოაკსებული, ნაწილი კი — მეორეში. ნახევარკარედი თავის შშირე ორ სეგმენტად იყოფა. ასეთი დანაწილება სეგმენტებად ორგვარია:

A. სიმეტრიული, როდესაც ნახევარკარედი ორი თანაბარი ზომის სეგმენტითა ოთხ-ოთხი მარცვლით თითოეულში.

B. ასიმეტრიული, როდესაც ნახევარკარედი ორი სხვადასხვა ზომის, კონტრასტული სეგმენტისგან შედგება.

საგულისხმოა, რომ A და B ტიპის სეგმენტების მონაცვლეობა ნახევარკარედის, კარედის ან მთელი სტროფის ფარგლებში არსად არ გვხვდება. ისინი შეიძლება მონაცვლეობდნენ მხოლოდ სტროფების მიხედვით და ამის შესაბამისად ქმნიან მაღალ ან დაბალ შირის (A — მაღალს, B — დაბალს).

ოქროს კვეთისთან სწორედ დაბალი შირია დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში ნახევარკარედის შემადგენელი ორი სეგმენტიდან ერთი სამმარცვლიანია, მეორე — ხუთმარცვლიანი, ჩვენ კი უკვე ვიცით, რომ 3 და 5 მიღება 8-ის ოქროს კვეთის დროს! ამრიგად, აქ ნახევარკარედის ორ სეგმენტად ოქროს კვეთა გვაქვს.

საინტერესოა ისიც, თუ როგორ მიმდევრობით გვხვდება სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტები მთელი კარედის მანძილზე. თურმე აქ ორი შემთხვევა გვაქვს — გვიკვალენტრი სიმეტრიისა და ინვერსიული სიმეტრიისა.

გვიკვალენტრი სიმეტრიის დროს მეორე ნახევარკარედის სეგმენტებად დავოფა ისეთივეა, როგორც პირველში, ე. ი. (5,3 || 5,3) ან (3,5 || 3,5). აი ამის მაგალითები:

გამარგობლა სეფარაშშას || სიხარულითა დიდითა; მიღწვიან, მომიგონებენ || დამლოცვენ, მოვეგონები.

ინვერსიული სიმეტრიის დროს მეორე ნახევარკარედის სეგმენტები პირველის სეგმენტების საბრუნე არარეკლს წარმოადგენს, ე. ი. გვაქვს (5,3 || 3,5) ან (3,5 || 5,3). მაგალითად:

მოღმთიებოდა, მომიტკმა || გამწყრალა, გამქისებულთ, დამოსნა ტურფა-ტურფითა || ერთმანეთისა მჯობითა.

ამით დავგმყოფივდით. აღბათ, დაინტერესებული მოიხსენიებო გავცნობა აკად. გ. წერეთლის გამოკვლევას და ჩვენთან ერთად ვიზიარებს ავტორის დასკვნას, რომ „რუსულულმა პოეზიაში ტოვავა ჩვენ სრულყოფილი სიმეტრია, მსგავსად იმისა, როგორც მცეცხლში, რაფაულმა და ლეონარდო და ვინჩი მხატვრობასა და საერთოდ ხელოვნებაში, და ახლა, როდესაც ეს სრულყოფილება გამოვლენილია, ქართული პოეტის ადგილი მსოფლიო პოეზიის ისტორიაში სრულებით განსაკუთრებულად გვესახება“.



1876 წლის 23 მარტს პ. იაბლოჩკოვმა მიელი პატენტის ელექტრული რკალი შექმნილ ნათურაზე — „ელექტრულ სანთელზე“. ელექტრული სანთელი გამოირჩეოდა კონსტრუქციის სამარტივით და მუშაობდა რევოლუციის ვარშე.

1876 წელს ლონდონში ფიზიკური ხელსაწყოების გამოფენაზე ელექტრულმა სანთელმა ყურანლისტებისა და სპეციალისტების დიდი ყურადღება მიიქცია. მსოფლიო პრესა აღნიშნავდა ამ აღმოჩენას. საყოველთაოდ ნათელი გახდა, რომ პ. იაბლოჩკოვის ელექტრული სანთელი იყო ყველაზე მარტივი და გამოსადეგი სინათლის წყარო, იმიტომ რომ მას ფართო გამოყენება ჰქონდა. პ. იაბლოჩკოვს უნდა გადაეწყვიტა მრავალი ტექნიკური პრობლემა, რაც მან მოახერხა კიდევ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ იგი არამარტო ელექტრული განათების ტექნიკის ფუძემდებლად, არამედ რუსეთში პრაქტიკული ელექტროტექნიკის ფუძემდებლადც მივიჩნიოთ.

ამ პერიოდში პ. იაბლოჩკოვმა მთელი რიგი ელექტრომექანიზმები ააგო, მუშაობდა ელექტრული მანათელების დანადგარების მოწყობაზე. მან შექმნა განათებონა პარიზის მალაჩიები, თეატრები, ქუჩები, სასტუმროები, საღვურები. თვით პ. იაბლოჩკოვი წერდა: „პარიზიდან ელექტრული განათება გავრცელდა მთელ მსოფლიოში. მან შეიქმნა სპარსეთის შაჰისა და კამბოჯის მეფის სასახლეებში“.

იაბლოჩკოვის დამსახურება ყველას მიერ იქნა აღიარებული. იგი კითხულობდა მოხსენებებს პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში და მრავალ სამეცნიერო საზოგადოებაში. 1878 წელს მსოფლიო გამოფენაზე პარიზში სხდობდა მისი ელექტრული სანთლის დემონსტრირება. „რუსულმა სინათლემ“ აღფრთოვანებაში მოიყვანა დამოვალიერებლები.

ამ დიდი მიღწევების შემდეგ იაბლოჩკოვმა გადაწყვიტა სამშობლოში დაბრუნება და თავისი გამოკონების იქ განხორციელება. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ფრანგებისაგან ევიდა საკუთარი გამოკონების რუსეთში გამოყენების უფლება. ამ მიზნით იაბლოჩკოვმა მთელი თავისი დანახოვი ფრანგებს დაუტოვა. რუსეთმა აძვირად იაბლოჩკოვი მიიღო როგორც ცნობილი გამომგონებელი და ნოვატორი. მისი ხელმძღვანელობით აშენდა ელექტრული საღვური; ჩამოყალიბდა რუსული ტექნიკური საზოგადოების ელექტროტექნიკური განყოფილება; მისი ენერგიული მონაწილეობით 1880 წელს პეტერბურგში მოიწყო რუსეთის ელექტროტექნიკური გამოფენა; იაბლოჩკოვი იყო ეურნალი „ელექტრიჩესტვის“ ერთ-ერთი დამაარსებელი.

ელექტროტექნიკაში დიდი მიღწევებისათვის იაბლოჩკოვი რუსულმა ტექნიკურმა

საზოგადოებამ ოქროს მედლით დააჯილდოვა.

1881 წელს პარიზში შედგა ელექტროტექნიკოსების მსოფლიო კონგრესი, სადაც ისახებოდა საერთაშორისო ელექტროტექნიკური გამოფენის მოწყობას. ექვან კრსკი ელექტროტექნიკოსები, მათ შორის იაბლოჩკოვი, აქტიურად მონაწილეობდნენ რუსული პავილიონის მოწყობაში. იაბლოჩკოვის ნამუშევრებმა გამოფენაზე ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო.

შემდეგ წლებში იაბლოჩკოვი მუშაობდა ელექტრულ მანქანებზე და გალვანური ელემენტებზე. მისი შრომები გავლენა იქონიეს ტექნიკებისა და აკუმულატორების შესახებ მეტად ორიგინალური იყო. იაბლოჩკოვის მთავარი მიზანი იყო შეექმნა მძლავრი და



იაბლოჩკოვის სანთლებით განათებული ლონდონის ქუჩა

კონომიური ელექტრული ენერჯის წყარო. მთელი რიგი შრომები იაბლოჩკოვმა მიუძღვნა რ. წ. ავტოაკუმულატორებს.

1889 წელს იაბლოჩკოვი იმდენად დაუძღურდა, რომ მუშაობა ვეღარ შეძლო. 1893 წელს იგი მშობლიურ სარატოვს დაუბრუნდა.

ევროპისა და ამერიკის გამომგონებელთაგან განსხვავებით, პ. იაბლოჩკოვი დიდ გპირებებს განიცდიდა, რის გამოც მძიმედ დაავადდა და გარდაიცვალა 1894 წლის 31 მარტს, 47 წლის ასაკში.

ყოველივე ამის შემდეგ პ. იაბლოჩკოვმა ორთქლწავალზე გააყვია ელექტრომანათელებელი მოწყობილობა. მან მიზნად დაისახა ელექტრული რკალით არსებული ნათურების გაუმჯობესება, რასაც დრო სჭირდებოდა, ტელეგრაფში სამსახური კი ძალიან დიდ ღირსს ართმევდა მას. ამიტომ პ. იაბლოჩკოვმა მის თანამაზარტენე ნ. გლუხოვთან ერთად 1874 წელს მოსკოვში გახსნა ელექტრული ხელსაწყოების სახელოსნო, სადაც ორივე გამომგონებელს შეეძლო განეხორციელებინა საკუთარი ჩანაფიქრი.

ამ სახელოსნოში იქმნებოდა დინამომანქანები, უწყობისდებოდა პლანტეს აკუმულატორები, ტარდებიოდა ცდები დიდი პროექტორებით და სხვ.


1875 წელს სახელოსნოში მუშაობისას პ. იაბლოჩკოვმა შექმნა შემდგომში „ელექტრულ სანთლად“ წოდებული სინათლის წყარო\*. ამავე წლის შემოდგომაზე სახელოსნოს ფინანსური მდგომარეობა საკვალლო შეიქნა. პ. იაბლოჩკოვს არც იმის იმედო ჰქონდა, რომ იქედის რუსეთის მისი გამოგონებებს გამოიყენებდა, რადგან იმდროინდელი რუსეთის ტექნიკა მეტად ჩამორჩენილი იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა პარიზში წასვლა.

პარიზში პ. იაბლოჩკოვმა გაიცნო ტელეგრაფის ცნობილი სპეციალისტი, ფრანგი აკადემიკოსი ლ. ბრევე, რომელმაც იგი თავის სახელოსნოში სამუშაოდ მიიწვია. აქ თავისუფლად ღროს პ. იაბლოჩკოვი მუშაობდა საკუთარ გამოგონებებზე.

\* „იაბლოჩკოვის სანთლის“ მოწყობილობისა და მუშაობის პრინციპის შესახებ წერილი გამოქვეყნებული იყო ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“ მიმდინარე წლის მე-8 ნომერში.




ბის ცვლით თავისუფლად შეიძლება რეაქტიულ წინაღობაზე აღვრათ ძაბვა, რომლის ამპლიტუ-  
და  $E_{კ-კ}$  ძაბვის სიდიდეს აღწევს. ამასთანავე  $\delta$  წერტილი (სადაც წვეულებრივი სადატვირთო  
წრფე კვეთს  $S_{კ}$  პორიონტალურ ღერძს) შეიძლება შეესაბამებოდეს  $E_{კ-კ}$  ბატარეის ძაბვის ვა-  
ორკვებულ სიდიდეს, ე. ი. თუ იგი 9 ვ-ს უდრის,  $\delta$  წერტილი 18 ვ ძაბვის ქვეშ იქნება.




ნახ. 53. დატვირთვად მარტო ომური წინაღობა როდი გამოიყენება. ამ ნახაზზე დატვირთვად გამოიყენებულია LC რსვეითი კონტური, რომელიც აწყობილია სიგნალის სინშირესე.

ბ. — დასკვნების გამოტანისას უნდა აღვნიშნო, რომ სადატვირთო წრფის გასაგებლად ვსვამ  $\delta$  წერტილს, გადავწყევ რა პორიონტალურ ღერძზე  $E_{კ-კ}$  სიდიდეს, თუ კოლექტორის წრედში უშუალოდ ჩართულია ომური დატვირთვის წინაღობა ( $R_{დ}$ ) ან  $2E_{კ-კ}$  სიდიდეს, თუ დატვირთვად გამოყენებულია იმ წრედების  $R_{კ}$  ეკვივალენტური წინაღობა, რომლებსაც აქვს რეაქტიულობა და მუდმივი დენის მცირე წინაღობა (რსვეითი კონტური, ტრანსფორმატორი). შესაბამისად  $\delta$  წერტილს ვსვამ ვერტიკალურ ღერძზე, გადავწყევ რა  $E_{კ-კ} / R_{დ}$  და  $E_{კ-კ} / R_{კ}$  (სადაც  $R_{კ}$  დატვირთვის ეკვივალენტური წინაღობაა) დატვირთვის წინაღობის ხასიათის მიხედვით (ნახ. 54).

ო. — ზედმიწევნით ზუსტად ჩამოაყალიბე წესები. იმედი მაქვს, ასევე თავისუფლად გაავლებ სადატვირთო წრფეებს და მათი გამოყენებით მიიღებ უამრავ საინტერესო მონაცემს. მაგალითად, არაფერია იმაზე მარტივი, როცა არსებული ცნობების მიხედვით დაგხაზავთ მრუდს, რომელიც გვიჩვენებს, როგორ იცვლება  $I_{კ}$  კოლექტორის დენი  $S_{კ}$  ბაზის ძაბვაზე დამოკიდებუ-



ნახ. 54. სადატვირთო წრფეების განსაზღვრის საერთო წესი. ფრჩხილებში მითითებულია მნიშვნელობები იმ შემთხვევებისათვის, როცა მუდმივი დენის დატვირთვის წრედის  $R_{დ}$  წინაღობა მნიშვნელოვნად ნაკლებია მის  $R_{კ}$  ეკვივალენტურ წინაღობაზე ცვლადი დენისათვის.



ნახ. 55. ეს მახასიათებელი, რომელიც გვიჩვენებს  $I_{კ}$  კოლექტორის დენის დამოკიდებულებას  $S_{კ}$  ბაზის ძაბვაზე დატვირთვის წინაღობის დროს, ავტომატურად 50-ჯერ ნახს-ზე გამოსახული ამოსავალი მახასიათებლებისა და სადატვირთო წრფეების საფუძველზე.

ლებით. ამისათვის საკმარისია სადატვირთო წრფის მიხედვით გადავიღოთ  $I_{კ}$  მნიშვნელობა ყველა წერტილისათვის (სადაც იგი კვეთს მახასიათებლებს, რომლებიც შეესაბამება  $S_{კ}$  სხვადასხვა მნიშვნელობას) და გადავიტანოთ ისინი გრაფიკზე. ამ შემთხვევაში მივიღებთ წრფეს (ნახ. 55). იგი გვიჩვენებს, რომ დარჩილბა ნაკლებად იცვლება, როცა საქმე გვაქვს კოლექტორის დენის დიდ მნიშვნელობასთან, ე. ი. ტრანზისტორის ვაძლიერებას საკმარისად წირული ხასიათი აქვს.



- ა. — უნდა აღნიშნოს, რომ ამ შემთხვევაში დახრილობა არის 300 მა/კ.  
 0. — დიას. ეს დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი დახრილობაა. ასევე ადვილად შეგიძლია იპოვო გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს  $I_x$  დენის ცვლილებას  $I_x$  დენზე დამოკიდებულებაში.




### ერთი ბატარეა — მთელი ძაბვა

ა. — რა თქმა უნდა, მაგრამ აბლაბულაში მოქცეული ბუზივით ექჩაობთ თავი დაეაღწიო მანათიებლებს სლაროს, რომელიც კვლავ ცხადად განმაცდევინებს სისწრაშო ნანახ საშინელებას... დიდი ხანია მინდა გკითხო: შესწევს სქემაზე გამოსახული ორი ბატარეა:  $E_{კ-ე}$ , რომელიც ძაბვას აწვდის კოლექტორს, და  $E_{ა-ე}$ , რომელიც გამოიყენება ბაზის გადაწყვეის შესაბამის წყაროდ. მე კი დავშალე ჩემი მეგობრების ყველა ტრანზისტორიანი მიმღები და დავრწმუნდი, რომ მათ მხოლოდ თითო ბატარეა აქვთ. ეს, როგორც ჩანს, კოლექტორის მკვეთავი ბატარეაა. საიდან შედის გადაწყვეის ძაბვა ბაზაზე?

0. — ამავე ბატარეიდან. მაგრამ, ვინა ელექტრონულმილაკიან სქემაში არ შეხვედრისხარ ასეთივე მდგომარეობას?



ნახ. 56. ელექტრონულმილაკიან სქემაში ბაღური გადაწყვეა იქმნება კათოდის წრედში ჩართული  $R$  რეზისტორზე ძაბვის ვარდნილი.




ა. — მართლაც, ბაღური გადაწყვეის ძაბვა ანოდური ძაბვის წყაროთი აღიძვრება; ანოდის დენი იწვევს კათოდის წრედში ჩართული  $R$  რეზისტორის ძაბვის ვარდნას (ნახ. 56) ამის გამო კათოდი დაღებითი სდუბა ბადის მიმართ ან, სხვაგვარად რომ უთქვამო, ბაღე უარყოფითი სდუბა კათოდის მიმართ... ასევე იქცევიან ტრანზისტორიან სქემაში, როცა იწყვევს ძაბვის ვარდნას კოლექტორის დენის გზაზე დაყენებულ რეზისტორში?


0. — არა, არიციბ. ამჯერად ტრანზისტორში მდგომარეობა უფრო მარტივიადა, ვიდრე მილიკეში. მილიკეში ანოდი დაღებითი უნდა იყოს კათოდის მიმართ, ბაღე კი — უარყოფითი.  $n-p$  ტიპის ტრანზისტორში კოლექტორიციბა და ბაზაც უარყოფითი უნდა იყოს ემიტერის მიმართ.

ა. — ზუსტად ასევე  $p-n-p$  ტიპის ტრანზისტორში კოლექტორიციბა და ბაზაც დაღებითი უნდა იყოს ემიტერის მიმართ. გავიგე, ბაზის რომ საჭირო ძაბვა ჰქონდეს, საკმარისია ორი წინააღობიდან გამოიყენოთ ძაბვის გამყოფი, რომელიც მიერთებულია იმავე ბატარეაზე, საიდანაც იკვეთება წრედი კოლექტორი—ემიტერი (ნახ. 57).

ნახ. 57. გადაწყვეის ძაბვის მიწოდება ბაზაზე ძაბვის გამყოფის დახმარებით.



0. — სწორია, ჩემო მეგობარო. მაგრამ ბაზას რომ ცვლადი შესავალი ძაბვა მიეწოდოს ადრინდელ წრედში ბაზის მუღმევი დენის განშტოების გადაღობვით, იყენებენ  $C$  გამყოფ კონდენსატორს. მაგრამ ბაზაზე მისთვის საჭირო გადაწყვეის მიწოდება კიდევ უფრო მარტივად შეიძლება ერთი  $R$  რეზისტორის საშუალებით (ნახ. 58), თუ მას მიეუფრთხილებ  $E_{კ-ე}$  ბატარეის იმავე პოლუსს, რომელთანაც კოლექტორია შეერთებული.







# ჭადრაკის მოყვარულთა კლუბი

## ამოცანის პარკმანი სხვა

საქადრაკო ამოცანის ან ეტიუდის ამოხსნის პროცესი დიკარამზე ასახული პოზიციის აღქმით იწყება. ამომხსნელი საწყის მდგომარეობას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს, ვინაიდან ნაწარმოების გარეგანი ფორმა კომპოზიციის მნიშვნელოვანი ესეტრეკური კომპონენტია. ამ საყურადღებო ნიშანთვისების გარდა, ფორმა თავისებურად ზემოქმედებს თვით ამოცანის შინაარსზე. ასე მაგალითად, ფიგურათა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის გამო საამოცანო თემა შეიძლება გაბარტივდეს; სამაგიეროდ, ასეთ ფორმალურ ჩარჩოებში მოქმედი ნაწარმოები ავტორის ოსტატობის დონის საუკეთესო საზომია. როგორც ირეკვა, გარეგანი ფორმის მიმართ წაყენებულმა სპეციფიკურმა მოთხოვნებმა ასტეხითად გაამდიდრა კომპოზიციის და პრობლემისთვის მისი ვანვითარების ახალი ველები უქარანა. მოკლედ გავცნობ კომპოზიციის მიღებულ იმ კლასიფიკაციას, რომელიც ამოცანის მხოლოდ გარეგანი ფორმის პრინციპს ეყრდნობა.

**მინიატურა** — ამოცანის (ეტიუდის) ერთერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ფორმა. დასაშვებია მხოლოდ 7 ან ნაკლები ფიგურის მონაწილეობა. სახელწოდება შემოიღო გერმანელმა პრობლემისტმა ოსკარ ბლიუმენტალმა (1852—1917 წწ.), რომელმაც 1902 წელს ლიბიკოში პირველად გამოისცა სხვადასხვა ავტორის ამოცანა-მინიატურების კრებული. საქადრაკო კომპოზიციის ფართოდ არის ცნობილი ს. ლიოდის, ე. ვინკმანის, ა. გალიციის, მ. ჰაველის, ლ. კუბეჩის და ბევრი სხვა გამოჩენილი პრობლემისტის ამოცანები. მინიატურების შედგენისა და ამოხსნის სპეციალური კონკურსები ახლაც ხშირად იმართება ბევრ ქვეყანაში.

მინიატურა კიდევ იყოფა დეტალურ სახედად. ასე მაგალითად, ზუთფიგურაინი ნაწარმოები ცნობილია „**უტლარმინიატურის**“ სახელწოდებით. სხვათადას და მის ინგლისური „ბება“ (პაქაქა) ჰქვია. გამოჩენილმა გერმანელმა პრობლემისტმა და მინიატურების სპეციალისტმა ე. შვეკმანმა 1970 წელს წიგანად გამოსცა მხოლოდ სამ-და ოთხფიგურაინი ამოცანების კოლექცია. იგი სხვადასხვა ავტორის 150-ზე მეტ ნაწარმოებს ითვლის და „უტლარმინიატურების“ ფონდის უნიკალური ნაწილია.

№ 1 ამოცანა ეფექტური პირველი სვლით 1. g1h1 იწყება და სამ ვარიანტს შეიცავს: 1... მფ: h1 2. მფფ3 მფგ1 3. ექ1X 1... მფდ2. მფს3 მფვ3 3. ექ1X 1... მფვ2 2. გი2 მფ4 3. ექ2X ქამელეონური ექო-შაბათი.

**მერედიტი** — ასე ეწოდება მსუბუქი და მიმოზღველი ფორმის ამოცანას, სადაც მონაწილე ფიგურების რაოდენობა არ აღემატება 12-ს. იგი ატარებს ცნობილი ამერიკელი პრობლემისტის უილიამ მერედიტის (1835—1903 წწ.) სახელს, რომელმაც 1916 წ. ფილადელფიაში გამოსცა ამ ტიპის 100 ამოცანის საკუთარი კრებული.


„ფორმალური“ კლასიფიკაცია ამოცანაში მონაწილე ფიგურების მხოლოდ რაოდენობაზე ითვალისწინებს. ყურადღება ექცევა აგრეთვე თვით ფიგურების შემადგენლობას. ასე მაგალითად, საქმოდ გავრცელებული ფორმა ა. ე. „**მინიამალური ამოცანა**“, სადაც თითოერთი აუცილებლად მინიმალური ძალეებით (მეფე და მხოლოდ ერთი ფიგურა) თავმოებენ. ტერმინი პირველად იხმარა გერმანელმა პრობლემისტმა ა. კრამერმა 1924 წელს. განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ამ ფორმას ავსტრიელმა პრობლემისტმა ოსტე პალუმბიერმა, რომელსაც ათეულობა წლების მანძილზე ამ ტიპის ამოცანების სპეციალური რუბრიკა მიჰყავდა ვენის საქადრაკო უქრნალში. გავცნობთ მის № 2 ამოცანას.

1. **ღხ8!** მუქარით 2. ლ: ა8 და 3. ლd5X (1. ლა1? ევ3 2. ლd1 d4!) 1... **ქხ8!** ძლიერი დაცემით სვლა (1... **ქხ7** 2. ლვ7, 1... **ქვ2** 2. ლა3) 2. **ლა1!** იქმნება მუქარა 3. მფ: f2X. 2... **ქა7** (2... **ქვ3** 3. მფე2+ მფფ2 4. ლf1X!) 3. **ღd1!** d4 შვეებმა კუს დიაგონალი გაუსხენს, სამაგიეროდ მეორე კუს ვადეაგეტა დიაგონალი — 4. მფ: f2X ლოგიკური სტივის შესანიშნავი ნაწარმოებია.

ე. შინკმანის № 1 ამოცანის საწყის პოზიციის შვეებს მხოლოდ მეფე ჰყავთ. კომპოზიციები, სადაც შვეების მხრიდან მარტო მეფე თამაშობს, ბევრია და ამ ტიპის ამოცანებს ლათინურად ეწოდებათ „**Rex solus**“ (მარტოხელა მეფე).


„**ოქეტეტი**“ — ამოცანა, რომელიც თითოი ფიგურების სრულ კომპლექტს, ე. ი. რვავე ფიგურას შეიცავს და როგორც წესი, სულ ცოტა 3 სანიშნუში შამათისაგან შედგება. ამ ტიპის ამოცანების განუყოფელი ოსტატი იყო ჩეხი ი. მორავეცი (1882—1969 წწ.).

გვხვდება ამოცანები, სადაც თუთრებს ან შვეებს თექვსმეტზე ფიგურა ჰყავთ (აუცილებელი პირობა). გარდა ამისა, კომპოზი-




შამათი 8 სვლაში

№ 2 0. პალუმბიერმა, 1929





შამათი 4 სვლაში

№ 3 ა. შინკმანი, 1924



შამათი 2 სვლაში

ტორები სპეციალურად ადგენენ ე. წ. „უბაიკო“ ამოცანებს, ე. ი. ნაწარმოებებს, სადაც არც ერთი ბაიკი არ მონაწილეობს. უბიკი № 3 ამოცანა „უბაიკო მერედიტის“ კარგი ილუსტრაციაა: 1. ლh6! (მუქარა 2. ლf4X) 1... მფ: d4 2. ლე3X 1... მდ3 2. ლე3X 1... მდ4 2. მვ3X 1... ქე4 2. ლიხ8X.




მოცემული ფიგურა შედგება 5 რომბისაგან. ამ რომბების კუთხეებში ჩაწერილია ციფრები ერთიდან თერთმეტის ჩათვლით, ისე რომ თითოეული რომბის ციფრთა ჯამი იძლევა 18-ს.  
სცადეთ ამავე ციფრებიდან (ერთიდან თერთმეტის ჩათვლით) შეადგინოთ კომბინაცია რიცხვებისათვის 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28 და 30, ავტორის აზრით, შეუძლებელია 19-ისა და 29-ის მიღება. იქნებ თქვენ ამოხსნათ?


სცადეთ. გაშავოთ კიდევ 16 უჯრედი ისე, რომ თითოეულ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მწკრივში, აგრეთვე ორივე დიაგონალზე იყოს ოთხ-ოთხი შავი და თეთრი უჯრედი.

4	9	20
8	5	14
10	3	?


ჩასვით საჭირო რიცხვი.



შვიდი ფიგურიდან მხოლოდ სამი შეიძლება მთლიანად მოთავსდეს დაშტრიხულ ფიგურაზე, რომელია ეს ფიგურები?




დანაშრული ექვსი ფიგურიდან რომელმან უნდა დაიკავოს თავისუფალი ადგილი მარცხენა ნახაზის ქვედა მწკრივში?





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



10 სექტემბერი — ტანკისტთა დღეა  
ფოტო ვ. აბულაძისა

ИНДЕКС 76127